ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ტრეფიკინგის სახელმძღვანელო

მობილური ჯგუფებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრებისათვის

დეკემბერი, 2021

ICMPD
International Centre for Migration Policy Development

ავტორები

ირაკლი ქყონია
ნიკა გაბლიშვილი

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD)

გონზაგასსე 1

A-1010 ვენა, ავსტრია

www.icmpd.org

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი

ვენა, ავსტრია

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია ამ დოკუმენტის რომელიმე ნაწილის ხელახალი პუბლიკაცია, კოპირება ან გავრცელება ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით, ელექტრონულად თუ მექანიკურად, მათ შორის, ქსეროასლის გადაღებით, ჩაწერით, ან ინფორმაციის შენახვისა და გამოხმობის ნებისმიერი სისტემის გამოყენებით, საავტორო უფლებების მქონე პირთა ნებართვის გარეშე.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

სახელმძღვანელოში გამოყენებულ მნიშვნელოვან ტერმინთა განმარტება	1
1. შესავალი	4
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მარეგულირებელი საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოები	7
2.1. საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო	7
2.2. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო	11
3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გლობალური ტენდენციები, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები	14
4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევი ფაქტორები	16
5. მითები და რეალობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა შესახებ	19
6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული, მისი ელემენტები და ექსპლუატაციის ფორმები	22
7. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის განსხვავება სისხლის სამართლის კოდექსის მომიჯნავე მუხლებისგან	31
8. ეროვნული რეფერალური მექანიზმი	35
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურა	36
9.ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიკაცია, დამახასიათებელი ნიშნები და ინდიკატორები ექსპლუატაციის თითოეული ფორმისთვ	38
9.1. ტრეფიკინგის მსხვერპლის ზოგადი ფსიქოპორტრეტი - როგორ ახერხებენ ტრეფიკიორები მსხვერპლის დამორჩილებას	39
9.2. ტრეფიკინგის მსხვერპლის იდენტიფიცირება და დამახასიათებელი ნიშნები	43
10. მსხვერპლთან კონტაქტის დამყარება და გასაუბრების ტექნიკა	50
10.1 ინფორმაციული მომზადება ინტერვიუსთვის	51
10.2. ემოციური მომზადება ინტერვიუსთვის	52
10.3. ინტერვიუს პროცესი	55
10.3.1. კონკრეტული ხერხები სავარაუდო მსხვერპლისგან ინფორმაციის მისაღებად	59
10.3.2.ინტერვიუს მიმდინარეობისას გასათვალისწინებელი საკითხები	59
10.4. ემოციების რეგულირება ინტერვიუს პროცესში	62
10.5. ინტერვიუს ხანგრძლივობა	64
10.6. ინტერვიუ არასრულწლოვანთან	65
10.7. სხეულის ენა/ტყუილის შესაძლო არავერბალური ნიშნები	67
11. ეთიკა და კონფიდენციალობა	69
12. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვა, რეაბილიტაცია და სერვისები როგორც სრულწლოვნების, ისე არასრულწლოვნებისთვის	71
13. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა უფლებები	75
14. სახელმძღვანელო პრინციპები ანუ როგორ ვმოქმედებთ პრაქტიკაში	77
15. ბიბლიოგრაფია	85

სახელმძღვანელოში გამოყენებულ მნიშვნელოვან ტერმინთა განმარტება

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) - დამნაშავე პირ(ებ)ის მიერ ადამიანით ვაჭრობა (მათი ყიდვა ან გაყიდვა), სექსუალური მომსახურების იძულება, პროსტიტუციაში იძულებით ჩართვა, იძულებითი შრომა ან სხეულიდან სხვადასხვა ორგანოს (ორგანოთა ნაწილების, ქსოვილების) იძულებით ამოღება გასაღების მიზნით. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მოიცავს პირის ჩაყენებას მონობის მსგავს მდგომარეობაში, როდესაც მსხვერპლს აიძულებენ, შეასრულოს გარკვეული სამუშაო (მათ შორის, დანაშაულებრივი), მაგრამ მას არ შეუძლია, შეცვალოს თავისი მდგომარეობა, ვინაიდან დამოკიდებულია დამნაშავეზე სხვადასხვა მიზეზის გამო (მაგ: ჩამორთმეული აქვს მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტები, კონტროლდება მისი გადაადგილება, ეზღუდება კონტაქტები სხვა პირებთან, იმყოფება დამაშინებელ გარემოში).

ადამიანით მოვაჭრე (ტრეფიკიორი) - ფიზიკური ან იურიდიული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელმაც ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის დანაშაული (ტრეფიკინგი).

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი – პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელიც, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მიჩნეულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად.

დაზარალებული – პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელიც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ცნობილია დაზარალებულად ტრეფიკინგის დანაშაულში.

ექსპლუატაცია - დამნაშავის მიერ მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მიღების მიზნით შრომის ან მომსახურების გაწევის იძულება, სექსუალური მომსახურების გაწევის იძულება, პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიასა ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა, ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, ადამიანის მონობის მდგომარეობაში (მონობის თანამედროვე პირობებში) ჩაყენება.

სახელმძღვანელოში გამოყენებულ მნიშვნელოვან ტერმინთა განმარტება

ადამიანის მონობის თანამედროვე პირობები - ადამიანისთვის ისეთი მდგომარეობის შექმნა, როდესაც ის ანაზღაურებით, არაადეკვატური ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირზე დამოკიდებულების გამო. პირზე დამოკიდებულება შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა საშუალებით (მაგ: საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის ჩამორთმევა, გადაადგილების კონტროლი, დამაშინებელი გარემოს შექმნა და ა.შ).

უმწეო მდგომარეობა – მდგომარეობა, როდესაც პირი სხვა პირზე მატერიალურად ან სხვაგვარად არის დამოკიდებული, როდესაც პირს შეზღუდული შესაძლებლობის გამო არ შეუძლია, რეალურად შეაფასოს არსებული ვითარება, როდესაც პირს არ გააჩნია სხვა რეალური საშუალება, გარდა იმისა, რომ დაემორჩილოს მის მიმართ გამოყენებულ ძალადობას.

შანტაჟი – პირის იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება მისთვის ან მისი ახლობლებისთვის სახელის გამტეხი ან სხვა საზიანო ცნობების გახმაურების მუქარით.

მუქარა - გულისხმობს ადამიანზე ფსიქიკურ ზემოქმედებას (იძულებას), რაც გამოიხატება ცემის, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების, სქესობრივი დანაშაულის განხორციელების, მოტაცების ან სხვაგვარი ძალადობის მუქარით. შესაძლებელია, მუქარა მიემართებოდეს მსხვერპლისთვის ძვირფას ადამიანს.

თაღლითობა - დამნაშავის მიერ სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება.

არასრულწლოვანი – პირი, რომლის ასაკი არ აღემატება 18 წელს.

თავშესაფარი – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება, რომლის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სადღეღამისო საცხოვრისით უზრუნველყოფა და იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა სახის მომსახურება მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის, რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის მიზნით.

კრიზისული ცენტრი - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/ დაზარალებულთა/სავარაუდო მსხვერპლთა დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით შექმნილი მომსახურების დაწესებულება, რომლის მიზანია ბენეფიციართათვის ადეკვატური, უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნა, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ბენეფიციართა ჯანმრთელობის დაცვის, ფსიქოლოგიურ–სოციალური დახმარების/ რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

ერთჯერადი კომპენსაცია - ერთჯერადად გასაცემი ფულადი თანხა, რომელიც გაიცემა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლზე/დაზარალებულზე, რომელსაც ტრეფიკინგის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი. კომპენსაციის გაცემის წინაპირობაა პირისთვის მსხვერპლის ან/და დაზარალებულის სტატუსის მინიჭება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სახელმძღვანელოში გამოყენებულ მნიშვნელოვან ტერმინთა განმარტება

წარმოშობის სახელმწიფო - სახელმწიფო, რომლის მოქალაქე ან რომელში მუდმივად მცხოვრები პირი არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი.

დანიშნულების სახელმწიფო - სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს უწევენ ექსპლუატაციას.

ტრანზიტის სახელმწიფო - სახელმწიფო, რომლის ტერიტორიის გავლითაც ხორციელდება ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).

რეპატრიაცია - იმ პირთა დაბრუნება მოქალაქეობის, მუდმივი საცხოვრებლის, ან წარმოშობის ადგილას, რომლებიც ტრეფიკინგის შედეგად სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ.

მიგრაცია - ადამიანის გადაადგილება ქვეყნის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ სხვადასხვა ვადით, რაც საზღვრების (ძირითადად, ქალაქის, ქვეყნისა და სხვა ადმინისტრაციული საზღვრების) გადაკვეთაში გამოიხატება.

არალეგალური მიგრაცია - იმ პირთა არაორგანიზებული მიგრაციის ყველა სახე, რომელიც არ ითვალისწინებს მიგრაციის მარეგულირებელი ტრანზიტული და/ან მიმღები ქვეყნების შესაბამის წესებსა და პროცედურებს.

დისოციაცია - ფსიქოზისგან განსხვავებით, არის არა რეალობის დაკარგვა, არამედ მისგან დისტანცირება. მას ასევე განიხილავენ, როგორც დაძლევის ან დაცვის მექანიზმს. უმეტეს შემთხვევაში, მსგავსი დისტანცირება წარმომადგენს სტრესულ სიტუაციაზე პასუხს.

პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა (პტსა) - ვითარდება მატრავმირებელი მოვლენიდან გარკვეული დროის გასვლის შემდგომ და ხასიათდება სხვადასხვა სიმპტომით:

<u>ზესიფხიზლე</u> - აქვს მომატებული შფოთვა, უჭირს კონცენტრაცია და აქვს ძილის პრობლემები;
<u>შემოჭრები</u> (flashback) - სტრესულ მოვლენასთან დაკავშირებული განმეორებადი ხატები, ხმები, თითქოს აწმყოში ხდება ყველაფერი;
<u>განრიდება</u> - ადამიანი ცდილობს, გაექცეს ყველა სტიმულს, რომელიც ახსენებს მატრავმირებელ მოვლენას.

სტოკჰოლმის სინდრომი - ინტენსიურ სტრესზე არასტანდარტული სპეციფიური რეაქცია. მსხვერპლსა და აგრესორს შორის გაჩენილი სიმპათიისა და მიზიდულობის გრძნობა. სინდრომს სახელი დაერქვა 1993 წლის აგვისტოში მომხდარი გახმაურებული შემთხვევის შემდგომ.

თვითეფექტურობა - ა. ბანდურას მიერ დამუშავებული ტერმინი, რომელსაც მის მიერ შექმნილ „სოციალური დასწავლის თეორიაში“ ცენტრალური ადგილი უჭირავს. გულისხმობს, რწმენა-შეხედულებების სისტემას საკუთარი თავის შესახებ, რომ მას შეუძლია/არ შეუძლია კონკრეტულ რთულ სიტუაციას გაართვას თავი.

1. შესავალი

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) თანამედროვე მსოფლიოსთვის უმწვავესი პრობლემაა. სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები ათწლეულებია აქტიურად ცდილობენ მის აღმოფხვრას და ადამიანთა დაცვას ამ უმძიმესი დანაშაულისგან, თუმცა ის კვლავ რჩება უდიდეს გამოწვევად და საფრთხეს უქმნის ადამიანებს სხვადასხვა ქვეყნიდან და ქალაქიდან.

ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ხდება სექსუალური და შრომითი ექსპლუატაციის, ასევე, სხვადასხვა მიზნით ვაჭრობის მსხვერპლი. ამერიკის შეერთებული შტატების ანგარიშების მიხედვით, ყოველწლიურად ეს ციფრი 800 000-ს აღწევს მსოფლიო მასშტაბით.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მთავარი მახასიათებელია მისი სიმძიმე. ასეთ დროს შეიძლება ერთდროულად შეილახოს და უხეშად დაირღვეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები (თავისუფლება, ღირსება და პატივი, გადაადგილების უფლება) და საფრთხე შეექმნას მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესაც კი. ამის მიზეზია დამნაშავის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა მსხვერპლის გადასაბირებლად. ძალადობის ფორმებად შეიძლება გამოყენებული იყოს მუქარა, იძულება, მონურ მდგომარეობაში ჩაყენება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ა.შ.

კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია დანაშაულის შედეგად მიღებული მაღალი შემოსავლები, რაც, თავისთავად, ხელს უწყობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მასშტაბურ გავრცელებას. აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკისა და იარაღის უკანონო ბრუნვის შედეგად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) უკანონო ბიზნესს ყოველწლიურად 7 მილიარდამდე დოლარის მოგება მოაქვს დამნაშავეებისთვის.

ამ ფენომენის მიზეზებზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობები (უმუშევრობა, სიღარიბე), რომელშიც მსხვერპლს უწევს ცხოვრება. ის ცდილობს, თავი დააღწიოს საკუთარ ყოფას და ადვილად თანხმდება დამნაშავეთა მიერ შემოთავაზებულ „სამუშაოს“. შესაძლებელია, პირი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი გახდეს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამოც (კონფლიქტი ქვეყნებს შორის, სამხედრო დაპირისპირებები). ასეთ დროს დამნაშავეთა ჯგუფები მარტივად მკვიდრდებიან კონფლიქტურ რეგიონებში და ეწევიან დანაშაულებრივ საქმიანობას. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გავრცელებას განსაკუთრებულად შეუწყო ხელი კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის

საშუალებათა განვითარებამ. ამ შემთხვევაში მთავარი ინსტრუმენტი, რომლითაც დამნაშავეთა სამყარო ახერხებს მსხვერპლთა ჩართვას ტრეფიკინგში, არის ინტერნეტკომუნიკაციები: კერძოდ, სხვადასხვა საიტით ვრცელდება ცრუ შეთავაზებები და მარტივად ხერხდება მსხვერპლთა გადაბირება. ასეთი გზებით დამნაშავეები მსხვერპლს ჰპირდებიან სამუშაო ადგილებს, რომლებიც საერთოდ არ არსებობს ან სრულიად განსხვავდება შემოთავაზებულისგან.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა და მსხვერპლთა დაცვა საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი და პრიორიტეტული მიმართულებაა. სახელმწიფომ შექმნა ერთიანი საკანონმდებლო სისტემა, რომლითაც ტრეფიკინგთან დაკავშირებულ თითოეულ საჯარო უწყებას განესაზღვრა ფუნქცია ამ ფენომენთან ბრძოლაში. შემუშავდა უწყებათა შორის თანამშრომლობის წესები და მექანიზმებიც, რათა ეფექტიანად და სწრაფად მოხერხდეს დანაშაულის გამოვლენა და გამოძიება, ასევე, მსხვერპლის იდენტიფიცირება (რაც მისი სახელმწიფო სერვისებში ჩართვის წინაპირობაა).

პროცესში მნიშვნელოვანია იმ პირთა როლი და ფუნქცია, რომლებსაც პირველი შეხება აქვთ სავარაუდო მსხვერპლთან და ახორციელებენ მსხვერპლთა იდენტიფიცირების

პროცედურებს. უნდა ითქვას, რომ საქართველოში შექმნილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ეროვნული რეფერალური მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს მსხვერპლის სწრაფ გამოვლენასა და ჩართვას რეაბილიტაციის სერვისებში. აღნიშნული მექანიზმი თავისთავად მნიშვნელოვანია როგორც მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისთვის, ასევე ტრეფიკინგის დანაშაულის აღსაკვეთად.

1. შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტი განკუთვნილია სწორედ იმ პირთათვის, რომლებიც პირველები ამყარებენ კონტაქტს სავარაუდო მსხვერპლთან, გაესაუბრებიან მას და მონაწილეობენ მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურაში. საუბარია სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მობილური ჯგუფებზე და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრებზე. სახელმძღვანელო მათ დაეხმარება, რომ მაქსიმალურად ადვილად მიიღონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია სავარაუდო მსხვერპლისგან, სიღრმისეულად შეაფასონ თითოეული შემთხვევა და კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით შეძლონ შემთხვევის სწორი კვალიფიკაცია.

სახელმძღვანელოში მიმოხილულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მარეგულირებელი საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა, ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა, მსხვერპლთა იდენტიფიკაციის პროცედურები (სიღრმისეულად) და მათი უფლებები, რეაბილიტაციის სერვისების ჩათვლით. ვფიქრობთ, ჩამოთვლილი ინფორმაციის ერთ სახელმძღვანელოში თავმოყრითა და გამოყენებით, ზემოაღნიშნული პირები უფრო ეფექტიანად შეძლებენ მსხვერპლთა იდენტიფიცირებას და თავიანთ წვლილს შეიტანენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლაში.

2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მარეგულირებელი საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოები

2.1 საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განეკუთვნება ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთა კატეგორიას. მისი ჩადენა შესაძლებელია როგორც მსხვერპლის საზღვარგარეთ გაყვანით (თუნდაც რამდენიმე სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთით), ისე ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე (საზღვრის კვეთის გარეშე). საერთაშორისო კანონმდებლობაში დამკვიდრებული განმარტებით, ტრეფიკინგის დანაშაულის კონტექსტში სახელმწიფოები იყოფიან 3 ჯგუფად:

- **წარმოშობის სახელმწიფო** - ქვეყანა, რომლის მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები პირი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გახდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი;

- **ტრანზიტული სახელმწიფო** - ქვეყანა, რომლის ტერიტორიის გავლითაც განხორციელდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემადგენელი ქმედება;

- **დანიშნულების (მიმღები) სახელმწიფო** - ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის ექსპლუატაცია.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა და თანამეგობრობებმა შექმნეს არაერთი საერთაშორისო საკანონმდებლო ინსტრუმენტი, რომელთა მიზანია სახელმწიფოთა გაერთიანება ტრეფიკინგთან ბრძოლაში და მისი დამარცხება ერთობლივი ძალისხმევით.
საქართველოს რატიფიცირებული აქვს სამი ძირითადი საერთაშორისო ნორმატიული აქტი, რომლებიც ერთგვარ სამართლებრივ ბაზას ქმნიან ეროვნული კანონმდებლობისთვის და ძირითადი ტერმინები/განმარტებები სწორედ მათზე დაყრდნობით გვაქვს შემუშავებული. ეს აქტებია:

(ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ;

(ბ) ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და სასჯელთა დადგენის შესახებ“ (პალერმოს პროტოკოლი);

(გ) ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

2.1 საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო

„ადამიანების, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და სასჯელთა დადგენის შესახებ“ ოქმი (შემდგომში - პალერმოს პროტოკოლი) პირველი საერთაშორისო ინსტრუმენტია, რომელმაც ყველაზე ამომწურავად განმარტა ტრეფიკინგის ცნება. დღესდღეობით, სწორედ ამ განმარტებით ხელმძღვანელობენ ოქმის ხელმომწერი სახელმწიფოები:

> „ტრეფიკინგი ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით, ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია გულისხმობს სხვათა პროსტიტუციით ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, კატორღულ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას.“

აღნიშნული საერთაშორისო აქტი ემსახურება სამ ძირითად მიზანს:

- ✓ დამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) აღკვეთა და მის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ✓ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა უფლებების პატივისცემა, მათი დაცვა და დახმარება;
- ✓ ხელმომწერ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ხელშეწყობა ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად.

პალერმოს პროტოკოლი მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებს ყველა საკანონმდებლო თუ სხვა ზომის მიღებას, რათა სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდეს ყველა განზრახი ქმედება, რომლებიც გხვდება ტრეფიკინგის განმარტებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარებისა და დაცვის საკითხს. ოქმი ხელმომწერ სახელმწიფოებს უწესებს ვალდებულებას, რომ: დაიცვან მსხვერპლთა პირადი ცხოვრება; სამართალწარმოება იყოს კონფიდენციალური; მსხვერპლს ჰქონდეს ინფორმაცია შესაბამის სასამართლო და ადმინისტრაციულ წარმოებებზე; ასევე, გამოძიებისა და სასამართლო განხილვების ყველა ეტაპზე გაითვალისწინონ მისი შეხედულებები და საჭიროებები. ამავე დროს, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მსხვერპლთა დასახმარებლად შექმნილი სერვისები (მაგ: სადღეღამისო

საცხოვრისი; თარჯიმნის მომსახურება, რათა მსხვერპლს ინფორმაცია მიეწოდოს მისთვის გასაგებ ენაზე; სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება; მატერიალური დახმარება; განათლების მიღებასა და დასაქმებაში ხელშეწყობა). ხელმომწერი სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას მსხვერპლთა ფიზიკური უსაფრთხოება, სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ იზიარებს პალერმოს პროტოკოლის ძირითად პრინციპებსა და სულისკვეთებას. მისი მიზანია:

- ✓ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია;
- ✓ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარება;
- ✓ დამნაშავეთა სამართლებრივი დევნის დაწყება;
- ✓ საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონვენცია პირველი ევროპული საერთაშორისო საკანონმდებლო ინსტრუმენტია, რომელმაც უმთავრეს მიზნად დაისახა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია. მის მიზნებში შედის დამნაშავეთა გამოვლენა და დასჯაც.

კონვენცია ცალკე გამოყოფს პრევენციის მნიშვნელობას და სახელმწიფოებს მოუწოდებს: შეიმუშაონ ეფექტიანი პოლიტიკა და გააძლიერონ პროგრამები ტრეფიკინგის ასაცილებლად; ასევე, აქტიურად შეუწყონ ხელი საზოგადოებრივი ცნობიერებისა და შეგნების ამაღლებას სხვადასხვა ღონისძიების საშუალებით (მაგ: საგანმანათლებლო კამპანიების გამართვა, სოციალური და ეკონომიკური ინიციატივების განხორციელება, სასწავლო პროგრამების დანერგვა). ეს ღონისძიებები განსაკუთრებულად უნდა მიემართებოდეს ტრეფიკინგის სამიზნეებს, ასევე, იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც მუშაობენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში.

2.1 საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო

კონვენციის თანახმად, ბავშვები სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებებით, კერძოდ:

- ✓ კანონიერი წარმომადგენლის გარეშე მყოფ ბავშვს ენიშნება მეურვე/ მზრუნველი ან მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი, რომელიც იქნება ბავშვის წარმომადგენელი და იმოქმედებს მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე;

- ✓ სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა ბავშვის ვინაობისა და მოქალაქეობის უსწრაფესად დადგენისათვის;

- ✓ თუ ეს ბავშვის ინტერესებშია - მოიძიოს მისი ოჯახის წევრები;

- ✓ როდესაც მსხვერპლის ასაკი ვერ დგინდება, მაგრამ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ არ მიუღწევია 18 წლისთვის, იგი უნდა ჩაითვალოს ბავშვად და მიიღოს არასრულწლოვნისთვის განკუთვნილი ყველა დაცვის საშუალება მისი ასაკის დადგენამდე;

- ✓ ბავშვებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ განათლებასა და ყველა საჭიროებაზე, რომლებიც აუცილებელია მათი განვითარებისთვის;

- ✓ ბავშვის დაბრუნებამდე უნდა შეფასდეს მისი უსაფრთხოება; არასრულწლოვანი უნდა დააბრუნონ მხოლოდ მაშინ, თუ ეს მის საუკეთესო ინტერესებშია;

- ✓ გამოძიებისა და სასამართლო პროცესის ყველა ეტაპზე ბავშვები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ განსაკუთრებული დაცვით.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად შექმნილია არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომლებიც ავსებს ტრეფიკინგის მიმართულებით შემუშავებულ საერთაშორისო კანონმდებლობას. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ: ბავშვის უფლებების კონვენცია - ყველაზე სრულყოფილი დოკუმენტი ბავშვის უფლებათა დაცვის კუთხით; ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა დაცვა ასეთი დანაშაულისგან და მათი დახმარება.

ასევე აღსანიშნავია ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნა უცხო ქვეყნის მოქალაქე მსხვერპლთან მიმართებით: კერძოდ, მხარე სახელმწიფო ვალდებულია, ყველა პირობა შექმნას ქვეყანაში, რათა მსხვერპლს მიეცეს მის ტერიტორიაზე დროებით ან მუდმივად დარჩენის უფლება. ამავე დროს, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა ზომა მსხვერპლის მშობლიურ ქვეყანაში დასაბრუნებლად. უმნიშვნელოვანესი დათქმაა, რომ დაბრუნება უნდა

2.1 საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო

განხორციელდეს ნებაყოფლობით. ამ პროცესში სახელმწიფო ვალდებულია, შეამოწმოს, ნამდვილად არის თუ არა მსხვერპლი იმ ქვეყნის მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები პირი, სადაც მას აბრუნებს. პროცესში გასათვალისწინებელია მსხვერპლის პირადი უსაფრთხოება და ტრეფიკინგის ფაქტზე აღძრული ნებისმიერი სამართალწარმოება. მსხვერპლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არავითარი საფრთხე არ უნდა ემუქრებოდეს იმ ქვეყანაში, სადაც ბრუნდება. ეს რისკები სიღრმისეულად უნდა შეისწავლონ და შეაფასონ იმ სახელმწიფოს შესაბამისმა სამსახურებმა, რომლის ტერიტორიაზე იმყოფება მსხვერპლი.

2.2. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოს კანონმდებლობა იზიარებს და ითვალისწინებს საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომლებიც შეეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლას და ეყრდნობა საერთაშორისო აქტებით დამკვიდრებულ შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ✓ ტრეფიკინგის დანაშაულის ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა;
- ✓ ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებათა დაცვა;
- ✓ ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენცია;
- ✓ ჩართული უწყებების ურთიერთთანამშრომლობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) საქართველოში დასჯადი ქმედებაა 2003 წლიდან, როცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ის განისაზღვრა დანაშაულად. ტრეფიკინგთან ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოს კანონის მიღება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2006). როგორც ეს კანონი, ასევე სისხლის სამართლის მუხლები ტრეფიკინგის შესახებ წლების განმავლობაში არაერთხელ შეიცვალა, დაიხვეწა და მოერგო თანამედროვე გამოწვევებს.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონით განისაზღვრა თითოეული სახელმწიფო უწყების კომპეტენცია ტრეფიკინგთან ბრძოლაში, ასევე, ის ძირითადი სტანდარტები და მექანიზმები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ შესაბამისმა დაინტერესებულმა უწყებებმა. კანონით რეგულირდება ადამიანით ვაჭრობის

(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა უფლებების დაცვა, დახმარება და რეაბილიტაციაც. ამასთანავე, კანონში ცალკე თავი ეთმობა ტრეფიკინგის არასრულწლოვან მსხვერპლთა უფლებებს, რაც წინგადადგმული ნაბიჯია სახელმწიფოს მხრიდან, ვინაიდან ეს თავი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არეგულირებს ბავშვთა ტრეფიკინგის საკითხებს და ითვალისწინებს საერთაშორისო კანონმდებლობით დაწესებულ მოთხოვნებს.

კანონიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, **<u>რა განსხვავებაა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისა და დაზარალებულის სტატუსებს შორის.</u>**

- **მსხვერპლი** არის პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელიც, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის მიერ მიჩნეულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად. ამ სტატუსის მინიჭება სურს იმ სავარაუდო მსხვერპლს, რომელიც არ თანამშრომლობს (უმეტესად საწყის ეტაპზე) საგამოძიებო ორგანოებთან (ეშინია, რომ საზოგადოებისა და სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდება მისი შემთხვევა, რაც ზიანს მიაყენებს მას), ან რომლის დაზარალებულად ცნობაც ყოვნდება გამოძიების ეტაპზე მიმდინარე საპროცესო მოქმედებების გამო (თუნდაც მცირე დროით).

- **დაზარალებული** არის პირი, რომელსაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ცნობილია დაზარალებულად ტრეფიკინგის დანაშაულში. ამ შემთხვევაში პირი თანამშრომლობს საგამოძიებო ორგანოებთან, ჩართულია საპროცესო მოქმედებებში და, პროკურორის გადაწყვეტილებით, ცნობილია დაზარალებულად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლის მიხედვით, ტრეფიკინგი არის: „ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე, მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.“ მისი ჩადენისთვის სასჯელის სახედ და ზომად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 7-დან 12 წლამდე ვადით. დამამძიმებელ გარემოებებში, სასჯელის ვადა შეიძლება გაიზარდოს 15-დან 20 წლამდე.

2.2. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოს სისხლის სამართლის 143[2] მუხლით იკრძალება არასრულწლოვნის ტრეფიკინგი - მისი „ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ან/და მიღება ექსპლუატაციის მიზნით“. არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის შემთხვევაში მაღალია სასჯელის ზომა. მისი ჩადენისთვის კანონით გათვალისწინებულია 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. დამამძიმებელ გარემოებებში სასჯელის ვადა 17 წლამდე იზრდება, ხოლო თუ ქმედებამ გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 17-დან 20 წლამდე, ანდა უვადო თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[3] მუხლით დასჯად ქმედებად არის შერაცხული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მომსახურებით სარგებლობა. ასეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, სასჯელი სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 3-დან 5-წლამდე ვადით, დამამძიმებელ გარემოებებში კი სასჯელის ვადა იზრდება 15 წლამდე. ეს მუხლი ითვალისწინებს დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, თუ დანაშაულზე ინფორმაციას პირი კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით მიაწვდის სამართალდამცველ ორგანოებს გამოძიების დაწყებამდე, ხელს შეუწყობს გამოძიების წარმართვას და მის ქმედებებში სხვა დანაშაულის ნიშნები არ გამოვლინდება.

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გლობალური ტენდენციები, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები

მსოფლიოში მიმდინარეობს უწყვეტი გლობალიზაციის პროცესი. სხვადასხვა ეკონომიკური სექტორი მუდმივ ცვლილებებს განიცდის: ვითარდება სავაჭრო, სამშენებლო და აგრარული ინდუსტრიები და სისტემები; გაზრდილია მოთხოვნა უფასო მუშახელზე; გამარტივებულია კომუნიკაციის არხები, რაც დამნაშავეთა ჯგუფებს საშუალებას აძლევს, იოლად გადაიბირონ მსხვერპლი ექსპლუატაციის მიზნით. ტრეფიკინგის მსხვერპლთა უმეტესობა სწორედ იმ ქვეყნებიდან არის, სადაც მძიმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემებია და საიდანაც თავის დაღწევას ცდილობენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2020 წლის ანგარიში - UNODC; Global report on trafficking in persons 2020 (შემდგომში - ანგარიში) გვაძლევს სრულ და ნათელ სურათს ტრეფიკინგის თანამედროვე ტენდენციებზე მსოფლიო მასშტაბით, ასევე, იმ ძირითად ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებს ადამიანთა მოწყვლადობას ტრეფიკინგში ჩართვის კუთხით.

ანგარიშის მიხედვით, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფად კვლავ რჩებიან ქალები და გოგონები. კვლევის თანახმად, ყოველი გამოვლენილი 10 მსხვერპლიდან, 5 იყო ზრდასრული ქალი, ხოლო 2 - გოგონა. ჯამში, გამოვლენილ მსხვერპლთა მესამედს შეადგენდნენ ბავშვები (19% გოგონა, 15% ბიჭი), საერთო მსხვერპლთა რაოდენობის 20%-ს კი - ზრდასრული მამაკაცები.

ტრეფიკიორთა სამიზნეები ხდებიან მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრები ადამიანები, რომლებსაც უკიდურესად სჭირდებათ სამუშაო. არასრულწლოვნებით მოვაჭრეთა სამიზნეები არიან ღარიბი და დისფუნქციური ოჯახები, ასევე, მშობლებისგან მიტოვებული და მზრუნველობამოკლებული ბავშვები. დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ბავშვები შეადგენენ გამოვლენილ ტრეფიკინგის მსხვერპლთა ნახევარს და ძირითადად არიან შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლნი (46%). შედარებით მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ბავშვები ძირითადად ხდებიან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი, ასევე, მათ ამათხოვრებენ და რთავენ დანაშაულებრივ საქმიანობებში. ანგარიშის მიხედვით, მოწყვლადი ჯგუფები, რომელთა მდგომარეობითაც ისარგებლეს დამნაშავეებმა, პროცენტულად ასე გადანაწილდა:

- √ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მქონე პირები - 51%;
- √ ბავშვები დისფუნქციური ოჯახებიდან - 20%;
- √ ფსიქიკური, ქცევითი ან ნევროლოგიური დარღვევების მქონე პირები - 10%;
- √ იმიგრაციის სტატუსის მქონე პირები - 10%;
- √ ოჯახის მზრუნველობას მოკლებული ბავშვები - 9%;
- √ განათლების (მათ შორის, საბაზისო) არმქონე პირები- 6%;
- √ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები - 3%;

3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გლობალური ტენდენციები, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები

უნდა აღინიშნოს, რომ ჯამში, გამოვლენილ მსხვერპლთა 50% სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლია, ხოლო 38% - შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლი. 6% ჩართეს იძულებით დანაშაულებრივ საქმიანობაში, 1%-ზე მეტი კი - მათხოვრობაში. გაცილებით მცირე რაოდენობის ადამიანი გახდა იძულებითი ქორწინების, ორგანოებით ვაჭრობისა და სხვა სახის ექსპლუატაციის მსხვერპლი.

შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლნი, ძირითადად, ხდებიან შემდეგ ეკონომიკურ სექტორებში:

- √ სოფლის მეურნეობა
- √ მშენებლობა
- √ თევზჭერა
- √ სამთო მრეწველობა
- √ გარე ვაჭრობა
- √ შინამოსამსახურეობა.

მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლთა ექსპლუატაციის ფორმები განსხვავდება სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორში, ერთი ასპექტი საერთოა: ეს არის შრომითი უფლებების უხეში დარღვევა, რომელიც სულ უფრო ინტენსიურ სახეს იღებს და აუარესებს დასაქმებულთა მდგომარეობას. ასეთი დარღვევები უკავშირდება დაბალ ანაზღაურებას, არანორმირებულ სამუშაო საათებს, დასაქმებულის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის დაბალ სტანდარტს, ასევე, არაფორმალურ დასაქმებას.

4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევი ფაქტორები

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევი ფაქტორები შეიძლება დავყოთ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, თუმცა არსებობს ძირითადი მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობს ამ მძიმე დანაშაულის არსებობასა და მასშტაბურ გავრცელებას. ესენია:

- ✓ ეკონომიკური ფაქტორები;
- ✓ სოციალური ფაქტორები;
- ✓ პოლიტიკური ფაქტორები;
- ✓ განათლების დაბალი დონე;
- ✓ განვითარებული კომუნიკაციის საშუალებები.

ეკონომიკურ ფაქტორებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ გლობალიზაციის თემას: თანამედროვე სამყაროში ამ პროცესმა წარმოშვა ინტენსიური სახელმწიფოთაშორისი კომუნიკაციის მოთხოვნა სხვადასხვა სექტორში, განსაკუთრებით, ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროებში. ამ ტენდენციის გამო, საჭირო გახდა შრომითი რესურსების მობილიზება, რასაც დაემატა დღევანდელი მსოფლიოს დიდი მოთხოვნა იაფ მუშახელზე. ყოველივე ზემოაღნიშნულს მოჰყვა ინტენსიური შრომითი მიგრაცია, რომელსაც ხშირად განაპირობებს იმ ქვეყნების სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისები, საიდანაც მიგრირებენ დასაქმების მსურველი ადამიანები. ამ გარემოებას სათავისოდ იყენებენ დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლები: ისინი იწყებენ არალეგალურ საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით, აფუძნებენ სხვადასხვა ბიზნესს და იღებენ დიდ მატერიალურ შემოსავალს. დამნაშავეთა ჯგუფები ქმნიან ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ქსელს და იაფი მუშახელი სოციალურად და ეკონომიკურად შეჭირვებული ქვეყნებიდან გადაჰყავთ შედარებით მდიდარ ქვეყნებში.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისთვის ღარიბი ქვეყნები მთავარი წყაროა, სადაც/საიდანაც ხერხდება მათი გადაბირება, გადაყვანა და ექსპლუატაციაში ჩაბმა. მსხვერპლი პირდაპირ ან სატრანზიტო ქვეყნის გავლით გადაჰყავთ დანიშნულების სახელმწიფოში, სადაც რთავენ ექსპლუატაციაში. არის შემთხვევები, როდესაც მსხვერპლი თვითონ ტოვებს თავის ქვეყანას კანონიერი გზებით და გადადის სხვა სახელმწიფოში. პირის ტრეფიკინგში ჩაბმის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ნაკლები წვდომა ინფორმაციაზე საზღვარგარეთ არსებული სამუშაო პირობების შესახებ, რაც დასაქმების მსურველ ადამიანებს ტრეფიკინგის საფრთხის წინაშე აყენებს.

4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევი ფაქტორები

ეკონომიკური ფაქტორების განხილვისას, მნიშვნელოვანია, შევეხოთ შრომის ანაზღაურების ოდენობას: დაბალანაზღაურებად ქვეყნებში ადამიანები ცდილობენ, საზღვარგარეთ მოძებნონ სამსახური, სადაც შეიძლება გაცილებით მეტი ხელფასი შესთავაზონ. ამ შემთხვევაში, მიმღები ქვეყანა შეიძლება არ შედიოდეს განვითარებული ქვეყნების ჩამონათვალში, მაგრამ იქ არსებული ანაზღაურება აკმაყოფილებდეს დასაქმების მსურველს. მსგავსი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია სოფლის მეურნეობასა ან შინამეურნეობებში დასაქმებისას.

სოციალური ფაქტორები უკავშირდება საყოველთაო სიღარიბესა და მძიმე სოციალურ პირობებს, რომლებიც იწვევს უმუშევრობას და არ იძლევა დასაქმების შესაძლებლობას. ეს ფაქტორი პირს აიძულებს, დატოვოს ქვეყანა და სამუშაო სხვაგან ეძებოს. ასეთ დროს ძალზე მარტივია პირის დაყოლიება, რომ დასაქმდეს ნებისმიერ ადგილზე და შეასრულოს ნებისმიერი საქმე (მათ შორის, დანაშაულებრივიც).

სოციალურ ფაქტორში შეიძლება მოვიაზროთ სხვადასხვა სოციუმში არსებული ჩვეულებები, ტრადიციები და რელიგიური აღმსარებლობებიც. ზოგიერთი ტრადიცია და რელიგია ნორმად მიიჩნევს ადამიანთა მონურ მდგომარეობაში ყოფნას და არავითარ ბარიერს არ აწესებს მის აღსაკვეთად.

სოციალურ მიზეზებში უნდა დავასახელოთ მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე. მათ არ აქვთ ან მწირი ინფორმაცია აქვთ საკითხზე, თუ რომელი ქმედებებია უკანონო და დასჯადი და რისი უფლებები ენიჭებათ მათ სახელმწიფოში. ეს ზრდის რისკს, რომ აღნიშნული ადამიანები აღმოჩნდებიან დამნაშავეთა ხელში.

პოლიტიკურ ფაქტორებში, ძირითადად, იგულისხმება სახელმწიფოს დამოკიდებულება ისეთი მძიმე პრობლემისადმი, როგორიცაა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი). არსებობს ქვეყნები, სადაც არავითარი შემაკავებელი საკანონმდებლო ნორმები არ მოქმედებს ტრეფიკინგთან ბრძოლისათვის. მათ არ აქვთ უშუალოდ ამ დანაშაულის აღსაკვეთად შექმნილი სამსახურები. ამას შეიძლება ემატებოდეს მოუწესრიგებელი საემიგრაციო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანთა გადინება-შემოდინებას ყოველგვარი კონტროლის გარეშე. ყველა ზემოაღნიშნული პრობლემა ტრეფიკიორთა ჯგუფებს აძლევს საშუალებას, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფლად განახორციელონ დანაშაულებრივი ქმედებები.

პოლიტიკურ ფაქტორებში უნდა მოვიაზროთ ქვეყნის შიგნით არსებული სამოქალაქო დაპირისპირებები, ასევე, ქვეყნებს შორის სამხედრო კონფლიქტები. საომარი სიტუაციები და ქვეყანაში შექმნილი ქაოტური მდგომარეობა ხელს უწყობს დამნაშავეთა დანაშაულებრივ საქმიანობასა და დაუსჯელად დარჩენას.

4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევი ფაქტორები

ტრეფიკინგის პოლიტიკურ მიზეზთა შორის უნდა დავასახელოთ ელიტური კორუფცია. ამ დროს დამნაშავეთა დაჯგუფებებს, რომლებიც ფლობენ „მაღალშემოსავლიან“ ბიზნესს, საშუალება ეძლევათ, ქრთამის მეშვეობით მიიმხრონ პოლიტიკური ელიტა და შეუფერხებლად წარმართონ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა.

ტრეფიკინგის გამომწვევ ფაქტორებს უნდა მივაკუთვნოთ **მოსახლეობის განათლების დაბალი დონეც.** განათლება ადამიანს აძლევს სამსახურის შოვნის მეტ შანსს, ასევე, საშულებას, იცოდეს საკუთარი უფლებები და თავი დაიცვას დამოუკიდებლად. რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო სწორად და სიღრმისეულად აფასებს რისკებს, რომლებიც შეიძლება შემოთავაზებულ სამუშაოს ახლდეს. განათლება ერთგვარი პრევენციაა ტრეფიკინგის ასაცილებლად. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ის ადამიანები ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი, რომლებსაც ნაკლები ზოგადი განათლება ჰქონდათ, რის გამოც ადვილად აღმოჩნდნენ დამნაშავეთა ხელში.

განვითარებული კომუნიკაციის საშუალებები დამნაშავეთა დაჯგუფებებს ხელს უწყობს, რომ მარტივად დაამყარონ ურთიერთკავშირი. მათ აღარ სჭირდებათ რომელიმე რეგიონსა ან ქვეყანაში ფიზიკურად გადაადგილება, რამაც გაართულა მათი იდენტიფიკაცია. განვითარებულმა კომუნიკაციებმა დამნაშავეებს საშუალება მისცა, კიდევ უფრო მარტივად გადაიყვანონ მსხვერპლი ერთი ადგილიდან/ქალაქიდან/ქვეყნიდან მეორეში და ჩააბან ექსპლუატაციაში. ტრეფიკინგის ძირითადი მიზეზი, რომელიც ყოველდღიურად ვითარდება, არის ინტერნეტკომუნიკაციები. ინტერნეტის განვითარებამ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს ხელი შეუწყო, რომ ონლაინსივრცეშიც შეექმნათ ისეთი მაღალშემოსავლიანი მიმართულებები, როგორიცაა პორნოინდუსტრია და სექსუალური მომსახურების შეთავაზება. ინტერნეტის მეშვეობით ვრცელდება სხვადასხვა რეკლამაც, რომლებიც ხელს უწყობს მსხვერპლთა ადვილად გადაბირებასა და ჩართვას ექსპლუატაციაში.

5. მითები და რეალობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა შესახებ

საზოგადოებაში ბევრი მითი ვრცელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა შესახებ. ეს ხელს უშლის რეალური სურათის დანახვას და ხშირად არასწორ წარმოდგენებს აყალიბებს საზოგადოების წევრებს შორის მსხვერპლთა მიმართ. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, შევეხოთ რამდენიმე მათგანს, რათა რეალური და ნათელი წარმოდგენა გვქონდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლზე, ვინაიდან ჩვენმა არასწორმა შეფასებამ შეიძლება დაამძიმოს მათი ისედაც რთული მდგომარეობა.

- **მითი**: თუ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლმა თანხმობა განაცხადა წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე, ეს არ იქნება ტრეფიკინგი, ვინაიდან წინასწარ იცოდა, რა ელოდა წინ და გააზრებული ჰქონდა ეს ნაბიჯი.

  ✓ **რეალობა**: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლის ნორმები და ეროვნული კანონმდებლობა იმპერატიულად აცხადებს, რომ მსხვერპლის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ ენიჭება ქმედების დანაშაულად კვალიფიცირებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად მსხვერპლის თანხმობა მოპოვებულია იძულებით, ტყუილით, თაღლითობითა და ძალადობით.

- **მითი**: ტრეფიკიორის სამიზნეა მხოლოდ მისთვის უცნობი მსხვერპლი.

  ✓ **რეალობა**: თუ გადავხედავთ ჩვენი და სხვა ქვეყნების მაგალითებს, დავინახავთ, რომ ბევრი გადარჩენილი მსხვერპლი ტრეფიკინგში ჩართო სწორედ მისმა ოჯახის წევრმა, მათ შორის, მშობელმა, და-ძმამ, ან პარტნიორმა. აქედან გამომდინარე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მშობლები და ნათესავები შეიძლება ჩართულნი იყვნენ ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის პროცესში.

- **მითი**: მსხვერპლს შეუძლია, ნებისმიერ დროს დატოვოს ადგილი, სადაც იმყოფება, და უარი თქვას იმ სამუშაოს შესრულებაზე, რომელიც დაევალა.

  ✓ **რეალობა**: არსებობს რამდენიმე გარემოება, რომელთა გამოც მსხვერპლს არ შეუძლია სამუშაო ადგილის დატოვება და დამნაშავეებისგან გაქცევა (მაგ: ტრეფიკიორის მუქარა და ძალადობა მსხვერპლის ან მისი ოჯახის წევრების მიმართ; მუდმივი კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა; დაპატიმრების ან ქვეყნიდან გაძევების შიში დოკუმენტაციის არქონის გამო. დამნაშავეთა მუქარა, რომ ოჯახის წევრებს გაუგზავნიან შეტყობინებას მისი საქმიანობის შესახებ, ან სამართალდამცველ ორგანოებს აცნობებენ მის არალეგალურად ყოფნას სხვა ქვეყანაში).

5. მითები და რეალობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა შესახებ

- **მითი**: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ყოველთვის გამოიხატება ძალადობრივი ქმედებით მსხვერპლის მიმართ.

  ✓ **რეალობა** ამ ფენომენის კონტექსტში ყველაზე გავრცელებულია მითი, რომ მსხვერპლს იტაცებენ, კეტავენ, დოკუმენტებს ართმევენ, მასზე ფიზიკურად ძალადობენ და აიძულებენ სამუშაოს შესრულებას. სინამდვილეში დამნაშავეთა უმეტესობა მსხვერპლის გადასაბირებლად იყენებს ფსიქოლოგიურ მეთოდებს, როგორიცაა მოტყუება, თაღლითობა, მანიპულირება. ამავე დროს, ისინი ცდილობენ, მსხვერპლს შეუქმნან ილუზია, თითქოს კარგად ცხოვრობს, საკმარისი შემოსავალი აქვს და თავისუფლად გადაადგილდება. ამგვარი მეთოდების გამოყენება ართულებს მათ მიმართ დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენას, რაც კარგად იციან დამნაშავეებმაც.

- **მითი**: პირი არ უნდა მივიჩნიოთ ტრეფიკინგის მსხვერპლად, თუ თვითონ თავს მსხვერპლად არ თვლის და ფიქრობს, რომ უკეთესად ცხოვრობს და არავითარი დახმარება არ სჭირდება.

  ✓ **რეალობა**: ტრეფიკიორები ხშირად მსხვერპლს აძლევენ მცირე ოდენობის თანხებს, თუმცა კარგ ტანსაცმელსა და საკვებს, და ამით ცდილობენ დარწმუნებას, რომ უფრო კარგ პირობებში არიან, ვიდრე აქამდე იყვნენ. ამას ხშირად მსხვერპლიც იჯერებს. ამასთან, არის შემთხვევები, როდესაც მსხვერპლს არ აქვს გათვითცნობიერებული, რომ მსხვერპლია. ამის მიზეზია ცოდნისა და განათლების დაბალი დონე ძირითადი უფლებებისა და საბაზისო სამართლებრივი ნორმების შესახებ. მსხვერპლის თვითიდენტიფიცირების პრობლემის საფუძველი შეიძლება იყოს შიშიც, რომ ის დანაშაულის მონაწილეა და დაისჯება, ან თუ გაიგებენ, რას საქმიანობს, საზოგადოება აღარ მიიღებს და გარიყავს მას.

- **მითი**: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ყველა შემთხვევაში გულისხმობს მსხვერპლთა გადაყვანას სახელმწიფოს საზღვარზე.

  ✓ **რეალობა**: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ხშირად ერევათ საზღვრის უკანონო გადაკვეთაში, რომელიც ასევე დანაშაულია. ფაქტია, რომ ქმედების ტრეფიკინგად კვალიფიცირებისთვის არ არის საჭირო მსხვერპლის „გადაადგილების“ მტკიცებულება. მსხვერპლთა გადაბირება და ექსპლუატაციაში ჩართვა შესაძლებელია მსხვერპლის მშობლიურ ქალაქსა ან სოფელშიც, მეტიც, საკუთარ სახლშიც კი.

5. მითები და რეალობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა შესახებ

- **მითი**: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ხდება მხოლოდ არალეგალურ ან მიწისქვეშა ინდუსტრიებში.

  ✓ **რეალობა**: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევები გამოვლენილია ისეთ ღია ტიპის ინდუსტრიებშიც, როგორიცაა რესტორანი, მშენებლობა, ქარხნები, ფაბრიკები და სხვა.

- **მითი**: მხოლოდ ქალები და გოგონები შეიძლება იყვნენ სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი.

  ✓ **რეალობა**: სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი ხდებიან კაცები და ბიჭებიც. LGBTQ ახალგაზრდა კაცები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ტრეფიკინგის მიმართ.

- **მითი**: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლნი ხდებიან მხოლოდ არალეგალურად მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

  ✓ **რეალობა**: ტრეფიკინგის უამრავი შემთხვევა ვლინდება იმ უცხოელ მოქალაქეებთან მიმართებითაც, რომლებიც ლეგალურად ცხოვრობენ ან/და მუშაობენ უცხო ქვეყანაში. როგორც სტატისტიკა აჩვენებს, ისინი ძირითადად ხდებიან სექსუალური და შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლნი.

6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული, მისი ელემენტები და ექსპლუატაციის ფორმები

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განხილვისას, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ დანაშაულად მიიჩნევა არა მხოლოდ ადამიანის სექსუალური ექსპლუატაცია, არამედ ყველა სახის იძულებითი შრომა ან მომსახურება, დანაშაულებრივ საქმიანობასა ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა, სხეულის ორგანოს იძულებით ამოღება (გასაღების მიზნით), ასევე, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ტრეფიკინგი შეიძლება იყოს როგორც ტრანსნაციონალური (საზღვრის გადაკვეთით), ისე ლოკალური (ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩადენილი) დანაშაული.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შედგება სამი სტადიისგან: 1. ადამიანის გადაბირება, 2. ადამიანის გადაყვანა/ტრანსპორტირება სხვადასხვა მიმართულებით, 3. ადამიანის ექსპლუატაციაში ჩართვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში - სსკ) მიხედვით განვიხილოთ ტრეფიკინგის დანაშაული, მისი ელემენტები და ექსპლუატაციის ფორმები.

როგორ განმარტავს სსკ ტრეფიკინგის დანაშაულს (143[1] მუხლი):

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის: „ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.“

ამავე კოდექსის 143[2] მუხლი შეეხება არასრულწლოვნით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), რაც განმარტებულია შემდეგნაირად: „არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე, მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.“

6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული, მისი ელემენტები და ექსპლუატაციის ფორმები

მოქმედება კვალიფიცირდება ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგი), თუ სახეზეა <u>სამი ელემენტის თანაარსებობა:</u>

ქმედება

სისხლის სამართლის ნორმიდან გამომდინარე, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) სახეზეა ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებებიდან რომელიმეს ჩადენისთანავე:

<u>გადაბირება</u>

გადაბირება შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის საშუალებით, ძირითადად:

- ✓ ნაცნობების, ახლობლების, მეგობრების მეშვეობით;
- ✓ სარეკლამო განცხადებებისა და სააგენტოების მეშვეობით;
- ✓ მსხვერპლთა შერჩევით სხვადასხვა ხალხმრავალ ადგილას და დაწესებულებებში (კაფეები, ავტოსადგურები, ბაზრები).

გადაბირების მიზანს გაცილებით ადვილად აღწევენ დამნაშავეები, როცა ისინი მსხვერპლის ნათესავები ან მეგობრები არიან: მსხვერპლი ენდობა ასეთ პირს და ადვილად თანხმდება შემოთავაზებულ პირობებს. დასაქმების ადგილზე მისულს სხვა პირობები ხვდება, ნათესავ-მეგობრებს კი ვეღარ პოულობენ და მოტყუებულნი რჩებიან. გადაბირებას აიოლებს სამიზნე პირთა შერჩევა იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები ძალიან მძიმეა. ამ დროს ადამიანები მზად არიან, დაპირებული მაღალანაზღაურებადი სამუშაოს გამო დატოვონ თავიანთი ქვეყანა და წავიდნენ უცხოეთში სამუშაოდ. უმეტეს შემთხვევაში, მსხვერპლის ტრანსპორტირების თანხას ტრეფიკიორები იხდიან, რაც ვალად ედებათ და იძულებულნი არიან, დათანხმდნენ შეთავაზებულ სამუშაოს. მსხვერპლის გადაბირება შესაძლებელია სარეკლამო განცხადებებითა და დასაქმების სააგენტოთა შეთავაზებებითაც. ამ დროს მას სთავაზობენ მიმზიდველ სამუშაო პირობებს, ჰპირდებიან მაღალ ანაზღაურებას და ახდევინებენ შესაბამის თანხას. შემდგომ, დასაქმების ადგილზე მისულს, სხვა პირობები ხვდება, ხოლო პირი, რომელთანაც მსხვერპლს კონტაქტი ჰქონდა, იკარგება. გადაბირების მეთოდი ხშირად შეიძლება იყოს ძალადობრივიც (მაგ: პირი მოიტაცონ, იძალადონ მასზე და აიძულონ, შეასრულოს სამუშაო, რომელსაც სთავაზობენ). დასკვნის სახით რომ ვთქვათ, გადაბირების მეთოდები ძირითადად აგებულია ტყუილსა ან/და ძალადობრივ მეთოდებზე.

6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული, მისი ელემენტები და ექსპლუატაციის ფორმები

<u>გადაყვანა</u>

პირის გადაყვანა ერთი გეოგრაფიული წერტილიდან მეორეში. არ არის სავალდებულო, გადაყვანის მასშტაბი იყოს დიდი და აუცილებლად გულისხმობდეს საზღვრის კვეთას. ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე (მაგ: ქალაქიდან ქალაქში) მსხვერპლის გადაადგილებაც გადაყვანას ნიშნავს. გადაყვანა შესაძლებელია სხვადასხვა საშულებით, მათ შორის, ტრანსპორტით (ავტომანქანა, სამარშრუტო ტაქსი, საჰაერო და საზღვაო საშულებები). ასეთ დროს დამნაშავე(ები) ხშირ შემთხვევაში ეხმარებიან მსხვერპლს სამგზავრო დოკუმენტაციის მოგვარებასა და შესაბამისი ტრანსპორტით უზრუნველყოფაში. ხშირად დამნაშავე ახლავს კიდეც მსხვერპლს გადაყვანისას.

<u>გადამალვა</u>

ასეთ დროს დამნაშავე მალავს მსხვერპლს (მაგ: საცხოვრებელ ბინაში) სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით (მაგ: იძულება, შანტაჟი, მუქარა), რათა მომავალში ის ჩააბას ექსპლუატაციაში. გადამალვა თავის თავში მოიცავს თავისუფლების უკანონო აღკვეთასაც, რაც შესაძლოა ტრეფიკინგის დანაშაულის შემადგენელი ნაწილი იყოს და ცალკე კვალიფიკაციას არ საჭიროებს.

<u>ტრანსპორტირება</u>

მსხვერპლის გადაყვანა ერთი დასახელებული პუნქტიდან მეორეში, სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით (ავტომანქანა, სამარშრუტო ტაქსი, სამგზავრო გემი). ტრანსპორტირება მსხვერპლისთვის ხშირად მტკივნეული პროცესია: დამნაშავეებთან შეთანხმებით, მათ შეიძლება მგზავრობა მოუწიოთ ისე, რომ მესაზღვრეებმა ვერ შენიშნონ, რადგან არალეგალური გზით აპირებენ შესვლას უცხო ქვეყანაში. ამ მდგომარეობაში მსხვერპლს უწევს საკმაოდ დიდი მანძილის დაფარვა. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები სამარშრუტო ტაქსის საბარგულში დამალულნი გამგზავრებულან საზღვარგარეთ.

<u>გადაცემა</u>

მსხვერპლის ჩაბარება სხვა პირისთვის, თუნდაც დროებით გადამალვის მიზნით, მომავალში ექსპლუატაციის გასაწევად. ეს ქმედება სახეზეა მაშინ, როცა მსხვერპლს ჩააბარებენ (გადასცემენ) სხვა პირს.

<u>მიღება</u>

უკვე გადაბირებული ადამიანის მიღება პირის მიერ ექსპლუატაციის გასაწევად. შეიძლება, მიმღებს არც ჰქონდეს გამოყენებული რომელიმე მეთოდი მსხვერპლის გადასაბირებლად და გადასაყვანად (მეტიც, არც იყოს ორგანიზებული დაჯგუფების წევრი), თუმცა მისი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატება იმით, რომ გადაბირებული ადამიანი მიიღო ექსპლუატაციის მიზნით.

6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული, მისი ელემენტები და ექსპლუატაციის ფორმები

<u>დაქირავება</u>

სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის, 1431 მუხლში ნახსენები „დაქირავება“ არ უნდა გავიგოთ სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული მნიშვნელობით. ეს არის პირის დაქირავება ექსპლუატაციის მიზნით, როცა ანაზღაურების მიმღები არის არა თვითონ, არამედ სხვა პირი. გარიგება იდება გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის, მსხვერპლის მიერ გარკვეული სამუშაოს შესრულების პირობით. შეიძლება გარკვეული ანაზღაურება მიეცეს სამუშაოს შემსრულებელს (მსხვერპლს), მაგრამ ის არ იყოს შესრულებული სამუშაოს ადეკვატური.

<u>შეფარება</u>

ადამიანის დაფარვა განსაცდელისგან, რთული ვითარებიდან გამოხსნა და შეკედლება. შეფარებისას „მფარველს“ უნდა ამოძრავებდეს „შეფარებული“ პირის ექსპლუატაციის მიზანი. სხვა შემთხვევაში აღნიშნულ ქმედებას არ ექნება მართლსაწინააღმდეგო ბუნება.

<u>ადამიანის ყიდვა-გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების დადება</u>

ეს შესაძლებელია თანხის გადახდით, ან ადამიანის ნივთში გაცვლით, რის შედეგადაც ის სხვა ადამიანის „პირად საკუთრებაში“ გადადის. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც მყიდველს, ისე გამყიდველს. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ყიდვა-გაყიდვისას არ არის სავალდებულო დამნაშავის მხრიდან ისეთი ხერხების გამოყენება, როგორიცაა მოტყუება, იძულება, შანტაჟი და სხვა. კვალიფიკაციის მინიჭებისას ასევე არ აქვს მნიშვნელობა, ჰქონდა თუ არა დამნაშავეს პირის ექსპლუატაციის მიზანი - ადამიანის ყიდვა-გაყიდვა დანაშაულია ამის გარეშეც. სხვა უკანონო გარიგება შინაარსობრივად ადამიანის ყიდვა-გაყიდვის მსგავსია, განსხვავდება მხოლოდ გარიგების ფორმები. ეს შეიძლება იყოს: ბიზნესის განვითარებაში დახმარების დაპირება, სამუშაოზე მოწყობა, გამყიდველის მიერ მყიდველისთვის სასარგებლო მოქმედებების დაპირება. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ როგორც სამართლებრივ ლიტერატურაში განიმარტება, **ეს არის გარიგებები მსხვერპლის მიმართ და არა მსხვერპლთან.**

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ქმედებაც საკმარისია, რომ სახეზე გვქონდეს ტრეფიკინგის დანაშაული.

6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული, მისი ელემენტები და ექსპლუატაციის ფორმები

საშუალება

ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებებისთვის დამნაშავემ შეიძლება გამოიყენოს შემდეგი საშუალებები: ძალადობა ან იძულების სხვა ფორმები, მოტაცება, შანტაჟი, თაღლითობა, მოტყუება, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება; საზღაურის ან სარგებლის მიცემა პირისთვის, რომელსაც სხვა პირზე (მსხვერპლი) ზეგავლენა შეუძლია; საზღაურის ან სარგებლის მიღება იმ პირის თანხმობის მისაღებად, რომელსაც სხვა პირზე (მსხვერპლი) ზეგავლენა შეუძლია.

<u>ძალადობა</u> - ადამიანზე ფიზიკური ზემოქმედება სხვადასხვა აგრესიული მოქმედებით (მაგ: ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ცემა). მუქარა - ადამიანზე ფსიქიკური ზემოქმედება (იძულება) ცემის, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების, სქესობრივი დანაშაულის, მოტაცების ან სხვაგვარი ძალადობის მუქარით. შესაძლებელია, მუქარა მიემართებოდეს მსხვერპლისთვის ძვირფას ადამიანს (მაგ: ოჯახის წევრის სიცოცხლის მოსპობა). იძულების სხვა ფორმების გამოყენება - მსხვერპლის სისტემატური დამცირება და აბუჩად აგდება, რაც იძულებულს ხდის, დაემორჩილოს დამნაშავეს.

<u>მოტაცება</u> - პირის გადაადგილება მისი ნების საწინააღმდეგოდ, დამნაშავისთვის სასურველი მიმართულებით (მაგ: ადამიანის შებოჭვა, ჩასმა ავტომანქანაში და წაყვანა, ან ამ ქმედების მოტყუებით განხორციელება).

<u>შანტაჟი</u> - სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარა. მნიშვნელობა არ აქვს, ეს ცნობები ნამდვილია თუ მოგონილი, მთავარია, სახელსა და რეპუტაციას უბღალავდეს პიროვნებას საზოგადოების თვალში (მაგ: პირს ემუქრებიან, რომ გაავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს ის გარყვნილ ცხოვრებას ეწევა, ნარკომანია, კრიმინალია და ა.შ.).

<u>თაღლითობა</u> - ტრეფიკინგის კონტექსტში არის დამნაშავის მიერ სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება და შემდეგ, დაკარგული ქონების (მაგ: ფულის) დასაბრუნებლად, მსხვერპლის ჩაბმა ექსპლუატაციაში (დაპირებით, რომ დაუბრუნებს დაკარგულ ქონებას).

<u>მოტყუება</u> - ადამიანის შეცდომაში შეყვანა სხვადასხვა დაპირებით (მაგ: პოტენციურ მსხვერპლს ჰპირდებიან, რომ საზღვარგარეთ დაასაქმებენ მაღალანაზღაურებად სამუშაოზე, სინამდვილეში კი აბამენ პროსტიტუციაში).

<u>უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენება</u> - უმწეო მდგომარეობა იშვიათად გამოიყენება ტრეფიკინგის დანაშაულის საშუალებად. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ფიზიკური ნაკლის მქონე პირი, რომელიც სპეკულირებს თავისი მდგომარეობით და დაიყოლიებს ოჯახის წევრს ან მეგობარს ექსპლუატაციაში ჩასაბმელად. ამ შემთხვევაში, უმწეო მდგომარეობა დანაშაულის ამსრულებლისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. აქ არ

6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული, მისი ელემენტები და ექსპლუატაციის ფორმები

იგულისხმება მსხვერპლის ისეთი უმწეო მდგომარეობა, რომლითაც შეიძლება გადამბირებელმა ისარგებლოს. ამ შემთხვევაში დამნაშავის ქმედება დამამძიმებელ გარემოებად კვალიფიცირდება.

რაც შეეხება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, აქ არ იგულისხმება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც გათვალისწინებულია ტრეფიკინგის დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებებში, ასევე, მატერიალური დამოკიდებულება დამნაშავეზე, გათვალისწინებული 143[1] მუხლში. ეს საშუალება უნდა დავუკავშიროთ კრიმინალურ ავტორიტეტთა ძალაუფლებას, რომელსაც იყენებენ ადამიანით ვაჭრობისთვის (ტრეფიკინგისთვის).

<u>საზღაურის ანდა სარგებლის მიცემა ან მიღება იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია</u> - საზღაურის მიცემაში იგულისხმება ფულის ან სხვა ფასეულობის გადაცემა პირისთვის, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა სხვა პირზე (მაგ: ოჯახის წევრზე, ნათესავზე, მეგობარზე) და მისი იძულება ექსპლუატაციაში ჩასართავად. სარგებლის მიცემა არის ნივთის უფასოდ გადაცემა, ან ისეთი სამსახურის გაწევა, რაც ფასიანია (მაგ: რესტორნის ხარჯის გადახდა, საზღვარგარეთ გასამგზავრებელი ბილეთების შეძენა და ა.შ.). ამ ტერმინში იგულისხმება არამატერიალური სარგებელიც (მაგ: დაწინაურება სამსახურში). საზღაურის ან სარგებლის მიღებაში იგულისხმება ყველა ზემოაღნიშნული ფასეული თუ არაფასეული სარგებლის მიღება, რათა მიმღებმა ზეგავლენა მოახდინოს ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლზე.

მიზანი

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მიზანია ადამიანის ექსპლუატაცია. ექსპლუატაციად მიიჩნევა დამნაშავის შემდეგი ქმედებები მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მისაღებად:

- ✓ შრომის ან მომსახურების იძულება;
- ✓ სექსუალური მომსახურების იძულება;
- ✓ პირის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიასა ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში;
- ✓ ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარად გამოყენება;
- ✓ ადამიანის ჩაყენება მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში.

6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული, მისი ელემენტები და ექსპლუატაციის ფორმები

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ტრეფიკინგის დანაშაული სახეზეა ექსპლუატაციამდეც. მსხვერპლის რეალური ექსპლუატაცია არ არის სავალდებულო ნიშანი ქმედების ტრეფიკინგად კვალიფიცირებისთვის. მთავარია, არსებობდეს ექსპლუატაციის მიზანი.

განვიხილოთ ექსპლუატაციის თითოეული ფორმა.

<u>შრომის ან მომსახურების იძულება</u> - პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით, მის მიმართ მუქარით, შანტაჟით ან უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა (მაგ: იძულებით მუშაობა ღამის კლუბში მოცეკვავედ ან მიმტანად).

<u>სექსუალური მომსახურების იძულება</u> - ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებების გამოყენებით, მსხვერპლის იძულება, ტრეფიკიორს ან სხვა პირს გაუწიოს სექსუალური მომსახურება. ექსპლუატაციის ამ ფორმის ფართო განმარტება დღეისათვის თეორიაში არ გვხვდება. როგორც წესი, მას მოიცავს ტერმინები: „სექსუალური ექსპლუატაცია“ და „იძულებითი პროსტიტუცია“.

<u>პირის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიასა ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში</u> - პირის ჩართვა წვრილმან ქურდობაში, მათხოვრობაში, პროსტიტუციაში, სხვა სახის სქესობრივ მომსახურებაში ან პორნოგრაფიული მასალის წარმოებაში, მის მიმართ მუქარით, ძალადობით, იძულებით, შანტაჟით, უმწეო ან თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ან სამუშაოს სახისა და პირობების მოტყუებით.

<u>ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარად გამოყენება</u> - ფიზიკური და ფსიქიკური იძულებით ან მოტყუების ხერხებით პირის სხეულიდან ორგანოს, მისი ნაწილის ან ქსოვილის ამოღება. როგორც წესი, დამნაშავეებს ამ დროს ამოძრავებთ მატერიალური შემოსავლის მიღების მიზანი, ვინაიდან ადამიანის ორგანოთა შავი ბაზარი აქტიურად მუშაობს და მისი ბრუნვა ყოველწლიურად 500 მილიონს სცილდება. ორგანოთა გასხვისება თითქმის ყველა ქვეყანაში აკრძალულია, მაგრამ ეს ვერ აბრკოლებს დამნაშავეებს მსგავს საქმიანობაში. საქართველოში ასეთი სახის ტრეფიკინგის ფაქტი სამართალდამცველ ორგანოებს არ გამოუვლენიათ, თუმცა, ორგანოებით ვაჭრობის მასშტაბებიდან გამომდინარე, ეს არ ნიშნავს, რომ მსგავსი საფრთხე ჩვენ არ გვემუქრება.

6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული, მისი ელემენტები და ექსპლუატაციის ფორმები

ადამიანის ჩაყენება მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში - საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით (სსკ), ეს არის მდგომარეობა, როდესაც პირი ანაზღაურებით, არაადეკვატური ანაზღაურებით, ან ანაზღაურების გარეშე, სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა სხვა სახის მომსახურებას და არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირზე დამოკიდებულების გამო.

დამნაშავეზე დამოკიდებულება შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა გარემოებით, მათ შორისაა:

- ✓ პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ჩამორთმევა, გაკონტროლება ან განზრახ ხელყოფა. ჩამორთმევა არის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გასვლა პირის მფლობელობიდან; გაკონტროლებისას პირი ფლობს საიდენტიფიკაციო დოკუმენტს, მაგრამ შეზღუდულია სარგებლობაში, რადგან დამნაშავეთა ზედამხედველობის ან თანხმობის გარეშე ვერ იყენებს მას; საიდენტიფიკაციო დოკუმენტის განზრახ ხელყოფის შემთხვევაში, პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტს დამნაშავე განზრახ ანადგურებს, ან ისე აზიანებს, რომ მისი გამოყენება შეუძლებელია.

- ✓ თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა ან/და კონტროლი. გადაადგილების უფლების შეზღუდვისას მსხვერპლს ეკრძალება გადაადგილება დამნაშავის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროსა და ადგილას; გადაადგილების უფლების კონტროლის შემთხვევაში, პირს შეუძლია, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე გადაადგილება, თუმცა მას ყოველთვის დაჰყვება „მაკონტროლებელი“, რომელიც ზედამხედველობს.

- ✓ ოჯახის წევრებსა ან სხვა პირებთან კომუნიკაციის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტის შეზღუდვა ან/და კონტროლი. კონტაქტის შეზღუდვა გულისხმობს კომუნიკაციის შეზღუდვას დამნაშავის მიერ აკრძალულ თემებზე ან პირებთან (ოჯახის წევრები, მეგობრები); კონტროლის დროს კი კომუნიკაცია ხორციელდება დამნაშავეთა ზედამხედველობითა და მეთვალყურეობით.

- ✓ იძულებითი ან დამაშინებელი გარემოს შექმნა. დამაშინებელ გარემოში დამნაშავეები მსხვერპლს უქმნიან ისეთ პირობებს, რომლებიც პირს აფიქრებინებს, რომ თუ არ დაემორჩილება ტრეფიკიორს, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება. შედეგად, მსხვერპლს შიშის განცდა უჩნდება და უფრო დაუცველი ხდება. ამის მაგალითია შეიარაღებულ პირთა მოძრაობა დასაქმების ადგილზე, ასევე, ჩაკეტილი სამუშაო სივრცე. იძულებითი გარემოს მაგალითია ტრეფიკიორის მუქარა, რომ სამართალდამცველებს მიაწვდის ინფორმაციას მსხვერპლის საემიგრაციო სტატუსზე. ასეთ დროს მსხვერპლს უჩნდება შიში, რომ სამართალდამცველი ორგანოები

დააკავებენ, რის გამოც მზად არის, დაემორჩილოს ტრეფიკიორს და შეასრულოს მოთხოვნილი სამუშაო.

- მსხვერპლის დამნაშავეზე დამოკიდებულების კიდევ ერთი მიზეზია სავალო კაბალა - მდგომარეობა, როდესაც მსხვერპლს აქვს ტრეფიკიორის ვალი (მაგ: დასაქმებისა და ტრანსპორტირების თანხები ტრეფიკიორმა გადაიხადა). ვალის გასასტუმრებლად, პირი ასრულებს „ტრეფიკიორის" მიერ განსაზღვრულ მომსახურებას/სამუშაოს, თუმცა ეს ვალი უფროდაუფრო იზრდება და არ იფარება. შეიძლება დამნაშავემ მოიგონოს არარსებული ვალიც, რომლის გადასახდელადაც მსხვერპლს უწევს მოთხოვნილი სამუშაოს შესრულება.

აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება **არასრულწლოვანთა ვაჭრობაზე (ტრეფიკინგზე),** რომელიც რეგულირდება სსკ-ის ცალკე მუხლით (143[2]). ეს არის: „არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე, მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით."

არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისა და 143[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშულის ობიექტური მხარეები მსგავსია, თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ: არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის დროს სავალდებულო არ არის, გამოყენებული იყოს ზემოხსენებული დანაშაულის საშუალებები (ხერხები): იძულება, შანტაჟი, მოტყუება და ა.შ. დამნაშავის მიერ მათი გამოყენება უნდა კვალიფიცირდეს დამამძიმებელ გარემოებად.

> არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის ხერხებს არ უნდა მივანიჭოთ მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. ქმედება და ექსპლუატაციის მიზანი საკმარისი ნიშნებია მისი დანაშაულად კვალიფიცირებისთვის.

მსხვერპლის გადაბირებისა და გადაყვანის სტადიები მსგავსია როგორც სრულწლოვნის, ისე არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევაში. აქაც არ ენიჭება მნიშვნელობა ექსპლუატაციის უშუალოდ განხორციელებას: ასეთი მიზნის არსებობა უკვე გვაძლევს დანაშაულის შემადგენლობას. დანაშაულის კვალიფიკაციისთვის საკმარისია ზემოთ ხსენებული მუხლებით გათვალისწინებული, სულ მცირე, ერთი ქმედების ჩადენა.

7. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის განსხვავება სისხლის სამართლის კოდექსის მომიჯნავე მუხლებისგან

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განეკუთვნება რთული შემადგენლობის დანაშაულთა კატეგორიას. ტრეფიკინგის კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, მას არაერთი მუხლი ესაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსში. მნიშვნელოვანია, ქმედების კვალიფიკაციისას სიღრმისეულად შეფასდეს თითოეული გარემოება და სამართლებრივად სწორად მიენიჭოს კვალიფიკაცია, რადგან მომიჯნავე მუხლებთან გადაკვეთის ალბათობა საკმაოდ მაღალია.

განვიხილოთ სსკ-ით გათვალისწინებული რამდენიმე დანაშაული (მომიჯნავე მუხლები) და ვცადოთ ტრეფიკინგის გამიჯვნა მათგან.

- <u>არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მუხლი 171)</u> - ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არასრულწლოვნის ჩაბმისთვის სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მაგ: მათხოვრობა, აზარტული თამაშები, პროსტიტუცია, ლოთობა, მაწანწალობა), რომლებიც არ არის დანაშაული. არასრულწლოვნის დაყოლიება ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე ადვილია: ის ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ზნეობრივად და ბიოლოგიურად, რაც განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს არასრულწლოვანზე, სრულწლოვანთან შედარებით. სწორედ ეს არის სსკ-ის მიხედვით ქმედების დანაშაულად გამოცხადების ძირითადი მიზეზი. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ამ დროს დამნაშავეს არ ამოძრავებს არასრულწლოვნის ექსპლუატაციის მიზანი, დანაშაულის შემადგენლობა იკვეთება მაშინ, როცა არასრულწლოვანი ჩაებმება ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (დადგება შედეგი). თუ საქმე ეხება არასრულწლოვნის გადაბირებას პროსტიტუციაში ჩასაბმელად და შემდგომი ექსპლუატაციისთვის (ანუ დამნაშავე სრულად მიითვისებს პროსტიტუციით მიღებულ თანხებს), ქმედება კვალიფიცირდება, როგორც არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი. როგორც ვნახეთ, ამ ორ დანაშაულს შორის მთავარი განსხვავებაა ექსპლუატაციის მიზნის არსებობა, რაც არ უნდა დაგვავიწყდეს კვალიფიკაციის ეტაპზე.

- <u>არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვა მისი შვილად აყვანის მიზნით (სსკ-ის 172-ე მუხლი)</u> - მოიცავს არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვას თანხის გადახდით, ვალში ჩათვლით, ან ნივთში გაცვლით. ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიზანია მხოლოდ ბავშვის შვილად აყვანა. თუ პირი არასრულწლოვანს ყიდულობს „ნივთის“ მნიშვნელობით, ან/და შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით, სახეზეა არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და არა ზემოაღნიშნული დანაშაული.

- <u>პროსტიტუციაში ჩაბმა (მუხლი 253)</u> - ეხება პირის იძულებას (დაყოლიებას, ჩათრევას) სხეულით ვაჭრობაზე. ტრეფიკინგსა და ამ მუხლით განსაზღვრულ დანაშაულს განასხვავებს ერთ-ერთი მთავარი ნიშანი: პროსტიტუციაში ჩაბმას წინ არ უძღვის ქმედებები, რომლებიც დამახასიათებელია ადამიანით ვაჭრობისთვის (ტრეფიკინგისთვის) და გვაძლევს დანაშაულის შემადგენლობას (მაგ: ადამიანის ყიდვა, გაყიდვა,

გადამალვა, დაქირავება და ა.შ.). ამავე დროს, პირს, რომელიც მეორე პირს აბამს პროსტიტუციაში, არ უნდა ამოძრავებდეს მისი ექსპლუატაციის მიზანი, განმარტებული 1431 მუხლში. ასეთი მიზნის გამოკვეთის შემთხვევაში, მივიღებთ ტრეფიკინგის შემადგენლობას და არა პროსტიტუციაში ჩაბმას. 253-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, დასრულებული დანაშაული სახეზეა მაშინ, როცა დამნაშავე ჩააბამს პირს პროსტიტუციაში, ხოლო ტრეფიკინგის შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენს შეიძლება მომავალში ჰქონდეს გამიზნული პირის ჩაბმა ამ საქმიანობაში.

- <u>პროსტიტუციის ხელშეწყობა (მუხლი 254)</u> - იგულისხმება როგორც პროსტიტუციისთვის ადგილის დათმობა, ისე პირის დაყოლიება პროსტიტუციაზე, ან სხვა ისეთი არაძალადობრივი ქმედება, რომელიც ხელს უწყობს პირის მონაწილეობას ასეთ საქმიანობაში. 254-ე და 1431 მუხლებს განასხვავებს დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებები: ტრეფიკინგის დროს ისინი უმეტესად გამოიხატება ძალადობრივი ქმედებებით (მსხვერპლის გადასაბირებლად დამნაშავემ შეიძლება გამოიყენოს მუქარა, შანტაჟი ან იძულება); 254-ე მუხლის შემთხვევაში კი ეს საშუალებები არაძალადობრივია (დამნაშავე ძირითადად დაპირებებითა და საუბრებით იყოლიებს მსხვერპლს თანხმობის მოსაპოვებლად). კიდევ ერთი განსხვავებაა მიზანი: ტრეფიკინგის დროს დამნაშავეებს ამოძრავებთ მსხვერპლის ექსპლუატაციის მიზანი - სამუშაოს იძულებით შესრულება და გამომუშავებული თანხების სრულად მითვისება; პროსტიტუციის ხელშეწყობისას კი დამნაშავეს ასეთი მიზანი არ აქვს და შესაძლებელია, პროსტიტუციაში ჩაბმული პირის სამუშაოს სანაცვლოდაც არ იღებდეს რაიმე მატერიალურ სარგებელს. ამ მუხლის ზოგად მიზანია არასრულწლოვანთა დაცვა პროსტიტუციაში ჩაბმისგან და პროსტიტუციის ხელშეწყობის პრევენცია.

- <u>პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება (მუხლი 255) და არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში (მუხლი 255[1])</u> -იგულისხმება პორნოგრაფიული ნაწარმოების, ნაბეჭდი გამოცემის, გამოსახულების ან სხვა პორნოგრაფიული ხასიათის საგნის უკანონო დამზადება-გასაღება და არასრულწლოვნის ჩაბმა ამ პროცესში. მთავარი, რაც ამ მუხლებს განასხვავებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისგან, არის ექსპლუატაციის მიზნის არარსებობა. ტრეფიკიორს ცალსახად ამოძრავებს ექსპლუატაციის მიზანი, როდესაც არასრულწლოვანს აბამს პორნოგრაფიაში: ის არასრულწლოვანს იყენებს სამუშაოს შესასრულებლად და ისაკუთრებს მის მიერ გამომუშავებულ თანხებს. ზემოაღნიშნული მუხლების შემთხვევაში კი შეიძლება, ასეთი მიზანი სულაც არ ჰქონდეს დამნაშავეს. კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია

დანაშაულის დადგომის მომენტი: ტრეფიკინგის დროს დამნაშავე შეიძლება მიზნად ისახავდეს არასრულწლოვნის ექსპლუატაციას (ამ შემთხვევაში, პორნოგრაფიაში ჩართვას), მაგრამ ამის მიღწევა ვერ მოახერხოს. ექსპლუატაციის რეალურად განუხორციელებლობა არ გამორიცხავს ქმედების ტრეფიკინგად კვალიფიკაციას. 2551 მუხლის შემთხვევაში კი დანაშაულის შემადგენლობა გვექნება იმ მომენტიდან, როცა არასრულწლოვანი რეალურად ჩაერთვება პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში.

- <u>საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანა ან/და მისთვის საქართველოში უკანონოდ ყოფნისათვის შესაბამისი პირობების შექმნა (მუხლი 344[1])</u> - ამ დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანით და საქართველოში უკანონოდ ყოფნის ხელშეწყობით, რაც ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით. ამ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულსა და ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) ძირითადად განასხვავებს დანაშაულის მიზანი: ტრეფიკინგის შემთხვევაში დამნაშავის მიზანია მსხვერპლის ექსპლუატაცია, ხოლო საზღვარზე პირის უკანონო გადაყვანისას - ქვეყნის ტერიტორიაზე მიგრანტთა არაკანონიერად შესვლის ხელშეწყობა (უმეტეს შემთხვევაში, ანგარების მოტივით). ამ ორ დანაშაულს განასხვავებს ისიც, რომ საზღვარზე პირის უკანონო გადაყვანისას არ არის საჭირო გადაბირება: პირს თავად სურს ეს, მაშინ, როცა ადამიანით მოვაჭრეები იყენებენ გადაბირების სხვადასხვა ხერხს. საზღვრის უკანონო გადაკვეთის აუცილებელი ნიშანია საზღვრის კვეთა, განსხვავებით ტრეფიკინგისგან, რომლის ჩადენა შესაძლებელია ქვეყნის შიგნითაც. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის პიროვნების წინააღმდეგ დანაშაული, რომელიც ლახავს მის ფუნდამენტურ უფლებებს, ხოლო პირის უკანონო გადაყვანა საზღვარზე არის დანაშაული ქვეყნის წინააღმდეგ, რა დროსაც ირღვევა საემიგრაციო კანონმდებლობა და არ იგულისხმება დანაშაულის ჩადენა გადაყვანილ მიგრანტთა მიმართ.

- ოჯახში ძალადობა (126[1] მუხლი) - ეხება ოჯახის ერთი წევრის მიერ სხვა წევრის მიმართ ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟსა ან დამცირებას, რომელმაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა. სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც მოიაზრებიან ოჯახის წევრებად. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, ოჯახის წევრად მიიჩნევა: „დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი

7. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის განსხვავება სისხლის სამართლის კოდექსის მომიჯნავე მუხლებისგან

მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.“ ოჯახში ძალადობასა და ტრეფიკინგს შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია განსხვავება დამნაშავის სუბიექტსა და ობიექტს შორის: ოჯახში ძალადობის შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობა სახეზეა მხოლოდ მაშინ, როცა დანაშაულის სუბიექტებიც და ობიექტებიც ოჯახის წევრები არიან (ზემოთ ჩამოთვლილი პირები); ტრეფიკინგის შემთხვევაში შესაძლებელია ოჯახის წევრმა ძალადობით მოახერხოს სხვა წევრის გადაბირება, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში და მხოლოდ კონკრეტული მიზნით (ექსპლუატაციაში ჩართვა). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობისას დამნაშავეს არ ამოძრავებს მსხვერპლის ექსპლუატაციის მიზანი, რაც ტრეფიკინგისთვის მთავარი მახასიათებელია.

8. ეროვნული რეფერალური მექანიზმი

ეროვნული რეფერალური მექანიზმის მთავარი ფუნქციაა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სწრაფი იდენტიფიცირება და სახელმწიფო მომსახურებებში ჩართვა. საქართველოს კანონმდებლობით შექმნილია მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც სავარაუდო მსხვერპლს ანიჭებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსს. იდენტიფიცირების პროცედურა ხორციელდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის მიხედვით (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 აპრილის №284 დადგენილებით).

> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისა და დაზარალებულის სტატუსებს აბსოლუტურად თანაბარი მნიშვნელობა აქვთ მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნებისთვის.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დამტკიცდა მუდმივმოქმედი ჯგუფის შემადგენლობა და ფუნქციები: ის შედგება არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციების 5 წარმომადგენლისგან.
ჯგუფის წევრებს ევალებათ, რომ საიდუმლოდ შეინახონ სავარაუდო მსხვერპლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, მისთვის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის მიუხედავად. მონაცემთა გამჟღავნება იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.
აღსანიშნავია, რომ მუდმივმოქმედი ჯგუფის მთავარი მიზანია იმ მსხვერპლთა სწრაფი იდენტიფიცირება, რომლებსაც მძიმე ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ზიანი მიადგათ ტრეფიკინგის შედეგად და ესაჭიროებათ დაუყოვნებლივი რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან. მსხვერპლს შეუძლია, პირველ ეტაპზე სამართალდამცველ ორგანოებთან თანამშრომლობისა და ბიუროკრატიული ღონისძიებების გვერდის ავლით ისაუბროს თავის პრობლემაზე, მიიღოს მსხვერპლის სტატუსი და ჩაერთოს რეაბილიტაციის სერვისებში. ამავე დროს, ხაზგასასმელია გარემოება, რომ სავარაუდო ტრეფიკინგის მსხვერპლისთვის სტატუსის მინიჭებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი სახელმწიფო უწყებებში და მთლიანად მათზეა დამოკიდებული გადაწყვეტილების მიღებაც და მისი შედეგებიც. იდენტიფიცირების ამგვარი სტანდარტის დამკვიდრება უდიდეს წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურა

თანმიმდევრულად განვიხილოთ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურა.



როგორც ვხედავთ, იდენტიფიცირების პროცედურის დასაწყებად საჭიროა ინფორმაცია სავარაუდო მსხვერპლის შესახებ. ამას დაუყონებლივ მოჰყვება სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ (შემდგომში - სააგენტო) სპეციალური მობილური ჯგუფის შეხვედრა და გასაუბრება სავარაუდო მსხვერპლთან. ივსება კონფიდენციალური საიდენტიფიკაციო კითხვარი, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სავარაუდო მსხვერპლის ვინაობა, სავარაუდო ფაქტი და სავარაუდო მსხვერპლის ამჟამინდელი მდგომარეობა. შევსებული საიდენტიფიკაციო კითხვარი დაუყოვნებლივ წარედგინება მუდმივმოქმედ ჯგუფს. მისი მიწოდებიდან 48 საათის განმავლობაში, ჯგუფი შეისწავლის კითხვარში მოცემულ ინფორმაციას, განიხილავს სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის საკითხს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სავარაუდო მსხვერპლის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია, მუდმივმოქმედი ჯგუფიც გაესაუბროს მას, ნებისმიერი საშუალების გამოყენებით (პირისპირ კომუნიკაცია, აუდიო/ვიდეო ჩანაწერებით სარგებლობა და ონლაინგასაუბრება).

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოში მსხვერპლის სტატუსი ენიჭება მაშინ, თუ მის მიმართ დანაშაულებრივი ქმედება დაიწყო, გაგრძელდა ან დამთავრდა საქართველოში. მუდმივმოქმედი ჯგუფი ასეთ შემთხვევას განიხილავს სხვა შემთხვევათა მსგავსად და დადგენილი წესის შესაბამისად.

8. ეროვნული რეფერალური მექანიზმი

სპეციალური მობილური ჯგუფები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია იდენტიფიცირების პროცესში. როგორც წესი, მათ პირველებს უწევთ კონტაქტი სავარაუდო მსხვერპლთან. მნიშვნელოვანია, ეს კომუნიკაცია წარიმართოს მშვიდ და სანდო გარემოში. ამ ეტაპისათვის, სააგენტოს ბაზაზე არსებობს სამი მობილური ჯგუფი: ერთი ოპერირებს დასავლეთ საქართველოში, ხოლო დანარჩენი ორი - აღმოსავლეთ საქართველოში. თითოეული ჯგუფი შედგება იურისტისა და ფსიქოლოგისგან. ისინი ვალდებული არიან, საიდუმლოდ შეინახონ სავარაუდო მსხვერპლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის მიუხედავად. მონაცემთა გამჟღავნება იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, მუდმივმოქმედი ჯგუფი თითოეულ შემთხვევაზე გასცემს შესაბამის დოკუმენტს, რომლის ერთი პირი გადაეცემა მსხვერპლს, ერთი - რჩება მუდმივმოქმედ ჯგუფს, ერთი კი ეგზავნება სააგენტოს. ამასთანავე, მუდმივმოქმედი ჯგუფი მსხვერპლს წერილობით აწვდის ინფორმაციას თავშესაფრით, კომპენსაციით, იურიდიული მომსახურებით და სხვა სერვისებით სარგებლობაზე.

გაითვალისწინეთ: თუ პირი დაზარალებულად არის ცნობილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულში, ის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსს ვეღარ მიიღებს; მეორე მხრივ, ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება ვერ იქნება დამაბრკოლებელი გარემოება პირის დაზარალებულად ცნობისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად.

9. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიკაცია, დამახასიათებელი ნიშნები და ინდიკატორები ექსპლუატაციის თითოეული ფორმისთვის

ტრეფიკინგის თითოეული მსხვერპლის შემთხვევა ინდივიდუალურია. შესაბამისად, განსხვავდება მათ მიერ გამოხატული ნიშნებიც, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია მათი იდენტიფიცირება.

ამის მარტივი მაგალითია პიროვნების ტიპის (მაგ: ექსტრავერტია, თუ ინტროვერტი) გავლენა დაძლევის მექანიზმებზე (copyng strategies), რაშიც მოიაზრება ადამიანის სპეციფიკური რეაქცია კონკრეტულ სტრესულ გარემოებებზე.

მაგალითი: მოძალადის/ტრეფიკიორის დანახვის შემთხვევაში, შესაძლოა, მსხვერპლს გამოეხატოს უმწეობა (სხეულის მოშვება, გუნება-განწყობილების დაქვეითება, თვალით კონტაქტის არიდება, ინდიფერენტულობა), შიში (აქტიური თავდაცვითი პოზა, სხვებისთვის დახმარების თხოვნის არავერბალური მინიშნება, თვალების აქტიური მოძრაობა), გაბრაზება (აგრესია, სახეზე წამოწითლება, დაძაბულობა, სხეულის დაჭიმულობა, ხმამაღალი საუბარი).

ნიშნები დიდწილად დამოკიდებულია თავად პიროვნებაზე, ძალადობის ბუნებაზე (სტრესის ხანგრძლივობა და ინტენსივობა), წარსულ გამოცდილებებზე და ა.შ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, არსებობს ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მსხვერპლის ერთგვარი ფსიქოპორტრეტის გააზრება, რაც დაგვეხმარება ფოკუსის გასწორებაში. შემდგომ შესაძლებელია კონკრეტული, მაიდენტიფიცირებელი ნიშნების ჩამოთვლაც.

9.1 ტრეფიკინგის მსხვერპლის ზოგადი ფსიქოპორტრეტი - როგორ ახერხებენ ტრეფიკიორები მსხვერპლის დამორჩილებას

როგორც აღვნიშნეთ, ტრეფიკინგის მსხვერპლის ექსპლუატაცია იწყება მოწყვლადი ჯგუფების შერჩევით. ტრეფიკიორთა ძირითადი სამიზნე ჯგუფები არიან ადამიანები შემდეგი მახასიათებლებით:

- სიღარიბე/ქრონიკული უმუშევრობა /უსახლკარობა;
- დისკრიმინაცია;
- ნაკლები ხელმისაწვდომობა განათლებაზე;
- მოწყვლადობა საკუთრი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური არასტაბილურობის გამო;
- არასრული ოჯახი (ერთი მშობელი);
- ნივთიერებებზე დამოკიდებულება;
- ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობა ოჯახის ან სხვა პირის მხრიდან.

ტრეფიკიორები ძირითადად იყენებენ თაღლითობას (მოტყუებას), რათა მსხვერპლს დაუხატონ სასურველი მომავალი. ძირითადად, ასეთ ადამიანებს სთავაზობენ დასაქმებას ძიძებად, მოსამსახურეებად, მოდელებად ან ქარხნის მუშებად, თუმცა, ცხადია, შედარებით უკეთესი და ღირსეული პირობებით.

ტრეფიკიორებს ასეთი ადამიანები გადაჰყავთ სხვა ქვეყნებში, სადაც მათი იზოლირებულობა (ოჯახისგან, რელიგიური ინსტიტუციებისგან და ა.შ.) კიდევ უფრო ზრდის მათ მოწყვლადობას.

ხშირად მსხვერპლის მიმართ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რატომ არ გარბიან მოძალადისგან და/ან არ ცდილობენ სხვა მეთოდებით თავის დაღწევას? ამ კითხვაზე პასუხს გასცემს მსხვერპლის ფსიქოემოციური პორტრეტი.

ტრეფიკინგის თანამედროვე ფორმები დროთა განმავლობაში საზოგადოებისა და ტექნოლოგიების კვალდაკვალ განვითარდა. შესაბამისად, დღესდღეობით, ტრეფიკინგის შემთხვევაში გადაადგილების თავისუფლება იშვიათად იზღუდება ბორკილებით ან გისოსებით. მათი შეკავება, ძირითადად, ფსიქოლოგიური ფაქტორების „დამსახურებაა“, ხოლო ისეთი ბაზისური საჭიროებები, როგორიცაა საჭმელი და ძილი, ხშირად კონტროლის ან დასჯის მექანიზმად გვევლინება.

ფსიქოლოგიური ფაქტორებით შეკავებაში უმთავრესად იგულისხმება ერთგვარი ვალდებულებითი ურთიერთობის შექმნა, სადაც ტრეფიკიორი გამოდის კრედიტორის, ხოლო მსხვერპლი - დებიტორის (მოვალის) როლში.

9.1 ტრეფიკინგის მსხვერპლის ზოგადი ფსიქოპორტრეტი - როგორ ახერხებენ ტრეფიკიორები მსხვერპლის დამორჩილებას

მაგალითი: „შენს საქართველოში ჩამოყვანას უამრავი ფული დასჭირდა: ვიზა, საიმიგრაციო სამსახური, შენი კვება, თავშესაფრის ადგილი, ტანსაცმელი... ყველაფერი მე უზრუნველვყავი და ახლა ჩემი ვალი გაქვს. თუ კარგად იმუშავებ, მალე გამისტუმრებ და გაგათავისუფლებ, მაგრამ სანამ ვალი გექნება, ვერსად წახვალ."

როგორც წესი, ამ ვალის მოცულობა და კონკრეტული გადახდის განრიგი ბუნდოვანია და მისი გასტუმრება შეუძლებელია. ამასთანავე, ხელოვნურად შექმნილი ვალდებულებითი ურთიერთობა მყარდება ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ასევე, მორალური პასუხისმგებლობის მსხვერპლზე დაკისრებით.

მაგალითი: „დაგასმენ პოლიციაში ან საიმიგრაციო სამსახურში; მოგკლავ შენ ან შენს ახლობელს (შვილს, დას, დედას და ა.შ.)" - <u>ძალადობა ან ძალადობის მუქარა</u>.
„შენი ოჯახის წევრები გაიგებენ, რომ ჩაბმული ხარ პროსტიტუციაში და აღარ მიგიღებენ" - <u>მორალური პასუხისმგებლობის დაკისრება, დანაშაულის შეგრძნების გაღვივება</u>.

ტრეფიკიორის მიერ გამოყენებული მეთოდების ძირითადი ნაწილი მიემართება მსხვერპლზე კონტროლის მოპოვებას (მაგ: დაშინება, უიმედობის ჩანერგვა ან/და დანაშაულის შეგრძნების გაღვივება). როგორც წესი, მსგავსი მეთოდები განგრძობადია, რადგან ჩანერგილ მორჩილებას მუდმივად სჭირდება „კვება".
რას განიცდის ამ დროს მსხვერპლი?

- დეპრესია;
- სევდა;
- დანაშაულის გრძნობა;
- დაკარგვის განცდა;
- უმწეობა (ჩიხში ვარ);
- თავის მოტყუება;
- გაბრაზება;
- სამაგიეროს გადახდის სურვილი;
- ძილის დარღვევები.

მათ შეზღუდული აქვთ გადაადგილების თავისუფლება და მოწყვეტილნი არიან სოციალური წრის მხარდაჭერას, რის გამოც უჩნდებათ გათიშვის (disconnect) განცდა.

ტრეფიკიორი ორგანიზებულ მეთოდებს იყენებს გათიშვისა და დაუძლურებისთვის. მსხვერპლი უნდა გრძნობდეს, რომ ტრეფიკიორი მას სრულად აკონტროლებს (იცის მისი წარსული, მისამართი, ურთიერთობები,

9.1 ტრეფიკინგის მსხვერპლის ზოგადი ფსიქოპორტრეტი - როგორ ახერხებენ ტრეფიკიორები მსხვერპლის დამორჩილებას

ოჯახის წევრები და ა.შ.), საჭიროების შემთხვევაში კი შეუძლია მორალური და ფიზიკური ზიანის მიყენება როგორც თავად მსხვერპლის, ასევე მისი ახლობლებისთვის. ვინაიდან მსხვერპლი სულ უფრო მეტად იზოლირდება, იგი ზედმეტად დამოკიდებული ხდება ექსპლუატატორზე არა მხოლოდ ბაზისური ფიზიოლოგიური საჭიროებების (კვება, სითბო, თავშესაფარი), არამედ ინფორმაციული და ემოციური საჭიროებების (sustenance) დაკმაყოფილების კუთხითაც.

მსხვერპლი, როგორც წესი, იმყოფება გრძელვადიანი (ქრონიკული) და ინტენსიური სტრესის ქვეშ. შესაბამისად, მისი სხეული გამოფიტულია, ფსიქიკა კი - დათრგუნული. გამოფიტვა გავლენას ახდენს მის მოტივაციაზე, თავი დააღწიოს ამ რთულ სიტუაციას. მსხვერპლი დარწმუნებულია, რომ არ აქვს გამოსავალი და მის მორჩილებაზეა დამოკიდებული საკუთარი/ახლობლების ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

მსხვერპლის ფსიქოპორტრეტის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია თვითღირებულების განცდის კრიტიკულად შემცირება: „არაფერი შემიძლია“, „უმნიშვნელო ვარ“, „არავის ვჭირდები“, „არაფერი გამომივა“, „უბრალოდ ცხოველი ვარ, ხორცის ნაჭერი“... ასევე, სიცარიელის შეგრძნება სხეულში, ინტენსიური შიში და ნამდვილი უარყოფა: „არავის ვუყვარვარ“, „არავინ ზრუნავს ჩემზე“, „დაკარგული ვარ საკუთარ თავში“.

ამ წარმოდგენის ჩამოყალიბებას ტრეფიკიორები განსაკუთრებით უწყობენ ხელს. მათი მიზანია უპრობლემო მსხვერპლი, რომელიც წინააღმდეგობის გარეშე აკეთებს ყველაფერს, რასაც მოსთხოვენ, და არ ცდილობს თავის დაღწევას (არის დანებებული). ვინაიდან ადამიანი იქცევა საკუთარი რწმენების შესაბამისად (თვითეფექტურობა), საჭიროა ასეთი რწმენის ჩამოყალიბება და შემდგომ მისი მუდმივი „კვება“.

მსხვერპლი ვერ აკონტროლებს ვერაფერს, საკუთარ სხეულსაც კი. დამოუკიდებლობის ჩაკვლის შემდგომ, მისი ფსიქიკა ცდილობს გადარჩენის გზის მონახვას. ასეთ დროს ხშირია <u>დისოცირება</u> საკუთრი მდგომარეობიდან. ეს საბაზისო მომენტი გულისხმობს რეალობიდან გაქცევას, რა დროსაც მსხვერპლი ეთიშება გარშემო არსებულ სამყაროს, უფრო და უფრო იკეტება და გარესამყაროს სხვას უტოვებს საკონტროლებლად. ამ დროს მსხვერპლში ჩნდება „დაპატარავების“ განცდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შტრიხია მსხვერპლის იდენტობაზე მუშაობა ტრეფიკიორის მხრიდან.

9.1 ტრეფიკინგის მსხვერპლის ზოგადი ფსიქოპორტრეტი - როგორ ახერხებენ ტრეფიკიორები მსხვერპლის დამორჩილებას

> მაგალითი: „ეკა არის ადამიანი, რომელსაც ჰყავს მშობლები, შვილი და მეგობრები, მაკა კი - სექსმუშაკი, რომელიც ემორჩილება ტრეფიკიორს და, მინიმალური უსაფრთხოების საფასურად, მზად არის, მისი ნებისმიერი(!) მოთხოვნა უპირობოდ შეასრულოს.“ ხშირად, ტრეფიკიორები პირდაპირაც მიმართავენ მსხვერპლის იდენტობას: „სად არის მაკა? ვერ ვხედავ მას, მე ახლა მჭირდება მაკა, რომელიც მოემსახურება კლიენტებს.“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველივე ამას ტრეფიკიორები აღწევენ:

- ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობით;
- ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობის ყურებით (შენც ასე მოგივა, თუ არ დამემორჩილები);
- ფსიქოლოგიური ძალადობით.

და მაინც, დავუბრუნდეთ მთავარ შეკითხვას: რატომ არ ცდილობენ ადამიანები მოძალადისგან თავდაღწევას? უარესი რა უნდა მოხდეს მათ ცხოვრებაში?

პასუხი, ერთი შეხედვით, ბანალურია, თუმცა ფართოდ ახასიათებს მსხვერპლის ფსიქოლოგიას: მან არ იცის, რა მოხდება გაქცევის შემდგომ. შესაბამისად, ფიქრობს, რომ ძალადობა რომელსაც იცნობს, შეიძლება სჯობდეს კიდეც მომავალს, რომელზეც არაფერი იცის. რეალური მუქარით გამოწვეულ შიშს ემატება ბუნდოვანი მომავლით გამოწვეული შფოთი. ეს კი ისედაც რთულ ვითარებაში დამატებითი სტრესის წყაროდ იქცევა ხოლმე.

9.2. ტრეფიკინგის მსხვერპლის იდენტიფიცირება და დამახასიათებელი ნიშნები

ზოგადი ფსიქოპორტრეტის დახატვის შემდეგ, შეგვიძლია ვიმსჯელოთ კონკრეტულ ნიშნებზეც, რომლებიც განიხილება ამ თავში, მათ სახეებთან ერთად.

თუ რას განიცდის მსხვერპლი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სხეული, როგორც წესი, სწორედ შინაგანი მდგომარეობის/ემოციების გამოხატვის ინსტრუმენტია. ტრეფიკიორის მოთხოვნა მხოლოდ მომსახურებას არ ეხება - იგი ასევე მოითხოვს, რომ მსხვერპლმა დამალოს თავისი მდგომარეობა სხვადასხვა ფორმით (მაგ: ჩაცმულობა, ღიმილი, ბედნიერის როლის თამაში და ა.შ.). ცხადია, ამ შემთხვევაში შეიძლება კლასიკური ნიშნებით არ შეგვხვდეს, მაგალითად, დეპრესია, ან უიმედობა, თუმცა რადგან ეს იძულებითია, მათი ქცევაც უფრო ხელოვნურია და ზედაპირული. შესაბამისად, უმეტესად უნდა ვეძიოთ ის არავერბალური ნიშნები, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება (შეუძლებელია, ადამიანი იღიმოდეს და იყოს ბედნიერი, როდესაც მისი სხეული მოშვებული და უენერგიოა).

მარტივად დამახსოვრებისთვის, ინდიკატორები შეიძლება იყოს ფიზიკური და ფსიქოსოციალური და სპეციფიკურად იცვლებოდეს ასაკისა და ექსპლუატაციის ფორმის მიხედვით. ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ ნიშნებად გაყოფის მთავარი კრიტერიუმია სიმპტომების შემჩნევის სიმარტივე. მაგალითად: ბევრად უფრო მარტივადაა შესამჩნევი გარეგნული, ფიზიკური დაზიანება, ვიდრე ის, იკავებს თუ არა სავარაუდო მსხვერპლი საუბრისას ნეგატიურ ემოციებს. თუმცა ცხადია, ეს დაყოფა პირობითია და შესაძლოა ერთმანეთთან იკვეთებოდეს.

ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგადი ფიზიკური და ფსიქოსოციალური ნიშნები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ახასიათებს ტრეფიკინგის მსხვერპლს, ასაკისა და ექსპლუატაციის ფორმის მიუხედავად. **უნდა აღინიშნოს, რომ ეს სია არ არის ამომწურავი და აუცილებელი არ გახლავთ ყველა ნიშნის არსებობა, თუმცა რაც მეტი ნიშანია სახეზე, მით უფრო სავარაუდოა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ჩადენა.**

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირება ხშირად ძალიან რთულია. ამის მიზეზია მსხვერპლის იზოლირება საზოგადოებისგან, ასევე, მათი გადაადგილებისა და საზოგადოებასთან კონტაქტის მკაცრი კონტროლი დამნაშავეთა მხრიდან. ამასთან, მსხვერპლის შიში დამნაშავის მიმართ (რომ მას ან მის ახლობლებს რამეს დაუშავებს) შეიძლება იმდენად

9.2. ტრეფიკინგის მსხვერპლის იდენტიფიცირება და დამახასიათებელი ნიშნები

ძლიერი იყოს, რომ უარს ამბობდეს შესაბამისი სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე. მიუხედავად დასახელებული მიზეზებისა, უმნიშვნელოვანესია, ვიცოდეთ ძირითადი ნიშნები და ინდიკატორები, რომლებიც მსხვერპლთა ამოცნობაში დაგვეხმარება. უნდა გვახსოვდეს, რომ ინდიკატორთა სია არასდროს არის ამომწურავი.

ფიზიკური ნიშნები

- ფიზიკური დაზიანება (ჩალურჯება, დამწვრობა, ჭრილობა, მოტეხილობა);
- შენელებული მოქმედება (დაღლილობა);
- ამოღამებული თვალები;
- შეუსაბამო (გაცვეთილი, ძველი, არაჰიგიენური, არასეზონური, გამომწვევი / სექსუალური) ტანსაცმელი;
- მოძრაობაში შეზღუდულობა და სიფრთხილე;
- დამოუკიდებლად გადაადგილების საშუალებების (მათ შორის, სამგზავრო დოკუმენტების) არქონა;
- მარტო დარჩენისას აღარ იღიმება, მზერა ხდება დაჟინებული (თვალის გაშტერება) და ჩნდება განმეორებითი მოძრაობები (ქანაობა ერთ ადგილას, ხელის რიტმული მოძრაობა და ა.შ.);
- სხვა განკარგავს მის მიერ გამომუშავებულ ფულს;
- ადამიანი ხშირად ტოვებს საცხოვრებელს/სამუშაო ადგილს სხვადასხვა მანქანით ან სხვადასხვა ადამიანთან ერთად, ან საერთოდ ვერ ახერხებს ამას;
- მუდმივად იმყოფება სხვა ადამიანთან ერთად, არ/ვერ რჩება ინტერვიუერთან მარტო;
- საეჭვო საცხოვრებლის ან სამუშაო ადგილის გარშემო მოსახლეობა ხშირად უჩივის ხმაურს, ბევრი უცხო ადამიანის სტუმრობას, სახლთან საეჭვოდ ბევრი უცხო მანქანის მოძრაობას, ან რაიმე სხვა ნიშნებს, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს სექსუალური სახის სამუშაოსა ან კრიმინალურ საქმიანობაზე;
- არასათანადო კვების ნიშნები (მაგ: მიწოდებულ საკვებს ჭამს სწრაფად);
- ხმაურზე შეკრთომა, უნებლიე მოძრაობები (ახასიათებს ფიზიკური ძალადობის მსხვერპლს);
- მკვეთრი რეაგირება შეხებაზე.

ფსიქოსოციალური ნიშნები:

- არის ჩაკეტილი და ნაკლებად კონტაქტური;
- ზედმეტად აღგზნებულია, საუბრობს არეულად, უჭირს აზრის ჩამოყალიბება. (აჟიტირება);
- უჭირს სახელმწიფო ენაზე საუბარი/არ იცის, რომელ ქვეყანაში იმყოფება;
- არ აქვს ფული ან გადახდის სხვა საშუალება;
- იკავებს ემოციებს (შესაბამისად, დაძაბულია);
- აღენიშნება მღელვარება და დაძაბულობა, ან პირიქით, დეპრესიის ნიშნები (დაბალი გუნება-განწყობილება, ხელოვნური ღიმილი, მოშვებული სხეული); შეკითხვებს თავს არიდებს (პასუხობს მოკლედ, ან საერთოდ არ პასუხობს);

9.2. ტრეფიკინგის მსხვერპლის იდენტიფიცირება და დამახასიათებელი ნიშნები

- საუბრობს წინასწარ დაგეგმილი სცენარის მიხედვით (თითქოს დარიგებულია) თუ რამე განსხვავებულს ჰკითხავთ (დაზუსტებას ან ჩაღრმავებას შეეცდებით), უცებ იბნევა;
- ცდილობს საკუთარი მდგომარეობის დამალვას;
- თავს არიდებს თვალით კონტაქტს;
- დამოკიდებულია ნივთიერებებზე (ალკოჰოლი, ნარკოტიკები);
- აქვს ექსტრემალური და/ან შეუსაბამო ქცევა, არაპროპორციული რეაქცია სიტუაციებზე (არაადეკვატური სიცილი ან ცრემლები);
- აქვს არარეალური ან ცრუ მოლოდინები დანიშნულების ქვეყანაში ცხოვრების მიმართ; ჰქონდა ცრუ დაპირებები;
- რთულად თანხმდება (თავს არიდებს) შეხვედრას;
- გახდა სხვის მიმართ ძალადობის შემსწრე;
- განსაკუთრებულად ცდილობს სავარაუდო ტრეფიკიორის დაცვას, ყველაფერში ამართლებს მას (სტოკჰოლმის სინდრომი);
- მძიმე სამუშაო პირობების გაპროტესტების შემთხვევაში, ხდებოდა ძალადობის მსხვერპლი.

მოუწესრიგებელი სამუშაო დრო:

- არ აქვს გამოყოფილი დასვენების/თავისუფალი დრო;
- მუშაობს არასამუშაო დღეებში/საათებში;
- აქვს გადაწვის (burnout) ნიშნები (მოტივაციის დაკარგვა, სამუშაოთი უკმაყოფილება, ცინიზმი, გამოფიტვა).

სხვა ადამიანის მხრიდან კონტროლის ნიშნები:

- ეზღუდება გადაადგილების თავისუფლება;
- პირის პირადი (მაიდენტიფიცირებელი) დოკუმენტები აქვს სხვას, ან მას გადაეცა ყალბი დოკუმენტები;
- დამოუკიდებლად ვერ განკარგავს გამომუშავებულ თანხას;
- დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებებს;
- ავლენს მორჩილებას თანმხლები პირისადმი;
- ეზღუდება კონტაქტი ახლობლებთან/ნათესავებთან;
- ჩამორთმეული აქვს კომუნიკაციის საშუალებები (მობილური ტელეფონი, კომპიუტერი), ან უკონტროლდება მათი გამოყენება;
- იმყოფება დამაშინებელ გარემოში (შეიარაღებული დაცვა, მაღალი კედლებით შემოსაზღვრული სივრცე);
- დიდი ხანია სადღაც იმყოფება, მაგრამ არ იცის, რა სად არის, და არ იცნობს გარემოს (შეკითხვაზე „სად დადიოდი?“ ვერ ასახელებს იმ ადგილების ცნობილ ლოკაციებს);

ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი ფიზიკური და ფსიქოსოციალური ნიშნების გარდა, ექსპლუატაციის ფორმებს სპეციფიკური გავლენაც აქვთ მსხვერპლზე. ქვემოთ ეს ნიშნები განხილულია ექსპლუატაციის ფორმების

9.2. ტრეფიკინგის მსხვერპლის იდენტიფიცირება და დამახასიათებელი ნიშნები

მიხედვით.

სექსუალური ექსპლუატაციის ნიშნები:

- აცვია გამომწვევად;
- გამოკვეთილ ინტერესს იჩენს სექსუალური თემებისადმი (კონტრაცეფცია, აბორტი);
- გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჰქონდა მრავალი აბორტი;
- იძულებულია, ჰქონდეს დაუცველი სექსი;
- არ შეუძლია, თავად აირჩიოს კლიენტი/უარი თქვას მასზე;
- პირი იყიდეს ან გაყიდეს;
- არ წყვეტს პროსტიტუციას მაშინაც კი, როცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ქმნის რისკს (ორსულობა, დაავადება);
- არ დადის რეგულარულ სამედიცინო შემოწმებაზე;
- აქვს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, რომლებსაც არ მკურნალობს;
- იყენებს სექსუალურ ლექსიკას ადგილობრივ ან კლიენტთა ჯგუფის ენაზე;
- მუშაობს ჯგუფში, ხშირად სხვა ქალებთან ერთად, რომლებიც არ ლაპარაკობენ ერთსა და იმავე ენაზე;
- აქვს უარყოფითი შინაგანი განცდები, რომლებზე საუბარიც არ სურს (შეშფოთების, შიშის, სირცხვილის, უიმედობისა და დანაშაულის გრძნობა);
- განსაკუთრებულად ბლოკავს სექსუალურ თემებზე საუბარს (მაგ: როგორიცაა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები).

შრომითი ექსპლუატაციის ნიშნები

- ცხოვრობენ იქ, სადაც მუშაობენ (როგორც წესი, ჯგუფურად). სამუშაო ადგილს ტოვებენ ასევე ჯგუფურად, ან საერთოდ არ ტოვებენ;
- დიდხანს რჩებიან სატრანზიტო ქვეყანაში;
- იღებენ არასათანადო ანაზღაურებას, ან ანაზღაურების გარეშე მუშაობენ;
- ხშირად აღენიშნებათ დაღლილობა და კონცენტრაციის დაქვეითება;
- იმყოფებიან ტერიტორიაზე, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, როგორც ექსპლუატაციის ადგილი;
- ცხოვრობენ ნორმალური ყოფისთვის შეუფერებელ პირობებში (მაგ: სამშენებლო ობიექტებში, ფაბრიკებსა ან სამრეწველო ობიექტებში);
- აცვიათ იმ სამუშაოსთვის შეუფერებელი ტანსაცმელი, რომელსაც ასრულებენ (მაგ: არ აქვთ დამცავი აღჭურვილობა, თბილი სამოსი და ა.შ.);
- აქვთ არასათანადო ან/და შეზღუდული წვდომა საკვებზე;
- არ აქვთ წვდომა მათ მიერ გამომუშავებულ თანხებზე;
- არ აქვთ წერილობითი კონტრაქტი დამსაქმებელთან;
- დამოკიდებულნი არიან დამსაქმებელზე, რომელიც მათ „უზრუნველყოფს“ სამუშაოთი, საცხოვრისითა და ტრანსპორტირებით;
- არის დამსჯელობითი ზომების მსხვერპლი;
- ექვემდებარება ძალადობას, მუქარასა და შეურაცხყოფას დამსაქმებლის მხრიდან;

- დასაქმების ადგილზე არ არის დაცული უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ზომები;
- არსებობს სხვა მტკიცებულებებიც, რომ ირღვევა შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები;
- კონტრაქტი დადებულია მსხვერპლისთვის არამშობლიურ ენაზე (იგი არ იცნობს ხელშეკრულების პირობებს).

მონობის თანამედროვე ფორმები/გამოხატულება

- ცხოვრობს ოჯახში, რომელიც მისი არ არის;
- ცხოვრობს განცალკევებულ/ღირსების შემლახველ გარემოში (სარდაფი, მიშენება);
- არ აქვს უფლება, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად გაიზიაროს ჰიგიენური მოვლის საშუალებები;
- ყოველდღიურად უნდა იზრუნოს ყველა საშინაო სამუშაოზე და/ან ბავშვების მოვლაზე (ანაზღაურების გარეშე, ან არაადეკვატურად მცირე ანაზღაურებით);
არ აქვს ოჯახის დანარჩენ წევრებთან ერთად ჭამის უფლება;
- არასოდეს ან ძალიან იშვიათად ტოვებს სახლს (არ აქვს დატოვების უფლება);
- არ აქვს პირადი სივრცე (შეიძლება ეძინოს ლეიბზე ან/და ბავშვების საძინებელში);
- ხშირია მის მიმართ შეურაცხყოფა, მუქარა ან ძალადობა სახლში.

ჩაბმა მათხოვრობასა ან სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში

- თუ საკმარის თანხებს ვერ მოაგროვებენ, დღის ბოლოს „მეთაურმა“ შეიძლება დასაჯოს.
- ცხოვრობენ ჯგუფებად და მუდმივად გადაადგილდებიან ჯგუფურად;
- დაკავებულნი არიან უკანონო საქმიანობებით, როგორიცაა: წვრილმანი ქურდობა, ჯიბის ქურდობა, მანქანის ნაწილების ქურდობა, მაღაზიის ქურდობა და ა.შ.
- მსხვერპლის მიმართ „მეთაური“ შეიძლება მუდმივად იყენებდეს მუქარას, ძალადობასა და შეურაცხყოფას, თუ, მაგალითად, ვერ შეაგროვებს დათქმულ თანხას.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ **არასრულწლოვანთა ტრეფიკინგზე,** ვინაიდან ბავშვები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ამ დანაშაულის წინაშე და ყოველთვის დიდია ალბათობა, რომ გახდნენ მისი მსხვერპლნი. **ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების გარდა, არასრულწლოვანთა შემთხვევაში იკვეთება სპეციფიკური ნიშნებიც, რომლებსაც უნდა მიექცეს ყურადღება. კერძოდ, ბავშვთა ტრეფიკინგის ზოგადი ინდიკატორები ასეთია:**

9.2. ტრეფიკინგის მსხვერპლის იდენტიფიცირება და დამახასიათებელი ნიშნები

- იმოგზაურა/მოგზაურობს უფროს ადამიანთან ერთად, რომელიც არ არის მისი მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე/მზრუნველი);
- მიტოვებულია მშობლებისგან და დამნაშავემ „იპოვა“ და „დახმარება გაუწია“;
- შუქნიშანზე წმენდს საქარე მინებს, მათხოვრობს და ა.შ;
- ხშირად გარბის თავშესაფრებიდან/საცხოვრებლიდან;
- მიატოვა სწავლა ან ხშირად აცდენს სკოლას;
- ასრულებს ასაკისთვის შეუსაბამო სამუშაოს;
- არ აქვს გამოყოფილი დრო თამაშისთვის;
- ჰყავს მხოლოდ „თანამშრომლები“ და არ ჰყავს ნათესავები ან მეგობრები;
- იტყუება ასაკს, რათა თავი დააღწიოს სოციალურ სამსახურს;
- დამოკიდებულია ნივთიერებებზე („წებო“, ნარკოტიკი, ალკოჰოლი);
- არის თანმხლებ პირთან ერთად, რომელსაც შეუძლია, თავი წარმოაჩინოს ნათესავად ან ოჯახის წევრად, მაგრამ ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ ერთმანეთს კარგად არ იცნობენ;
- შეხვედრაზე მოდის მოზრდილთან ერთად, რომელსაც სურს ინტერვიუზე დასწრება;
- უჩვეულოდ იქცევა თანმხლებ პირთან (აქვს შფოთვა ან შიში მის მიმართ);
- არაჰიგიენურად გამოიყურება;
- იყენებს ქუჩურ ლექსიკას;
- არ აქვს მოწესრიგებული რეჟიმი (ძილი, გაღვიძება, კვება);
- იკვებება ბავშვისთვის შეუფერებლად.

არასრულწლოვანთა სექსუალური ექსპლუატაციის დამატებითი ინდიკატორებია:

- ორსული ბავშვი;
- ბავშვის სექსუალური ქცევა;
- ბავშვის სათამაშოები, საწოლები და ტანსაცმელი შეუსაბამო ადგილებში (როგორიცაა ბორდელები, ქარხნები და ა.შ.).
- ბავშვის მუშაობა ისეთ ინდუსტრიაში, სადაც შეიძლება ზეწოლა განიცადოს ფულის სანაცვლოდ სექსუალური მოქმედებების განსახორციელებელად (მაგ: სტრიპტიზკლუბები, საეჭვო ღამის კლუბები და ბარები ან მასაჟის კაბინეტები);
- ბავშვი ცხოვრობს ალკოჰოლსა თუ მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულ ან მოძალადე ოჯახის წევრ(ებ)თან.
- იძულებითი მათხოვრობისა და ანტისაზოგადოებრივი საქმიანობის ინდიკატორები
- ყოველდღე მოძრაობს ბავშვების ჯგუფთან ერთად, განსაკუთრებით, პოპულარულ ან ტურისტულ ადგილებში;
- ჯგუფი შედგება ერთი და იმავე ეროვნების ბავშვებისგან;

9.2. ტრეფიკინგის მსხვერპლის იდენტიფიცირება და დამახასიათებელი ნიშნები

- გადააქვს ან ყიდის ნარკოტიკებს ან სხვა უკანონო პროდუქტებს;
- იკვებება ცუდად (ჭამს მხოლოდ ნარჩენებს, არასრულად და არარეგულარულად).

ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) შეიძლება დაექვემდებარონ:

✓ კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი ბავშვები;

✓ მზრუნველობამოკლებული ბავშვები;

✓ ქუჩაში მყოფი ან მომუშავე ბავშვები.

უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უფრო ვითარდება და წინ მიიწევს ცხოვრების სხვადასხვა მიმართულება, დამნაშავეებიც უფრო სწრაფად ადაპტირდებიან თანამედროვე მიღწევებთან და კარგად ფუთავენ თავიანთ საქმიანობას. თითოეულ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს იმ ადამიანმა, რომელსაც პირველი შეხება აქვს სავარაუდო მსხვერპლთან. შესაძლებელია, ისეთი გარემოება დაგვეხმაროს ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენაში, რომელიც საერთოდ არ გვხვდება ჩამოთვლილ ინდიკატორებში. ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ ამ დანაშაულის ნიშნების ამოსაცნობად აუცილებელი არ არის ზემოთ ჩამოთვლილ ინდიკატორთა ერთობლივი არსებობა: ერთ-ერთის გამოვლენა უკვე საკმარის საფუძველს ქმნის გონივრული ეჭვისთვის, რომ პირი ტრეფიკინგის მსხვერპლია.

10. მსხვერპლთან კონტაქტის დამყარება და გასაუბრების ტექნიკა

ვიდრე უშუალოდ გასაუბრების ტექნიკებზე გადავიდოდეთ, საჭიროა, გავარკვიოთ გასაუბრების მთავარი მიზანი: „ინტერვიუერმა მოკლე დროში მიიღოს სრული, სანდო და ქრონოლოგიური ინფორმაცია სავარაუდო დანაშაულის ნიშნებზე.“

ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელია სხვადასხვა ამოცანის შესრულება:

- ურთიერთნდობის მოპოვება (ე.წ. Building Rapport);
- სავარაუდო მსხვერპლის ემოციების მართვა (დამშვიდება, ინტენსიურ ემოციებთან გამკლავება);
- მოპოვებული ინფორმაციის სანდოობის შეფასება (რამდენად გულწრფელია? ხომ არ ამახინჯებს გარემოებებს?).

ცხადია, კონკრეტული ტექნიკის სწავლება შესაძლებელია, მაგრამ არაეფექტიანი იქნება, თუ ზოგადი მიდგომაა მცდარი. უპირველესად საჭიროა მომზადდეს ტექნიკის გამოყენების ფუნდამენტი - ის კონტექსტუალური ფაქტორები, რომლებიც თითქოს არაფერში მონაწილეობს უშუალოდ, თუმცა შეიძლება სრულად განსაზღვროს ინტერვიუს მიმდინარეობა. სამეცნიერო ლიტერატურაში უამრავი ასეთი ფაქტორია ახსნილი, რომელთაგან შევეხებით მხოლოდ რამდენიმეს (განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს):

- ფიზიკური გარემო;
- ემოციური ფონი;
- სხეულის ენა (ჯდომის/დგომის პოზა, ხმის ტონალობა, ტემბრი და ტემპი); ჟესტიკულაცია.

არსებობს 6P-ს პრინციპი - „**P**roper **P**rior **P**repearing **P**revents **P**oor **P**erformance“. მართლაც, ინტერვიუს კარგად ჩასატარებლად, ყველაზე მნიშვნელოვანია მოსამზადებელი ფაზა, რა დროსაც ინტერვიუერზე უფრო მეტი რამეა დამოკიდებული, ვიდრე რესპონდენტზე. შესაბამისად, პასუხისმგებლობაც იზრდება ამ ფაზის კარგად დასრულებისთვის.

ინტერვიუსთვის მომზადება შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ნაწილად: ინფორმაციული მომზადება და ემოციური მომზადება.

10.1. ინფორმაციული მომზადება ინტერვიუსთვის

ინტერვიუსთვის მომზადება ნიშნავს არსებული ინფორმაციის გაცნობას და შესაძლო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიებას. მაგალითად:

> „წყაროს ცნობით, თბილისის გარეუბანში შემჩნეულია რამდენიმე ახალგაზრდა გოგო, რომლებიც მუდმივად იმყოფებიან იქვე არსებული სასტუმროს ახლოს. მათ აცვიათ გამომწვევად; წარმოშობით, სავარაუდოდ, ყაზახეთიდან უნდა იყვნენ და არ საუბრობენ ქართულად. წყარო მიიჩნევს, რომ შესაძლოა იკვეთებოდეს ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევა, სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით."

თუნდაც ეს მცირე მონაკვეთი უკვე იძლევა ინფორმაციული მომზადების დამატებით მიმართულებებს. უკვე შეგიძლიათ, მოიძიოთ პასუხები კითხვებზე: როგორია ზოგადად ქალების მიმართ დამოკიდებულება ყაზახეთში? რა დამოკიდებულება არსებობს უშუალოდ სქესობრივი საკითხებისადმი? როგორია ოჯახის ზოგადი სტრუქტურა (პატრიარქალური, მკაცრი თუ ლიბერალური)? რა ძირითადი მახასიათებლები აქვთ სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ქალბატონებს (რას უნდა ველოდე)?

გარდა უშუალოდ ინტერვიუს პროცესისა, ეს ინფორმაცია განსაკუთრებულად გამოსადეგია სავარაუდო მსხვერპლის რეპატრიაციის საკითხის განხილვისას.
ამ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიების შემდგომ, ვგეგმავთ გასაუბრების კონკრეტულ დეტალებს:

- სად ჩატარდება გასაუბრება?

ამისთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო გარემოს შერჩევა. სასურველია, იყოს ნაკლები ხალხი, იდგეს შედარებით კომფორტული ავეჯი, ოთახი იყოს ფართო, მყუდრო და კომფორტული, შეიძლებოდეს სივრცის დანახვა (ხედი ფანჯრიდან). განათება არ უნდა იყოს ზედმეტად თვალისმომჭრელი ან პირიქით, ბნელი. შეხვედრის ადგილი, როგორც წესი, საკმაოდ მრავალფეროვანია (სავარაუდო მსხვერპლის საცხოვრებელი ბინა, ოფისი, დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, ან კლინიკა), თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ ადგილებში შეიძლებოდეს ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილება (მაგ: სთავაზობდნენ წყალს, ყავასა და ჩაის).

- როდის ჩატარდება გასაუბრება?

ეს ნაწილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვების შემთხვევაში: როგორც წესი, ისინი დღის ბოლოს დაღლილები არიან და რთულდება რელევანტური ინფორმაციის მიღება. ამიტომ მნიშვნელოვანია, მათთან ინტერვიუ დაიგეგმოს დღის პირველ ნახევარში.

- ჩაწერის რა საშუალებები გამოიყენება?

ვინაიდან მსხვერპლის მთავარი მახასიათებელია უნდობლობა, შეიძლება

10.1. ინფორმაციული მომზადება ინტერვიუსთვის

ყველა რესპონდენტი არ დათანხმდეს აუდიო/ვიდეო ჩაწერას. შესაბამისად, რჩება მხოლოდ ხელით ჩაწერის შესაძლებლობა. დაძაბულობის მოსახსნელად, შეგიძლიათ, რესპონდენტს წინასწარ შეუთანხმდეთ, რომ გასაუბრების ბოლოს გააცნობთ თქვენს მონიშვნებს და მას შეეძლება რაიმეს დამატება ან ამოღება ამ ჩანაწერებიდან. ასეთი ფორმით გააუმჯობესებთ ფსიქოლოგიური გარემოსაც - რესპონდენტს მიეცემა გარემოს გაკონტროლების მცირე შესაძლებლობა.

თუკი ხელით იწერთ, სასურველია, ინტერვიუს დაწყებამდე გაკეთდეს მოკლე შესავალი (მაგ: „რომ არ გამომრჩეს ან დამავიწყდეს, რაღაცებს მოვინიშნავ ხოლმე, არ იფიქრო, რომ არ გისმენ, კარგი?“)

- აქვს თუ არა მნიშვნელობა ჩაცმულობას?

ჩაცმულობა, ძირითადად, კულტურის ნაწილია, მაგრამ სასურველია, იყოს ნეიტრალური. თუ შესაძლებელია, რომ ჩაიცვათ პირის წარმოშობის ადგილთან მიახლოებულად, ეს მეტად გააღვივებს თქვენ შორის ნდობას.

- აქვს თუ არა მნიშვნელობა ინტერვიუერის სქესს?

ანალოგიურად, შესაძლოა რესპონდენტისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს ინტერვიუიერის სქესს. თუკი ჰკითხავთ ამის შესახებ, თავს აგრძნობინებთ დაცულად: სავარაუდო მსხვერპლს შეეძლება პირადი სივრცის მონიშვნა, რაც დადებითად აისახება მის ფსიქიკურ კეთილდღეობაზე.

10.2. ემოციური მომზადება ინტერვიუსთვის

მსხვერპლთან გასაუბრების მთავარი სირთულეა პირველი კონტაქტის დამყარება და ნდობის გარემოს ჩამოყალიბება. რა თქმა უნდა, არსებობს სხვადასხვა ტექნიკა, რომლებიც ვიწროდ არის ფოკუსირებული ურთიერთნდობის მოპოვებაზე (Building rapport). თუმცა ამოსავალი წერტილი მაინც არის თავად ინტერვიუერის დამოკიდებულება სავარაუდო მსხვერპლთან.

დამოკიდებულება შეიძლება იყოს ზერელე ან სიღრმისეული, ასევე, ნდობითი ან უნდობლობითი. მის ჩამოსაყალიბებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საკუთარ თავზე მუშაობა: რას ვგრძნობ მსხვერპლის მიმართ? რა ემოციაა ეს? რა გავლენას ახდენს ჩემზე ინტერვიუირების პროცესში? ქვემოთ წარმოგიდგენთ საილუსტრაციო მაგალითს, სადაც მხატვრული ფორმით არის გადმოცემული რესპონდენტის ემოციური მზაობის მნიშვნელობა ინტერვიუსთვის მომზადებისა და ჩატარების ეტაპებზე:

10.2. ემოციური მომზადება ინტერვიუსთვის

„დილას, რა თქმა უნდა, ისევ დავაგვიანე სამსახურში. არავინ არაფერს მეუბნება, თუმცა მზერაში ყველაფერს ვხვდები. თან დღეს მნიშვნელოვანი დღეა - სექსუალური ექსპლუატაციის სავარაუდო მსხვერპლთან მაქვს გასაუბრება ჩანიშნული. წარმოშობით თურქია. დიდად კი არ მეხატებიან ეს თურქები გულზე, მაგრამ სამსახური მაინც სამსახურია. ვეღარც ნორმალურ მომზადებას ვასწრებ. რა ვიცი თურქებზე? ძალიან ამპარტავანი და შოვინისტი ხალხია, არ იციან არც ინგლისური და, რა თქმა უნდა, არც ქართული...“

(იმავე დღეს, ღია კაფეში შეხვედრისას)

„აგვიანებს. ჰო, რა თქმა უნდა, მაგას ხომ მე უნდა ველოდო! ვერ ვიტან, როცა ადამიანები აგვიანებენ. ჰო, მართალია, დღეს დილას მე თვითონ დავაგვიანე სამსახურში, მაგრამ შეხვედრაზე ხომ მაინც არ ვაგვიანებ ხოლმე? კიდევ 5 წუთს მოვიცდი და ჯანდაბამდე გზა ჰქონია, ისედაც ათასი საქმე მაქვს... მოიცა, მგონი, ეს უნდა იყოს, მოვიდა... კარგი, დროა, თავი ხელში ავიყვანო...“

(3-საათიანი ინტერვიუს დასრულების შემდგომ, გზად სამსახურში)

ხომ ვთქვი, რა, არასდროს მატყუებს წინათგრძნობა. ჯერ ხომ დაიგვიანა ქალბატონმა და ბოდიშიც არ მოუხდია, მერე საერთოდაც ვერაფერი გავიგე მისი მონაყოლიდან. იმის მაგივრად, რომ დაგვიანებისთვის ბოდიში მოეხადა, ისე ხალისიანად გამოიყურებოდა, მგონი, მე უფრო ვარ ტრეფიკინგის მსხვერპლი. ჰო, პირველივე კითხვა რა ჰქონდა? „ფულს ხო მომცემთ?“ კარგი იქნებოდა, საერთოდ არ მოსულიყო. ისე, საკმაოდ გამომწვევად კი ეცვა, თან იმდენი მაკიაჟი ედო სახეზე, პატარა გოგოს ჰგავდა 35 წლის ქალი.“

წარმოიდგინეთ, როდესაც თავად ხართ გაღიზიანებული საკუთარი პირადი პრობლემების გამო, როგორ ჩაივლის თქვენი ინტერვიუ? შეიძლება, ინტერვიუს ბოლოს თქვათ, რომ მეორე მხარე იყო ძალიან აგრესიული და ვერ მოახერხეთ სრული ინფორმაციის ამოღება. თქვენი დამოკიდებულებები და ემოციები ხშირად აისახება მეორე ადამიანზე: მას აწერთ თვისებებს, რომლებიც სინამდვილეში თქვენ გახასიათებთ, და კონკრეტულ შემთხვევაში „ამჩნევთ“ მეორე ადამიანში. ამ ნაწილის გაცნობიერება დაგეხმარებათ, რომ უკეთ გაუგოთ თქვენს რესპონდენტს.

მაგალითის დასაწყისში კარგად ჩანს სამსახურებრივი და პირადი სფეროების აღრევა. მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს სამსახურში არსებულ მდგომარეობას ინტერვიუს მიმდინარეობისას. შემდგომ ჩანს ინფორმაციული მომზადების სრული უგულებელყოფა („რა მახსოვს თურქებზე?“) და ვაკუუმის შევსება სტერეოტიპებით („შოვინისტები და ამპარტავნები არიან“). მეორე და მესამე აბზაცში კი კარგად იკვეთება კორესპონდენტის შერჩევითი და შეფასებითი დამოკიდებულება, რაც ასევე დამატებით ბარიერებს ქმნის ინტერვიუს მიზნის მისაღწევად.

10.2. ემოციური მომზადება ინტერვიუსთვის

თვითრეგულაციის უნარის გამომუშავება პირველი ნაბიჯია რესპონდენტის ემოციების სამართავად. შესაბამისად, საკუთარი ემოციების უკეთესად მართვა დაგეხმარებათ რესპონდენტისადმი ემპათიის განვითარებასა და მისი ემოციების მართვაშიც.

ვიდრე უშუალოდ გახვალთ ველზე სამუშაოდ, საჭიროა მცირე პაუზის აღება, განმარტოება, რომ გონივრულად დაგეგმოთ მომავალი ინტერვიუ. ეცადეთ, საკუთარ თავს დაუსვათ შეკითხვები და გამართოთ დიალოგი შემდეგ თემებზე:

- როგორ განწყობაზე ვარ ახლა (უარყოფითი/დადებითი)?
- კონკრეტულად რამ გამოიწვია ეს განწყობა (სავარაუდო მსხვერპლს უკავშირდება, თუ სამსახურის გარეთ არსებულ საკითხებს)? თუკი სამსახურს არ ეხება, მნიშვნელოვანია ამ ორი სფეროს გამიჯვნა (პირადი პრობლემები მთავრდება იქ, სადაც იწყება სამსახური და პირიქით);
- დაარქვი, რომ მოთოკო (Name it to tim it): თუკი მომავალ ინტერვიუს ეხება თქვენი ღელვა ან ნებისმიერი უარყოფითი ემოცია, უპირველესად თავს უნდა დაუსვათ შეკითხვა: რა ჰქვია ამ ემოციას? თუკი გიჭირთ სახელის დარქმევა, შეეცადეთ, დააკვირდეთ, სხეულის რომელ ნაწილში გრძნობთ დისკომფორტს. ეს დაჭიმულობაა, წვა, გახურება, თუ რაიმე სხვა? პასუხი დაგეხმარებათ თქვენი ემოციის უკეთ გაცნობასა და სახელდებაში;
- სახელდების შემდგომ, შესაძლებელია კონკრეტული ნაბიჯების დაგეგმვა დისტრესის შესამცირებლად.

ზოგადად, თვითზრუნვის (self-care) ელემენტები, მათ შორის, საკუთრი ემოციების გაცნობიერება, გვეხმარება გავიგოთ, რა არის ჩვენი და რა - რესპონდენტის. მას შემდეგ, რაც ემოციურად მოემზადებით ინტერვიუსთვის და შეარჩევთ შესაბამის გარემოს, დგება პირველი კონტაქტის დრო. პირველი შთაბეჭდილება დაგეხმარებათ ან ხელს შეგიშლით მთელი დარჩენილი ინტერვიუირების პროცესში. შესაბამისად, კონტექსტუალური ფაქტორების გააზრების შემდგომ, ინტერვიუს მიზნის მისაღწევად შესაძლებელია კონკრეტული ტექნიკების გამოყენებაც.

10.3. ინტერვიუს პროცესი

მომზადების პროცესი, ძირითადად, დამოკიდებულია ჩვენზე, თუმცა ყოველთვის შესაძლებელია, დაგეგმილი ინტერვიუ არ წავიდეს წინასწარ მომზადებული ნაბიჯებით. ინტერვიუს პროცესში, სულ მცირე, ორი ადამიანი მონაწილეობს. ჩვენ შეიძლება იდეალურად შევასრულოთ საკუთარი მოვალეობა, თუმცა ეს მაინც არ იძლევა 100%-იანი შედეგის გარანტიას, რადგან მეორე მხარეს შეიძლება არ სურდეს ჩვენთან თანამშრომლობა.

ცხადია, მეორე ადამიანის პროგნოზირება რთულია, თუმცა რადგან კომუნიკაცია ორმხრივი პროცესია, ჩვენი მიზანია საკუთრი პასუხისმგებლობის მაქსიმალურად კარგად შესრულება. ქვემოთ გაგაცნობთ ელემენტებს, რომლებიც, მომზადების ეტაპის შემდგომ, უშუალოდ პროცესის ეფექტიანად წარმართვაში დაგვეხმარება.

ინტერვიუს სწორად წარმართვისთვის საჭიროა გარკვეული თანმიმდევრულობის დაცვა. ამას ძირითადად განაპირობებს ვექტორი, რომელიც მიმართულია ყველაზე მძიმე/რთული ფაქტორებიდან → მსუბუქისკენ (მაგ: თუ რესპონდენტს ეშინია მყისიერი საფრთხის, მაშინ ვიდრე ეს საფრთხე იარსებებს, მასთან ვერ მოვახერხებთ ინტერვიუს ჩატარებას). შესაბამისად:

- პირველ რიგში, აუცილებელია სწრაფი დიაგნოსტირება - მაგალითად, რესპონდენტის ვიზუალური შეფასება (ხომ არ აქვს დალურჯებები, ღია ჭრილობები, ქოშინი, ხმის დაძაბული ტონი და ა.შ.).

- შემდგომ საჭიროა ექსტრემალური საფრთხეების იდენტიფიცირება (ხომ არ ემუქრება რესპონდენტს ან მისი ოჯახის წევრს რაიმე მყისიერი საფრთხე);

- და ბოლოს, უნდა დადგინდეს, ხომ არ არის საჭირო რესპონდენტის მოთავსება უსაფრთხო გარემოში (მაგ: კრიზისული ინტერვენციის ცენტრში).

ამ ეტაპების შემდეგ, შესაძლებელია ინტერვიუს პროცესის დაწყება (თუმცა, შეიძლება უშუალოდ ინტერვიუს დროსაც აღმოჩნდეს, რომ რესპონდენტი იმყოფება მყისიერი საფრთხის ქვეშ და საჭიროა მისი უსაფრთხო ადგილას გადაყვანა).

ინტერვიუს პროცესი იწყება შეხვედრის მომენტიდან. ვინაიდან სავარაუდო მსხვერპლთან გვაქვს შეხება, მას უფრო მეტი ალბათობით დასჭირდება პროცესში მხარდაჭერა, ვიდრე ჩვეულებრივ რესპონდენტს.

უნდა ვეცადოთ, რომ უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებულნი ვიყოთ თავად რესპონდენტზე და არა საკუთარ თავზე. საკუთარ თავთან დასმული შეკითხვები და შფოთვები:

10.3. ინტერვიუს პროცესი

- როგორ გამოვიყურები?
- ნეტა, რას ფიქრობს ჩემზე?
- ზედმეტად სწრაფად ხომ არ ვსაუბრობ? და ა.შ.

უმჯობესია შეიცვალოს კითხვებით:

- როგორ გრძნობს მსხვერპლი თავს?
- რა დაეხმარება მას, რომ შეძლოს გახსნილად საუბარი ჩემთან?
- როგორ შემიძლია მისი ზოგადი ფსიქოემოციური მდგომარეობის მხარდაჭერა?

ზემოთ მოკლედ აღვნიშნეთ ურთიერთნდობის მოპოვების (Building Rapport). ეს ნიშნავს დადებითი და ურთიერთნდობით განმსჭვალული ურთიერთობის ჩამოყალიბებას ორ ადამიანს შორის. ასეთ დროს ჩნდება განცდა, რომ გესმით ერთმანეთის, თითქოს ერთ ტალღაზე ხართ, გაქვთ საუბრის მსგავსი ტონი, ტემბრი და ტემპი; შესაძლოა, სხეულის პოზებიც კი ერთმანეთს დაემსგავსოს. ზოგიერთს ეს ბუნებრივად აქვს, თუმცა, ბევრი სხვა უნარის მსგავსად, მისი გამომუშავებაც შესაძლებელია.

ურთიერთნდობის მოპოვება (Building Rapport) ბუნებრივი პროცესია (და არა იძულებითი) და თქვენი მთავარი ფუნქციაა, ამ პროცესს მაქსიმალურად შეუწყოთ ხელი, თუნდაც მცირე ინფორმაციის მიწოდებით საკუთრ თავზე (მაგ: ასაკი, წარმომავლობა და ა.შ.). შესაძლებელია, რესპონდენტსაც მისცეთ შეკითხვების დასმის მოტივაცია: „ჩემთან დაკავშირებით რაიმე შეკითხვები ხომ არ გაქვთ? მზად ვარ, გიპასუხოთ, რაც გაინტერესებთ.“

ვინაიდან მსხვერპლის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია უნდობლობა, კონკრეტულ სივრცეში შეხვედრისას ძალიან მოკლედ უნდა გაეცნოთ და მისცეთ დრო ადაპტაციისთვის (დაათვალიეროს გარემო, შეიგრძნოს, სად არის, და დამშვიდდეს). საუკეთესო შემთხვევაში, თუკი შეხვედრა შედგება პირისპირ, მყუდრო ოფისში, შეგიძლიათ, თავიდანვე შესთავაზოთ პროცესზე კონტროლის აღება ფრაზით:

- „სადაც კომფორტულად იგრძნობთ თავს, იქ დაბრძანდით“.

როგორც წესი მსგავსი ურყოფითი გამოცდილების მქონე ადამიანები ცდილობენ ოთახში ისეთი კუთხის მოძებნას, საიდანაც უკეთ აკონტროლებენ სიტუაციას (კედელთან, ან კუთხეში). შეგიძლიათ, შესთავაზოთ წყალი, ან ჰკითხოთ, ხომ არ სცხელა/სცივა და შესაბამისად მოარგოთ ტემპერატურა. ეს უმარტივესი ელემენტები რესპონდენტს ძალიან დიდ მოტივაციას აძლევს ფიქრისთვის, რომ მასზე ზრუნავენ (ასეც არის!), და შეუძლია ელემენტარული კონტროლის აღება გარემოზე.

შემდგომ შეგიძლიათ, მისცეთ დრო ოთახის სივრცესთან ადაპტაციისთვის (მაგ: მოიმიზეზოთ, რომ პატარა საქმე დაგრჩათ და 2 წუთში შეუდგებით ინტერვიუირებას).

10.3. ინტერვიუს პროცესი

Image source: Editus.lu

შესაძლოა, თავიდან რთული იყოს რესპონდენტისთვის თვალით კონტაქტის დამყარება, ამიტომ, თუ სივრცე იძლევა საშუალებას, უკეთესია არა პირისპირ, არამედ გვერდიგვერდ დაჯდომა, ერთმანეთისკენ ოდნავ მიბრუნებული სკამებით: არაცნობიერად ეს მდგომარეობა აჩენს განცდას, რომ მოწინააღმდეგენი კი არა (პირისპირ ჯდომა), მხარდამჭერები ხართ, მესამე მხარეს კი არის საკითხი/პრობლემა, რომელსაც ერთად განიხილავთ. როდესაც ერთ რესპონდენტთან ორი ინტერვიუერი მუშაობს, სასურველია, ერთ-ერთმა მოირგოს წამყვანის როლი. რესპონდენტთან შეთანხმებით, მეორე ინტერვიუერს ექნება გარკვეულ საკითხებზე დამატებითი კითხვების დასმის საშუალება. სივრცობრივადაც, მთავარი ინტერვიუერი ზის შედარებით ახლოს და მიჰყავს პროცესი, პასიური ინტერვიუერი კი ძირითადად „ფონის“ ნაწილი ხდება რესპონდენტისთვის.

თუ შეხვედრა შედგება საჯარო სივრცეში, კარგი იქნება, ეს რეკომენდაციები შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოთ კონკრეტული მოცემულობის მიხედვით.

არ არის სასურველი

- თქვენს შორის რაიმე ბარიერების არსებობა (მაგ: მაგიდა, წყლის ჭიქა, წიგნები, სუვენირები და ა.შ.);
- ზედმეტად ახლოს ან შორს დაჯდომა (ძალიან ახლოს ჯდომა რესპონდენტს უჩენს პირად სივრცეში შეჭრის განცდას, რა დროსაც იგი ცდილობს თავის არიდებას; შორს დაჯდომა კი იწვევს დისტანციის განცდას, რა დროსაც იკარგება ნდობა). იმისათვის, რომ განსაზღვროთ, სად გადის რესპონდენტის პირადი სივრცე, შეგიძლიათ, ჰკითხოთ, რამდენად კომფორტულად გრძნობს თავს ამ დისტანციაზე ჯდომისას და უთხრათ, რომ შეუძლია სკამის მოწევა ან გაწევა.

დააკვირდით მისი სხეულის ენასაც:

- თუკი მიუახლოვდებით მისი პირადი სივრცის ზღვარს, რესპონდენტი შეეცდება უკან დახევას ან თავის არიდებას;
- თუ ზედმეტად შორს დაჯდებით, რესპონდენტი ეცდება, მოგწვდეთ (მაგ: გადმოიხაროს წინ).

10.3. ინტერვიუს პროცესი

მისი მდგომარეობის სწრაფად შეფასებისთვის შეგიძლიათ, გამოიყენოთ სხვადასხვა მეთოდი: მაგალითად, სკალა (1-დან 10-მდე, სადაც ერთი მინიმუმია, ხოლო - 10 მაქსიმუმი) კითხვისთვის: რამდენად უსაფრთხოდ გრძნობთ თავს? კონკრეტული ციფრის დასახელების შემდგომ, დააზუსტებინეთ, რა იგულისხმება ამ ციფრში, რას ნიშნავს მისთვის 10-იანი და რა სჭირდება ამ ნიშნულამდე მისაღწევად? ამ შეკითხვებზე პასუხისას კარგად მოწმდება მოთხოვნილებები, რომლებიც არ არის დაკმაყოფილებული.

მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ პირის პირველადი საჭიროებები (წყალი, სითბო და ძილი) მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილებულია, ნელ-ნელა შეიძლება მთავარ საკითხზე გადასვლაც. უპირველეს ყოვლისა, განუმარტეთ ინტერვიუს მიზანი და როგორ შეუძლია თქვენი დახმარება მის მიღწევაში. შესაძლებელია, ინტერვიუს მიზნის გაჟღერებისას დაგჭირდეთ ინფორმაციის მიწოდება საუბრის კონფიდენციალურობაზე, ასევე, მობილური ჯგუფის წევრთა უფლება-მოვალეობებზე. ამასთან, შეიძლება წინასწარ მომზადდეს წერილობითი დოკუმენტიც, რომელსაც გაეცნობა რესპონდენტი და, თანხმობის შემთხვევაში, ხელმოწერით დაადასტურებს გაცნობას. ამ ეტაპზევე, ურთიერთნდობის (Rapport) გასაძლიერებლად, შეგიძლიათ, აღნიშნოთ თქვენი გამოცდილება ასეთ ადამიანებთან მუშაობაში და მისცეთ მოტივაცია, რომ გკითხოთ ყველაფერი, რაც აინტერესებს ან აშინებს. ასევე მოწმდება, მზად არის აუდიო/ვიზუალური ჩაწერისთვის, თუ მხოლოდ ხელით ჩანაწერებს თანხმდება?

ხშირად რესპონდენტი მოდის დამახინჯებული ინფორმაციით და კონკრეტული მიზნით (მაგ: „გავიგე, რომ ეხმარებით ჩემნაირ ადამიანებს და ფულს მომცემთ“). ასეთ შემთხვევაში მას უნდა დაეხმაროთ სწორი ინფორმაციის მიწოდებით, რათა გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა, რა უნდა გააკეთოს კონკრეტული სერვისის მისაღებად (მაგ: მოგიყვეთ სრული და სანდო ინფორმაცია; ქრონოლოგიის დაცვით გაიხსენოს რაც შეიძლება მეტი დეტალი სავარაუდო დანაშაულის შესახებ, შესაძლებლობის შემთხვევაში კი წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებებიც).

ინტერვიუს პროცესში ურთიერთნდობის (Rapport) გასაძლიერებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რესპონდენტის მოსმენა: კერძოდ, რა ტერმინოლოგიას იყენებს და როგორი ტემპითა თუ ტემბრით საუბრობს. შესაბამისად, ინტერვიუს პროცესში კითხვარის ოფიციალური ფორმულირებები უნდა მოერგოს რესპონდენტის ლექსიკას.

როგორც წესი, საუბარი იწყება ნეიტრალური/მსუბუქი თემებით. პროცესში ნელ-ნელა გადადიხართ მთავარ საკითხზე. დასაწყისი, ძირითადად, ნარატივის ფორმით მიმდინარეობს, რის შემდეგაც, ინფორმაციის დასაზუსტებლად, სვამთ კონკრეტულ შეკითხვებს.

აუცილებელია, ინტერვიუს პროცესში წინასწარ უთხრათ, რომ შეუძლია, ნებისმიერ დროს აიღოს პაუზა; ასევე აუხსნათ, რომ საკმარისი დრო აქვს შეკითხვის გასააზრებლად და პასუხის გასაცემად.

10.3.1. კონკრეტული ხერხები სავარაუდო მსხვერპლისგან ინფორმაციის მისაღებად

- ქრონოლოგიის დასაზუსტებლად, შეგიძლიათ, გამოიყენოთ უკუმოყოლის ტექნიკა (change the order of recall): თუ მსხვერპლი თანმიმდევრულად ვერ ალაგებს მოვლენებს, სთხოვეთ, ჯერ ახალი მოვლენები მოყვეს და მერე გადავიდეს ძველზე, შემდგომ კი პირიქით, ყველაზე ძველი მოვლენებიდან ახალი მოვლენებისკენ მოგითხროთ. შეგიძლიათ, ინტერვიუს დასასრულს თვითონ შესთავაზოთ ინტერვიუდან ფრაგმენტულად მიღებული ინფორმაციის აწყობილი/ქრონოლოგიური ვერსია, თუმცა ეს პროცესი მოიცავს სუბიექტური ინტერპრეტაციის საფრთხეს: შეიძლება თქვენ მიერ დალაგებული ისტორია ისეთი მიმზიდველი აღმოჩნდეს, რომ რესპონდენტმა, მიუხედავად უზუსტობისა, გადაწყვიტოს, რომ სწორად ასახავს მის ამბავს. სასურველია არა სრული ისტორიის მოყოლა, არამედ კონკრეტულ მოვლენათა თანმიმდევრულობის ეპიზოდური გადამოწმება.

- კონკრეტული თარიღების გახსენებაში სავარაუდო მსხვერპლს დაეხმარება მის მიერ დამახსოვრებულ თარიღებზე მინიშნება (მაგ: „თქვენი დაბადების დღის შემდგომ შეგხვდათ ეს ადამიანი, თუ მანამდე?“).
  ასოციაციური კავშირები (რას შეცვლიდით ცხოვრებაში? კარგი და ცუდი ადამიანები);

- აზრობრივი ხატით გახსენება (Mental context reinstatement – MCR) - წარმოიდგინე, რომ ზიხარ იმ ოთახში და აღწერე, რას ხედავ, რა გესმის.

10.3.2. ინტერვიუს მიმდინარეობისას გასათვალისწინებელი საკითხები

- **ინტერვიუ არ არის სერვისი,** შესაბამისად, თქვენი მთავარი მიზანია ხელშეწყობა ინფორმაციის მიღებაში და არა კონსულტაციის გაწევა ან თერაპიის ჩატარება.
  ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ რესპონდენტთან თანამშრომლობით და არა მასზე ზეწოლით. ინფორმაციის მიღება შედის არა მხოლოდ ინტერვიუერის, არამედ რესპონდენტის ინტერესებშიც.

- **ინტერვიუს დროს არ ფასდება პირის ფსიქოლოგიური მდგომარეობა დიაგნოზის დონეზე** (მაგ: პოსტტრავმული სტრესული აშლილობა - პტსა) - ეს არ არის ინტერვიუს მიზანი. გასაუბრებისას უფრო მეტად ინფორმაციის მიღების ხერხების დახვეწაზე უნდა ვიზრუნოთ და არა დიაგნოსტირებაზე (მაგ: როგორ გამოვხატო მეტი მხარდაჭერა? როგორ დავეხმარო სავარაუდო მსხვერპლს ემოციების მართვაში? და ა.შ.).

10.3.2. ინტერვიუს მიმდინარეობისას გასათვალისწინებელი საკითხები

- **ინტერვიუ არ არის გამოძიება, მობილური ჯგუფი კი - საგამოძიებო ორგანო.** შესაბამისად, ინტერვიუერს შეუძლია მხოლოდ რესპონდენტის იმჟამინდელი ფსიქოემოციური მდგომარეობის შეფასება და ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევასთან დაკავშირებული დეტალების მაქსიმალურად გამორკვევა. რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობა შეიძლება გადამოწმდეს მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებში. შეგიძლიათ, ინტერვიუირებისას შესთავაზოთ რაიმე მტკიცებულების წარმოდგენა საკუთრი ნათქვამის გასამყარებლად (მაგ: წერილობითი დოკუმენტი, ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალა და ა.შ.).

- **რამდენად კეთილსინდისიერად ვასრულებ ჩემს მოვალეობას?** - ამ შემთხვევაში, უმჯობესია, მეტად გამოკვეთოთ როგორც საკუთრი, ისე ინტერვიუერის კომპეტენციის საზღვრები. მთავარი აქცენტი უნდა გააკეთოთ საკუთარ პროფესიულ და პიროვნულ უნარებზე: დაეხმაროთ რესპონდენტს ემოციების მართვაში და ხელი შეუწყოთ ფაქტების გახსენებაში. <u>მსგავს შემთხვევაზე მუშაობისას ზოგადი რეკომენდაციაა, რესპონდენტი ტრეფიკინგის მსხვერპლად მიიჩნიოთ იქამდე, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება მუშაობის პროცესში.</u>

- **რა ტიპის ინფორმაცია მჭირდება?** - მუდმივად უნდა გახსოვდეთ, რისთვის ტარდება ინტერვიუ. ეს დაგეხმარებათ პროცესში ინფორმაციის გაფილტვრასა და ცნობისმოყვარეობისგან თავშეკავებაში.

- **მიეცით საშუალება, თვითონ მართოს ინტერვიუს პროცესი** - კარგი იქნება, თუკი ინფორმაცია თავდაპირველად გადმოიცემა ნარატივის ფორმით. ამაში დაგეხმარებათ ღია შეკითხვების დასმა. ასეთ დროს ხშირად ინფორმაციას იღებთ ისე, რომ აღარ არის საჭირო ცალკე შეკითხვის დასმა.

- **დაპირება** - შესაძლოა, შემთხვევა ემოციურად იმდენად რთული და მძიმე იყოს ინტერვიუერისთვის, რომ შინაგანად გაუჩნდეს თქვენგან დაპირების მოსმენის მოთხოვნილება („დარწმუნებული ვარ, მოგენიჭებათ მსხვერპლის სტატუსი და აუცილებლად მიიღებთ დახმარებას“). სასურველია, ასეთი დაპირებებისგან თავი შეიკავოთ.

- **არ დაადანაშაულო** - ეს პრინციპი გულისხმობს მსხვერპლის პასუხისმგებლობის არიდებას მის მდგომარეობაზე. ამ დროს საჭიროა მხარდაჭერა და გამხნევება: „თქვენი ბრალი არ არის, რომ აღმოჩნდით ამ სიტუაციაში.“

- **იყავით მომთმენი** - როგორც წესი, ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთან ურთიერთობა სტანდარტული ინტერვიუსგან განსხვავდება. ამ ადამიანებს შეიძლება შედარებით მეტი დრო დასჭირდეთ პასუხის მოსაფიქრებლად. არ გააწყვეტინოთ საუბარი და პასუხის დამთავრებისთანავე არ გადახვიდეთ ახალ შეკითხვაზე. მიეცით მეტი დრო და პაუზა ურთიერთობისთვის.

10.3.2. ინტერვიუს მიმდინარეობისას გასათვალისწინებელი საკითხები

- **ინტერვიუზე დამსწრე პირი** - ხშირად, შესაძლოა ინტერვიუზე დასწრება მოინდომოს სხვა პირმა, თარჯიმნის ფუნქციის შეთავსებით. სასურველია, რესპონდენტს ჰყავდეს საკუთარი თარჯიმანი და შეძლებისდაგვარად შემცირდეს ინტერვიუში მონაწილე პირთა რაოდენობა.
  მეხსიერების ჩავარდნები და განსხვავებული ინტერპრეტაციით მოყოლილი ისტორია - ეს არ ნიშნავს, რომ მსხვერპლი არ გენდობათ, შესაძლებელია, მისი ტრავმული გამოცდილების შედეგი იყოს.

- **კითხვების რეფრაზირება (გამეორება სხვა სიტყვებით)** - ეცადეთ, არ წაიკითხოთ დასასმელი შეკითხვები, ეს ტოვებს ხელოვნურობის განცდას. იყავით თავისუფალი და შეკითხვის ფორმა მოარგეთ რესპონდენტის ფსიქოსოციალურ მახასიათებლებს, მის ტერმინოლოგიას.

- **დამაზუსტებელი/გამეორებული შეკითხვები** - ხშირად მსხვერპლს შეიძლება ეგონოს, რომ ერთსა და იმავე შეკითხვებს უსვამთ. ასეთ დროს, რესპონდენტის გაღიზიანების ასაცილებლად, სასურველია, მოკლედ განმარტოთ, რომ გამოყენებული მიდგომა საჭიროა ინფორმაციის დასაზუსტებლად და არ არის განპირობებული ცნობისმოყვარეობით.

  - შეკითხვები უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე და ნათელი;
  - თავი აარიდეთ ორმაგ კითხვებს;
  - მაქსიმალურად შეამცირეთ პროფესიული და განზოგადებული ტერმინები.

  მთავარი მესიჯები ინტერვიუირების პროცესში:

  - „შეგიძლიათ, მენდოთ“;
  - „თქვენი უსაფრთხოება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია“;
  - „მაქსიმალურად შევეცდები, დაგეხმაროთ“;
  - „მე გენდობით“.

10.4. ემოციების რეგულირება ინტერვიუს პროცესში

სავარაუდო მსხვერპლი ძირითადად მოკლებულია თანაგრძნობას. მას მუდმივად უწევს საკუთარი შეგრძნებებისა ემოციების დათრგუნვა. შესაბამისად, ინტერვიუერის თუნდაც მცირე ემპათიამ, ან მატრავმირებელი მოვლენის გახსენებამ, შეიძლება რესპონდენტში გამოიწვიოს უცაბედი „ემოციური აფეთქება“. ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანია სიმშვიდის შენარჩუნება და კონკრეტული ნაბიჯების რიგითობა:

უპირველეს ყოვლისა, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ემოციების გამოხატვა (ბრაზი, აგრესია) საფრთხეს არ გვიქმნის არც ჩვენ, არც რესპონდენტს და არც გარემოს (დარტყმა, დამტვრევა, დაზიანება), შემდეგ კი გადავდივართ პრევენციის მეორე ეტაპზე. ხშირად ინტენსიური ემოციის დარეგულირებას გარკვეული დრო სჭირდება. ასეთ შემთხვევაში, მთავარია, რესპონდენტმა იგრძნოს, რომ უსაფრთხო გარემოში იმყოფება და საკუთრი ემოციების გამო არავინ დასჯის. ამის საუკეთესო საშუალებაა თქვენი სიმშვიდე და მხარდაჭერა. მიეცით რესპონდენტს საკმარისი დრო და შესაძლებლობისთანავე ჰკითხეთ: „რით შემიძლია თქვენი დახმარება?“ თუ გეტყვით, რომ ეს არ შეგიძლიათ, უბრალოდ აცალეთ, შესთავაზეთ წყალი და ეცადეთ, შეუქმნათ მყუდრო გარემო.

ემოციების გამოხატვისას არ მიაჩერდეთ რესპონდენტს - შეიძლება მსხვერპლს ეგონოს, რომ აკვირდებით და გაღიზიანდეს, ან არაადეკვატური რეაქცია ჰქონდეს. ამ დისკომფორტის მოსახსნელად, შესთავაზეთ, რომ გახვალთ ოთახიდან და ცოტა ხანში დაუბრუნდებით, თუკი ეს უკეთ აგრძნობინებს თავს.

შეგიძლიათ, გაამხნევოთ კიდეც („თქვენ გაქვთ საკმარისი დრო, რამდენი ხანიც დაგჭირდებათ. არ მოგერიდოთ ემოციების გამოხატვა, თავი იგრძენით თავისუფლად, ეს დაგამშვიდებთ და დაგეხმარებათ. მე აქვე ვარ და, თუ რამე დაგჭირდებათ, უბრალოდ მითხარით“); ასევე უთხრათ, რომ როდესაც მზად იქნება, შეუძლია, ნიშანი მოგცეთ და კვლავ გააგრძელებთ ინტერვიუირებას. ინტერვიუს დასრულება და ინფორმაციის ამოღება აუცილებელია მის დასახმარებლად.

ემოციები, როგორიცაა სევდა, სინანული და დანაშაულის შეგრძნება, ძირითადად, საკუთარ თავს მიემართება, ამ დროს ნაკლებად სავარაუდოა, თქვენ დაგაზიანოთ რესპონდენტმა. საჭიროა მისი წერტილოვანი გამხნევება.

ემოციების სამართავად, შესაძლებელია კონკრეტული მეთოდების გამოყენება:

10.4. ემოციების რეგულირება ინტერვიუს პროცესში

<u>შესთავაზეთ:</u>

- ცივი წყალი (როგორც წესი, ინტენსიური ემოცია იწვევს სისხლის სწრაფ მოძრაობას, სუნთქვის გახშირებასა და ტემპერატურის აწევას, რასაც ცივი წყალი აბალანსებს);

- სუნთქვითი სავარჯიშოები (შეისუნთქეთ ცხვირით 3 თვლაზე, ხოლო 6 თვლაზე ამოისუნთქეთ);

- პაუზა და ფიზიკური აქტივობა (მაგ: ოთახში გადაადგილება, გაზმორვა); მოდუნება (წამოწოლა, ღრმა და თანაბარი სუნთქვა თვალების დახუჭვის ფონზე);

- ემოციისთვის სახელის დარქმევა, რაც როგორც წესი მომენტალურად მოქმედებს ემოციის ინტენსივობის შემცირებაზე.

- შეგიძლიათ გამოიყენოთ ფრაზები: „აქ უსაფრთხოდ ბრძანდებით“, „თქვენ გვერდით ვარ“, „რით შემიძლია დახმარება?“

თუ პროცესში ხვდებით, რომ რესპონდენტს უჭირს მთავარ საკითხზე ფოკუსირება, შეგიძლიათ, მცირე განტვირთვა მოუწყოთ: საუბარი გადაიტანოთ მისთვის მარტივ საკითხებზე; გუნება-განწყობილების გასაუმჯობესებლად, სთხოვოთ, გაიხსენოს ბავშვობის ყველაზე სასიამოვნო მოგონება, რომელი საგანი უყვარდა სკოლაში და ა.შ.

ინტერვიუ ორმხრივი პროცესია, შესაბამისად, თქვენი ემოციური დამოკიდებულება საკითხის მიმართ ბევრ რამეს განსაზღვრავს: თუკი გეცოდებათ მსხვერპლი, ამან შეიძლება მისი აგრესია გამოიწვიოს, ან გაამძაფროს მსხვერპლისთვის დამახასიათებელი უმწეო მდგომარეობა. რომელი დამოკიდებულება იქნება საუკეთესო?

> „მესმის, რომ რთულ სიტუაციაშია და უამრავი რამ გადაიტანა. ვიცი, რომ დახმარება სჭირდება და ვაცნობიერებ, რომ ამ დახმარების მისაღებად თავადაც უწევს გარკვეული პასუხისმგებლობის გააზრება. მე განსაზღვრული მაქვს პასუხისმგებლობა და შესაბამისი ჩარჩოები, რომელთა ფარგლებშიც შემიძლია პირის დახმარება. მზად ვარ, ინტერვიუს მიზნებისთვის გამოვიყენო მთელი ჩემი პროფესიონალიზმი, მხარი დავუჭირო რესპონდენტს, ვიყო ემპათიური მის მიმართ და ყურადღებით მოვისმინო მისი ისტორია. მე მჯერა რესპონდენტის იქამდე, ვიდრე არ დამტკიცდება საწინააღმდეგო.“

10.5. ინტერვიუს ხანგრძლივობა

პრაქტიკაში ინტერვიუ მერყეობს 1-დან 4 საათამდე და, ძირითადად, სრულდება ერთი შეხვედრით. თუმცა, მნიშვნელოვანია, საჭიროების შემთხვევაში რესპონდენტს (მისი ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე) მიეცეს რამდენჯერმე შეხვედრის შესაძლებლობა. აქვე გასათვალისწინებელია რისკი, რომ რესპონდენტს შეიძლება გაუჭირდეს მომდევნო შეხვედრებზე მოსვლა. ამიტომ, სასურველია, თავიდანვე იყოთ ორიენტირებული ინტერვიუს ერთი შეხვედრით დასრულებაზე და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში შეხვდეთ განმეორებით.

მართალია, არსებობს ყურადღების შენარჩუნების ხანგრძლივობის საშუალოსტატისტიკური მაჩვენებელი, თუმცა, ვინაიდან ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლი განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფია, ინტერვიუს პროცესი უნდა წარმართოთ რესპონდენტზე ორიენტირებულად. სასურველია, დააკვირდეთ მას, როდის იღლება, როდის კარგავს კონცენტრაციას და შესაბამისად შესთავაზოთ დასვენება. ინტერვიუს დასაწყისში ნათლად უნდა აუხსნათ ისიც, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია ინტერვიუს შეწყვეტა და შესვენება.

თუ სავარაუდო მსხვერპლი გამოირჩევა უხვსიტყვიანობით და მის მონაყოლს არ აქვს კავშირი სავარაუდო დანაშაულთან, შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის/შეკითხვის გამოყენება ამ წინააღმდეგობის დასაძლევად (მაგ: „რასაც მიყვებით, როგორ შეგიძლიათ დაუკავშიროთ ჩემს თავდაპირველ შეკითხვას?“ „ინტერვიუს დასაწყისში ბრძანეთ, რომ... ამაზე რას მეტყოდით?“ „რას ვერ მეუბნებით, რის არიდებას ცდილობთ?“

ინტერვიუს ხანგრძლივობაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: თარჯიმნის ყოფნა; რესპონდენტის ინტელექტუალური განვითარების დონე (რამდენად ესმის დასმული შეკითხვა, ხომ არ საჭიროებს განმარტებას); რამდენად სწორად სცემს დასმულ შეკითხვას პასუხს; რესპონდენტის მზაობა თანამშრომლობისთვის; ემოციური ფონიდან გამომდინარე, შესვენებების ხანგრძლივობა, სიხშირე და სხვა.

10.6. ინტერვიუ არასრულწლოვანთან

ბავშვის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინტერვიუირების პროცესში დამატებით საჭიროა:

- სასქესო ორგანოებს ის სახელები უწოდოთ, რასაც ბავშვი ეძახის;
- ინტერვიუს გარემოში რაც შეიძლება ნაკლებად იყოს ნივთები, რომლებიც იწვევს ყურადღების გაფანტვას (სათამაშოები, ტკბილეულობა და ა.შ.);
- ინტერვიუს პროცესს მიეცეს თამაშის ფორმა (მაგ: თუ ჩაწერის საშუალებები გამოიყენება, შეგიძლიათ, ბავშვს შესთავაზოთ: „აბა, თქვი რამე და მე ჩავიწერ, ვნახოთ, როგორ მუშაობს“, შემდეგ კი ჩანაწერი მოასმენინოთ. საკუთრი ხმის გაგებამ ბავშვი შეიძლება გაახალისოს;
- თავი შეიკავოთ შეკითხვისგან „რატომ?“ შეიძლება ეს ბავშვმა დადანაშაულებად აღიქვას;
- იყოთ მაქსიმალურად კონკრეტული, მაგალითად, ჰკითხოთ:
  - „გიორგიმ რა თქვა?“ (და არა „მან რა თქვა?“)
  - „სამზარეულოდან ყვირილის ხმა ისმოდა?“ (და არა „იქ ყვირილის ხმა ისმოდა“?)

ზოგადად, სასურველია, არასრულწლოვანთან გასაუბრება დაიწყოს ღია და დამაზუსტებელი შეკითხვებით, მაგალითად: „მითხარი, რა მოხდა“, ან „მომიყევი, რა მოხდა.“ მას შემდეგ, რაც ბავშვი ზოგადად გადმოსცემს სათქმელს, საჭიროა დამაზუსტებელი/შემავსებელი შეკითხვების დასმა: „შემდეგ რა მოხდა?“ „უფრო მეტი მომიყევი ამის შესახებ.“ მომდევნო ეტაპი პირდაპირი შეკითხვებია (ვინ? სად? როდის? და ა.შ.). სასურველია, ამგვარი შეკითხვები შეძლებისდაგვარად მცირე დოზით დასვათ, რადგან მათზე მცდარი ინფორმაციის მიღების ალბათობა იზრდება.

იმისათვის, რომ ბავშვმა თავისუფლად იგრძნოს თავი, აუცილებელია ინტერვიუზე დამსწრე პირთა რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება. თუკი ინტერვიუს რესპონდენტის მხრიდან ესწრება უფროსი ადამიანი, ყველანაირად უნდა გამოირიცხოს მისი კავშირი სავარაუდო დანაშაულთან (ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია მშობლის დასწრებაც კი შეიზღუდოს). გასათვალისწინებელია ამ პირის დამოკიდებულებაც ბავშვთან: თუ იგი კარგად იცნობს ბავშვს, შეიძლება უნებურად გადაიქცეს რესპონდენტად. ასეთ დროს საჭიროა შეახსენოთ, რომ მას მხოლოდ მხარდამჭერის ფუნქცია აქვს.

10.6. ინტერვიუ არასრულწლოვანთან

ბავშვთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანია ზოგადი მხარდაჭერის გამოხატვა, ასევე, მისთვის ბიძგის მიცემა, თუკი უჭირს საუბარში ჩართვა. მნიშვნელოვანია შემდეგი შინაარსის ფრაზები: „მიხარია შენი ნახვა“, „თავს როგორ გრძნობ?“, „შეგიძლია, მეტი მომიყვე შენზე, რომ უკეთ გაგიცნო?“, „გმადლობ, რომ მესაუბრე, ძალიან მეხმარები უკეთ გაგებაში“, „მინდა, დაგეხმარო.“

მოტივაციისთვის შესაძლებელია გამოვიყენოთ ფრაზები: „ვიცი, რომ გიჭირს ამაზე საუბარი“; „თავიდან ბევრს უჭირს, რცხვენიათ ხოლმე“, „შეგიძლია, ყველაფერი მომიყვე ისე, როგორც გსურს; თუ გინდა, ცუდი სიტყვებიც გამოიყენე“; „როგორ შემიძლია დახმარება? თუ გინდა, დაიწყე და მოგეხმარები საუბარში.“

ბავშვებთან ურთიერთობაში კარგად მუშაობს წინასწარ შეთანხმება სამუშაო წესებზე. სასურველია, ეს წესები ერთობლივად დადგინდეს (ურთიერთთანამშრომლობით). უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელია, გარკვეული წესები ინტერვიუერმაც შესთავაზოს:

> ჩვენი საუბრისას იყავი მაქსიმალურად თავისუფალი. თუ რამე არ იცი, ან რამეს ვერ გაიგებ, პირდაპირ მითხარი, შევეცდები, გავიმეორო შეკითხვა. თუ შენთვის პასუხის გაცემა რთულია, მითხარი და ვეცდები, სხვანაირად დაგისვა კითხვა. ნებისმიერ დროს, როდესაც დაიღლები, მითხარი და დავისვენოთ.“

10.7. სხეულის ენა/ტყუილის შესაძლო არავერბალური ნიშნები

ინტერვიუერისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელსაც სავარაუდო მსხვერპლი ვერბალურად გამოხატავს: ასეთივე (და ზოგჯერ უკეთესი) ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს რესპონდენტის არავერბალური მეტყველებაც. ქვემოთ შევეხებით ყველაზე გავრცელებულ საკითხებს.

გახსოვდეთ! ერთი რომელიმე ნიშნის არსებობა არ გულისხმობს, რომ გვაქვს საფუძველი დასკვნის გამოსატანად. საჭიროა რამდენიმე ნიშნის ერთობლიობა (კასკადი), რაც დაგვეხმარება, რომ მეტი ალბათობით დავადასტუროთ მსხვერპლის ფსიქოემოციური მდგომარეობა. საუკეთესო შემთხვევაში, ვერბალურადაც (შეკითხვის დასმით) უნდა გადავამოწმოთ, რამდენად სწორად აღვიქვამთ მის მდგომარეობას. **სხეულის ენის მეტი სიზუსტით გამოსაცნობად, გასათვალისწინებელია კონტექსტისა და ნიშნების ერთობლიობა.**

როგორც წესი, ყინულის გალღობამდე რესპონდენტები უკეთ გრძნობენ თავს თავდაცვით პოზაში. ეს შეიძლება გამოიხატოს თქვენსა და რესპონდენტს შორის ერთგვარი ბარიერის აღმართვით (მაგ: ჩანთის მუხლებზე დადება და მუცლის დაფარვა, ხელების გადაჯვარედინება). უნდობლობა შეიძლება გამოიხატოს გამართული, არაკომფორტული (სკამის კიდეზე) ჯდომითაც, ასევე, თვალით ხანგრძლივი კონტაქტისთვის თავის არიდებით. საპირისპიროდ, თუ თქვენი რესპონდენტი:

- მოხერხებულად მოკალათდება სავარძელზე;
- სხეულს შედარებით მოადუნებს;
- ხელებს დაიწყობს მუხლებზე ან გვერდზე (და არა გადა

შეგიძლიათ, ივარაუდოთ, რომ ახლა ბევრად მშვიდად გამოიყურება.

ტყუილის შესაძლო ნიშნები:
ტყუილის ამოცნობა არ არის მარტივი და 100%-ით შესაძლებელი, თუმცა არსებობს ნიშნები, რომლებზე ყურადღების გამახვილებაც დაგეხმარებათ მეტი სიცხადის შეტანაში.

უპირველეს ყოვლისა, დააკვირდით, როგორ იქცევა ის ჩვეულებრივ საკითხებზე საუბრისას. საბაზისო რეაქციებზე დაკვირვება შესაძლებელია ნეიტრალური შეკითხვების დასმით, ისეთ თემაზე საუბრით, რომელთან მიმართებითაც რესპონდენტს არ სჭირდება ტყუილის თქმა. შესაძლოა, მიხვდეთ, რომ თქვენი რესპონდენტი ზოგადად:

- ძალიან ცოტას ან ძალიან ბევრს საუბრობს;
- იყენებს აქტიურ ჟესტიკულაციას ან პასიურია;
- საუბრობს ხმადაბლა ან ხმამაღლა და ა.შ.

10.7. სხეულის ენა/ტყუილის შესაძლო არავერბალური ნიშნები

საბაზისო ქცევითი მოდელების შესწავლის შემდგომ, შეძლებთ მომენტალური ცვლილებების შემჩნევას, რაც დაგეხმარებათ ტყუილის გამოვლენაში. შესაძლოა, პროცესში მოულოდნელად შენიშნოთ, რომ თქვენ მიერ დასმულ პირდაპირ შეკითხვაზე რესპონდენტი:

- იცვლის ხმის ინტონაციას;
- იწყებს თქვენი სიტყვებისა და ფრაზების გამეორებას (დროის მოსაგებად);
- იწყებს თქვენს ინფორმაციულ „დაბომბვას“, რაც ხშირად ფრაგმენტული და ქაოტურია;
- იფარავს პირს (ან, სახეცვლილი ფორმით, ცხვირთან მიაქვს ხელი);
- ინსტინქტურად იფარავს სხეულის ნაწილებს (ყელს, მკერდს);
- ერთ წერტილში აჩერებს მზერას (ნაკლებად ახამხამებს თვალებს);
- ყალბად იღიმება (ღიმილის გამოიხატება მექანიკურად, მხოლოდ ტუჩებით და არა მთელი სახით);

მთავარი საკითხი მაინც არის ტყუილისას აღმოცენებული დისტრესის ნიშნების შემჩნევა. ცხადია, ადამიანები შეიძლება მეტ-ნაკლებად ნავარჯიშებნი იყვნენ სხეულის ენის კონტროლში, თუმცა, როგორც წესი, ეს ვერ ხერხდება მთელი ინტერვიუს განმავლობაში.

11. ეთიკა და კონფიდენციალობა

1. „არ ავნო“ - სავარაუდო მსხვერპლთან მოქცევისას უნდა იგულისხმებოდეს, რომ ზიანი სახეზეა, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. არ ჩაატაროთ ინტერვიუ, თუ ამით რესპონდენტს ავნებთ მოკლე ან გრძელვადიან პერსპექტივაში;

2. მოამზადეთ რეფერალისთვის საჭირო ინფორმაცია - არ დაპირდეთ ისეთ რამეს, რასაც ვერ შეასრულებთ;

3. დაიცავით ანონიმურობა და კონფიდენციალობა მთელი ინტერვიუს განმავლობაში - პირველი კონტაქტიდან საქმის ბოლომდე მიყვანამდე (შემთხვევის გამოქვეყნებამდე);

4. მიიღეთ ინფორმირებული თანხმობა შემდეგ საკითხებზე:

   a. ინტერვიუს შინაარსი და მიზანი გასაგებია;

   b. იცის, როგორ გამოიყენება მიღებული ინფორმაცია;

   c. იცის, რომ უფლება აქვს:

      i. არ გასცეს შეკითხვას პასუხი;

      ii. შეწყვიტოს ინტერვიუ ნებისმიერ დროს;

      iii. დაადგინოს ამოღებული ინფორმაციის გამოყენების საზღვრები.

5. მოუსმინეთ და პატივი ეცით რესპონდენტის აზრს, თუ როგორ აფასებს ის საკუთარ მდგომარეობასა და რისკებს;

6. არ მიაყენოთ ხელახალი ტრავმა (რეტრავმატიზაცია) - მოერიდე შეკითხვებს, რომლებიც ითხოვს ემოციურ პასუხებს. იყავით მზად, რომ უპასუხოთ რესპონდენტის დისტრესს და აღნიშნოთ მისი ძლიერი მხარეები.

ბავშვის შემთხვევაში:

1. გოგონები და პატარა ბიჭები უნდა გამოკითხოს ქალმა, შედარებით მოზრდილ ბიჭებთან კი შესაძლებელია კაცი ინტერვიუერის ყოფნა;

2. როგორც წესი, ინტერვიუირების პროცესს ესწრება ზრდასრული, რომელსაც ენდობა ბავშვი და რომელიც მაქსიმალურად მოწოდებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად. უკიდურეს შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს სოციალური მუშაკი ან ფსიქოლოგი;

3. ინტერვიუ არაფორმალურ გარემოში უნდა ჩაატაროს ინტერვიუერმა, რომელსაც სპეციფიკური გადამზადება აქვს გავლილი ბავშვთან სამუშაოდ;

4. ინტერვიუ უნდა ჩატარდეს ბავშვის მშობლიურ ენაზე;
5. ინტერვიუ არ უნდა იყოს ხანგრძლივი, რათა აირიდოთ ბავშვის გადაღლა;
6. ინტერვიუს დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ბავშვის განვითარების დონე;
7. სანამ ბავშვს დაუსვამთ კონკრეტულ შეკითხვებს, უნდა მისცეთ საშუალება, თვითონ მოგიყვეთ ისტორია.

12. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვა, რეაბილიტაცია და სერვისები როგორც სრულწლოვნების, ისე არასრულწლოვნებისთვის

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. საქართველოში შექმნილია სახელმწიფო უწყება - სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო“, რომელიც თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების მეშვეობით ახერხებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვას, დახმარებასა და რეაბილიტაციას. სააგენტოს სერვისები მორგებულია როგორც სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან მსხვერპლთა საჭიროებებზე.

სააგენტოს სერვისებით სარგებლობა შეუძლია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, დაზარალებულს, მათ 18 წლამდე ასაკის შვილ(ებ)ს და იმ პირ(ებ)ს, რომლის/რომელთა კანონიერი წარმომადგენელიც ამ დანაშულის მსხვერპლი ან დაზარალებულია.

მსხვერპლთა მომსახურების მიზნით, სააგენტოს ბაზაზე ფუნქციონირებს ორი თავშესაფარი:

- ✓ ბათუმის (გაიხსნა 2006 წელს); და
- ✓ თბილისის (გაიხსნა 2007 წელს).

ასევე, ხუთი კრიზისული ცენტრი:

- ✓ თბილისის (გაიხსნა 2016 წელს);
- ✓ ქუთაისის (გაიხსნა 2017 წელს);
- ✓ გორის (გაიხსნა 2018 წელს);
- ✓ ოზურგეთის (გაიხსნა 2018 წელს); და
- ✓ მარნეულის (გაიხსნა 2019 წელს).

ამ დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს ან დაზარალებულს შეუძლია შემდეგი სერვისებით სარგებლობა:

- ✓ სადღეღამისო (24-საათიანი) საცხოვრისით უზრუნველყოფა (თავშესაფარში);
- ✓ ფსიქოსოციალური დახმარება/რეაბილიტაცია;
- ✓ სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება;
- ✓ სამართლებრივი დახმარება
- ✓ ერთჯერადი კომპენსაციის მიღება (1 000 ლარი);
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურება;
- ✓ საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) მომსახურება.

12. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვა, რეაბილიტაცია და სერვისები როგორც სრულწლოვნების, ისე არასრულწლოვნებისთვის

✓ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

<u>სადღეღამისო (24–საათიან) საცხოვრისში</u> უზრუნველყოფილია:
(ა) ნორმალური არსებობისთვის შესაფერისი უსაფრთხო საცხოვრებელი;
(ბ) დღის განმავლობაში ოთხჯერადი კვება;
(გ) ჰიგიენის დაცვა;
(დ) საჭიროების შემთხვევაში, სეზონისა და ასაკის შესაბამისი ტანსაცმელი.

✓ <u>ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია/დახმარება</u> მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

(ა) ფსიქოლოგიური კონსულტაცია, დახმარება და/ან რეაბილიტაცია;
(ბ) კრიზისული ინტერვენცია;
(გ) ემოციური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;
(დ) ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა ბენეფიციართან;
(ე) დახმარება მომავლის პერსპექტივების განსაზღვრასა და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის აღდგენაში;
(ვ) სოციალური დახმარების რესურსებზე ინფორმაციის მოძიება და ბენეფიციარისთვის მიწოდება;
(ზ) ინფორმაციის მიწოდება განათლების მიღების შესაძლებლობებზე;
(თ) ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სამსახურთან/სპეციალისტთან დაკავშირება და მომსახურების კოორდინაცია/რეფერირება;
(ი) ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
(კ) დასაქმებაში ხელშეწყობა.

✓ <u>სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება</u> მოიცავს შემდეგ დახმარებას:

(ა) პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება;
(ბ) ამბულატორიული/სტაციონარული მომსახურების ორგანიზება/მიღება;
(გ) საბაზისო მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
(დ) თავშესაფარში ყოფნისას ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

✓ <u>სამართლებრივ დახმარებაში</u> იგულისხმება:

(ა) სამართლებრივი კონსულტაცია;
(ბ) საჭიროების შემთხვევაში, განცხადების/სარჩელის შედგენა;
(გ) სასამართლო/სამართალდამცველ ორგანოებში წარმომადგენლობა/ადვოკატირება;
(დ) დახმარება სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში.

12. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვა, რეაბილიტაცია და სერვისები როგორც სრულწლოვნების, ისე არასრულწლოვნებისთვის

✓ ერთჯერადი კომპენსაცია (1 000 ლარი);

(ა) ტრეფიკინგის მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტო გასცემს ერთჯერად სახელმწიფო კომპენსაციას 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;
(ბ) ერთჯერადი კომპენსაცია გაიცემა იმის მიუხედავად, აუნაზღაურა თუ არა დამნაშავემ მსხვერპლს/დაზარალებულს დანაშაულით მიყენებული მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

✓ თარჯიმნის მომსახურებაში იგულისხმება:

(ა) ინფორმაციის მიწოდება ბენეფიციარისთვის გასაგებ ენაზე, მათ შორის, უფლება-მოვალეობების, თავშესაფრის შინაგანაწესისა და სხვა საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტების გასაცნობად;
(ბ) საჭიროების შემთხვევაში (გასაუბრება სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენელთან), თარჯიმნის სერვისით უზრუნველყოფა.

✓ ცხელი ხაზი - 116 006

სააგენტოს ბაზაზე მოქმედ საკონსულტაციო ცხელ ხაზზე (116 006) შესაძლებელია როგორც კონსულტაციის მიღება ტრეფიკინგის საკითხებზე, ასევე ინფორმაციის მიწოდება სავარაუდო ტრეფიკინგის მსხვერპლზე, რასაც შესაბამისი კანონიერი მსვლელობა მიეცემა.
ცხელი ხაზი მომსახურებას სთავაზობს:

(ა) უფასოდ;
(ბ) ანონიმურად;
(გ) 24-საათის განმავლობაში (კვირაში 7 დღე);
(დ) ქართულ და 7 უცხოურ ენაზე (ინგლისური, რუსული, აზერბაიჯანული, თურქული, სომხური, არაბული და სპარსული).

სააგენტოს კრიზისულ ცენტრებს აქვთ უფლებამოსილება, პირს მიანიჭონ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) **სავარაუდო მსხვერპლის სტატუსი,** თუ იგი თავს მსხვერპლად მიიჩნევს და მიმართავს კრიზისულ ცენტრს. სტატუსის მინიჭების პროცედურა მიღებული და დამტკიცებულია სააგენტოს მიერ. სავარაუდო მსხვერპლის სტატუსი მნიშვნელოვანია კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობისთვის, რომლის ვადაც არ აღემატება **12 სამუშაო დღეს**. ამ ვადაში ხორციელდება მსხვერპლის სტატუსის დასადგენად საჭირო პროცედურები და, ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, იგი ერთვება სააგენტოს ძირითად სერვისებში.

12. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვა, რეაბილიტაცია და სერვისები როგორც სრულწლოვნების, ისე არასრულწლოვნებისთვის

სააგენტოს სერვისებით სარგებლობა შესაძლებელია 3 თვემდე ვადით, თუმცა ამ ვადის გაგრძელება შესაძლებელია დამატებით 3-3 თვით. საერთო ვადა შეადგენს 9 თვეს.

<u>რა განსხვავებაა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებს შორის?</u> სერვისებისა და მათი მიწოდების კუთხით არსებითი განსხვავება ამ ორ დაწესებულებას შორის არ არსებობს, თუმცა რამდენიმე გარემოება სხვაგვარად რეგულირდება: კრიზისულ ცენტრებს არ აქვთ სადღეღამისო საცხოვრისი, გარდა თბილისის კრიზისული ცენტრისა, რომელიც ამ სერვისს აწვდის მხოლოდ სავარაუდო მსხვერპლს, 12 დღემდე ვადით. ასეთი ცენტრის მომსახურება მიეწოდება მხოლოდ დღის განმავლობაში, 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, უქმე ან დასვენების დღეების გამოკლებით. კრიზისული ცენტრი ითვლება ღია დაწესებულებად, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისვლა და კონსულტაციის მიღება. მათი მისამართები საჯაროა. თავშესაფრის მისამართი კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას.

თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის სერვისები მორგებულია არასრულწლოვანთა საჭიროებებზე - როგორც არასრულწლოვან ბენეფიციარებზე, ასევე სრულწლოვან ბენეფიციარებზე დამოკიდებულ 18 წლამდე პირებზე. თავშესაფრებში არსებობს ძიძის პოზიცია, რომლის ფუნქციაა არასრულწლოვანზე ზრუნვა. თუ არასრულწლოვან ბენეფიციარს არ ჰყავს მშობლები, დაუყოვნებლივ გადამისამართდება ადგილობრივ სოციალურ სამსახურთან და ენიშნება კანონიერი წარმომადგენელი (სწორედ მასთან შეთანხმებით იგეგმება და ხორციელდება ყველა სერვისი, რომლებიც არასრულწლოვანს სჭირდება). თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში არსებობს სათამაშო კუთხე ბავშვებისთვის და ბიბლიოთეკა, რომელიც საბავშვო ლიტერატურასაც შეიცავს. თანამშრომლები არასრულწლოვნებს ეხმარებიან როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მიღებაში. შესაძლებელია ბავშვების ჩართვა სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსში (უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ სააგენტოს სერვისებში ჩაირიცხება 14 წლამდე არასრულწლოვანი, დაუყონებლივ იწყება შესაბამისი მოქმედებები სოციალური მუშაკთან კოორდინაციით: კერძოდ, ის დაუყოვნებლივ გადაჰყავთ ინსტიტუციებში, რომელთა პირდაპირი ფუნქციაა არასრულწლოვნებზე ზრუნვა (მაგ: მცირე საოჯახო ტიპის სახლები, მინდობით აღზრდის სერვისი და ა.შ.). 14 წლამდე არასრულწლოვან ბენეფიციარს (რომელმაც სერვისებით უნდა ისარგებლოს მარტომ) სააგენტოს მომსახურების მიღება შეუძლია 20 დღემდე ვადით.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაციის ღონისძიებები ხორციელდება მათი თანხმობით და პერსონალურ მონაცემთა სრული გასაიდუმლოებით.

13. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა უფლებები

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა უფლებები და დაცვის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობაში ფართოდ არის წარმოდგენილი, საერთაშორისო ხელშეკრულებათა მოთხოვნებისა და მოწოდებების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, ყურადღება შევაჩეროთ რამდენიმე ძირითად უფლებაზე, რომელთა დაცვა სახელმწიფოს უმთავრესი ვალდებულებაა.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თუ მსხვერპლს/დაზარალებულს დანაშაული ჩადენილი აქვს მსხვერპლად/დაზარალებულად ყოფნის გამო, ის სამართლებრივი **პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება.** კერძოდ, იგულისხმება დანაშაულები, როგორიცაა: საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა (სსკ-ის 344-ე მუხლი) და პირადობის დამადასტურებელი საბუთების გაყალბება (სსკ-ის 362-ე მუხლი), ასევე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, როგორიცაა პროსტიტუცია და ქვეყანაში რეგისტრაციის წესის დარღვევით ცხოვრება (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 185-ე და 1723 მუხლები).

საქართველოს კანონმდებლობა ტრეფიკინგის (სავარაუდო) მსხვერპლს აძლევს **მოსაფიქრებელ ვადას** - 30 დღეს, რათა მიიღოს გადაწყვეტილება სამართალდამცველებთან თანამშრომლობაზე სისხლისსამართლებრივი პროცესის მიმდინარეობისას. მსხვერპლის გადაწყვეტილება არ ახდენს გავლენას მის სტატუსსა და სტატუსის თანმდევ გარანტიებზე.

სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულსა და მისი უფლებების დაცვას. შესაძლებელია, დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის მოთხოვნით, **სასამართლო სხდომა დაიხუროს**, თუკი არსებობს საფუძველი, რომ პირის ინტერესები შეილახება სხდომის საჯაროობით (მაგ: დაზარალებული არასრულწლოვანია ან არ სურს, გასაჯაროვდეს მასზე ინფორმაცია, რომელიც დანაშაულს უკავშირდება).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს **დაცვის სპეციალური ღონისძიებების** გამოყენებას დაზარალებულის მიმართ, თუკი არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება (მაგ: დაზარალებული საცხოვრებლად გადაჰყავთ ბინაში, რომლის მისამართი კონფიდენციალურია, ან მას ენიშნება დაცვა და ა.შ.).

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლისთვის/დაზარალებულისთვის უზრუნველყოფილია **მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.** სამართალდამცველი ორგანოები და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები (თავშესაფრები) ვალდებულნი არიან, ასეთ პირებს სრული ინფორმაცია მიაწოდონ საქართველოს კანონმდებლობაზე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში.

13. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა უფლებები

გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე ვალდებულნი არიან, დაზარალებულს მშობლიურ ან მისთვის გასაგებ ენაზე მიაწოდონ ინფორმაცია თავის უფლება-მოვალეობებსა და სამართლებრივ სტატუსზე, ასევე, გამოძიებასა და სასამართლო პროცესის მსვლელობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. სისხლის სამართლის პროცესში სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ დაზარალებულს ჰყავდეს ადვოკატი და **თარჯიმანი** და მშობლიურ ან მისთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები და მასალები.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა და მოწმეთა ვინაობა, მისამართები და სხვა პერსონალური მონაცემები **საიდუმლო ინფორმაციაა** და მისი გამჟღავნება აკრძალულია,

საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი/დაზარალებული უცხოელი სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს ამ დანაშაულის მსხვერპლი/დაზარალებული მოქალაქეებისთვის. ასეთ უცხოელზე **ბინადრობის სპეციალურ ნებართვას** გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების ან სისხლისსამართლებრივი პროცესის მწარმოებელი ორგანოს შუამდგომლობით. ამ პერიოდში მსხვერპლს უფლება აქვს, იმუშაოს საქართველოს ტერიტორიაზე და ისარგებლოს საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი შრომითი უფლებებითა და გარანტიებით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უფლება, რომელსაც უცხოელ მსხვერპლს/დაზარალებულს ანიჭებს საქართველოს კანონმდებლობა, არის წარმოშობის სახელმწიფოში **უსაფრთხო დაბრუნების უფლება.** სახელმწიფო იღებს ყველა სათანადო ზომას, რომ რეპატრიაციის პროცესი სწრაფად და უსაფრთხოდ წარიმართოს.

ამ კუთხით, აღსანიშნავია კანონმდებლობაში არსებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დათქმა, რომლის მიხედვითაც უცხოელ მსხვერპლს უფლება აქვს, მოითხოვოს **საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენა და თავშესაფრის მიღება,** თუკი არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ წარმოშობის სახელმწიფოში დაბრუნების შემთხვევაში მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას საფრთხე დაემუქრება.

14. სახელმძღვანელო პრინციპები ანუ როგორ ვმოქმედებთ პრაქტიკაში

პრაქტიკული მაგალითი #1

(მთლიანი პროცესი)

„მარნეულის კრიზისულ ცენტრს მიმართა 29 წლის მოქალაქემ, ქალბატონმა ზ. თ.-მ, რომელსაც ქართულად საუბარი უჭირდა, და მოითხოვა კონსულტაცია იურისტთან. მისი ინფორმაციით, რამდენიმე თვის უკან გარდაეცვალა მშობლები, ძალიან გაუჭირდა ფინანსურად და დაიწყო სამუშაოს ძებნა. მეზობელმა შესთავაზა თურქეთში მუშაობა: კერძოდ, უთხრა, რომ ქალაქ ტრაბზონში მის ნათესავს, რესტორნის მენეჯერს, რამდენიმე გოგო სჭირდებოდა სასწრაფოდ სხვადასხვა სამუშაოზე, დაუკავშირდებოდა მას და მალევე ტელეფონით აცნობებდა პასუხს. თქვა ისიც, რომ ვიდრე სხვებს მოუძებნიდა, შესაძლებელია, ჯერ თვითონ წასულიყო, ვინაიდან ძალიან სჭირდებოდა სამსახური. თავიდან მრეცხავად იმუშავებდა, ხოლო შემდგომ მიმტანის პოზიციაზე გადაიყვანდნენ. ანაზღაურება, დაახლოებით, 450 დოლარი ექნებოდა. ტრანსპორტირების ყველა დეტალი შეათანხმეს, მგზავრობის თანხები მეზობელმა დაფარა (მისი თქმით, ნათესავმა გადმოუგზავნა და ხელფასიდან ეტაპობრივად დაუქვითავდა) და რამდენიმე დღეში სამარშრუტო ტაქსით ტრაბზონში ჩავიდა. პირველ დღეს მიიყვანეს ბინაში, სადაც ღამე გაათია, მეორე დღეს კი რესტორანში წაიყვანა მძღოლმა, რომელიც ქალაქგარეთ, ცენტრალური უბნებისგან მოშორებით მდებარეობდა და გარედან მაღალი კედლებით იყო შემოსაზღვრული. კართან შეიარაღებული დაცვა იდგა. შეიყვანეს მენეჯერთან, რომელმაც პირველივე შეხვედრაზე მკაცრი სახით განუცხადა, რომ რამდენიმე დღე დააკვირდებოდა, რას აკეთებდნენ რესტორანში დასაქმებული გოგონები და მერე თვითონაც იმავეს გააკეთებდა, სამუშაო ტანსაცმელს კი მალე მისცემდნენ. შეეშინდა, წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია და ჩაერთო პროსტიტუციაში. ვინაიდან მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო, ვერ ახერხებდა გამოქცევას. მობილური ტელეფონი არ ჰქონდა. უხდიდნენ, დაახლოებით, 50-70 დოლარს თვეში, რომელსაც ვერ იყენებდა და აგროვებდა. რამდენიმე თვის შემდგომ რესტორანში მოხდა მკვლელობა, რაც ცნობილი გახდა სამართალდამცველებისთვის. მოქალაქე ზ. თ.-მ ამ პერიოდში მოახერხა მის მდგომარეობაზე ინფორმაციის მიწოდება პოლიციის თანამშრომლებისთვის, რომლებმაც გამოკითხეს და დაეხმარნენ, რომ დაბრუნებულიყო მშობლიურ ქვეყანაში. იგი არ ფლობს ინფორმაციას, დააკავეს თუ არა რესტორნის მეპატრონეები, ან გათავისუფლდნენ თუ არა მასთან ერთად დასაქმებული სხვა გოგონები. მეზობლის ადგილსამყოფელს ვერ მიაგნო - აღარ ცხოვრობს მისთვის ცნობილ მისამართზე, ტელეფონით კი ვერ უკავშირდება.“

<u>1-ლი ეტაპი</u>

იურისტთან გასაუბრების შემდგომ, გამოიკვეთა სავარაუდო ტრეფიკინგის ნიშნები: გადაბირება (ტყუილით), გადაყვანა, ექსპლუატაცია (პროსტიტუციის იძულება). ამიტომ, კრიზისული ცენტრი ვალდებულია, მომმართველს მიაწოდოს ინფორმაცია მის უფლებებზე და შესთავაზოს ჩართვა მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურებში, რაც პირველი ეტაპისთვის მოიცავს

სააგენტოს სპეციალურ მობილურ ჯგუფთან გასაუბრებას. კრიზისული ცენტრი აუცილებლად ეკითხება მომმართველ პირს, აქვს თუ არა მუდმივი საცხოვრებელი. საჭიროების შემთხვევაში კი განუმარტავს სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის მიღების შესაძლებლობას, რაც წინაპირობაა კრიზისული ცენტრის სერვისების, მათ შორის, დროებითი საცხოვრებლის მისაღებად.

<u>მე-2 ეტაპი</u>

მომმართველი პირის თანხმობის შემდგომ, კრიზისული ცენტრი უკავშირდება სააგენტოს და აწვდის ინფორმაციას ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლის შესახებ. სააგენტო დაუყოვნებლივ აგზავნის სპეციალურ მობილურ ჯგუფს მასთან გასაუბრებისთვის. ამ პერიოდში, კრიზისული ცენტრის დახმარებით, სააგენტო სავარაუდო მსხვერპლთან ათანხმებს გასაუბრების ადგილსა და დროს. ინტერვიუ უნდა ჩატარდეს მშვიდ და სანდო გარემოში, რისთვისაც ამ შემთხვევაში საუკეთესო ვარიანტია კრიზისული ცენტრის ოფისის გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანია, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტომ მოიძიოს თარჯიმანი, რომელიც გადათარგმნის ინტერვიუს და პასუხისმგებელი იქნება საიდენტიფიკაციო კითხვარში მითითებული ინფორმაციის სიზუსტეზე (სწორ თარგმანზე). თარჯიმანი ვალდებულია, ხელი მოაწეროს საიდენტიფიკაციო კითხვარს.

<u>მე-3 ეტაპი</u>

გასაუბრება ტარდება მშვიდ გარემოში. ინტერვიუს პერიოდში დაკმაყოფილებული უნდა იყოს სავარაუდო მსხვერპლის საჭიროებები (მაგ: შესვენების მოთხოვნა; მნიშვნელოვანი ფაქტების გასახსენებლად პაუზის აღება; შესაბამისი ზომების მიღება დაძაბულობის მოსახსნელად (არსებობის შემთხვევაში); რევიქტიმიზაციის საფრთხის გათვალისწინება და ა.შ). მნიშვნელოვანია, მობილურმა ჯგუფმა სავარაუდო მსხვერპლისგან სრული ინფორმაცია მიიღოს მისი გაღიზიანების გარეშე, არ დაძაბოს იგი და გასაუბრებისას შეძლოს ნდობის მოპოვება. ასევე არსებითია, შეივსოს კითხვარის ყველა ველი, ინფორმაცია კი იყოს მაქსიმალურად ზუსტი და ქმნიდეს საკმარის საფუძველს შემდგომი განხილვისთვის. აუცილებელია, მობილურმა ჯგუფმა სავარაუდო მსხვერპლისგან მიიღოს შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)იც (არსებობის შემთხვევაში), როგორიცაა პასპორტი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ვიზა, სამუშაო კონტრაქტი, რაიმე ცნობა დამსაქმებლის შესახებ და ა.შ. ეს შემდგომში მუდმივმოქმედ ჯგუფს დაეხმარება ფაქტების შეფასებაში და გაუადვილებს გადაწყვეტილების მიღებას. გასაუბრების დამთავრების შემდეგ, მობილური ჯგუფი სავარაუდო მსხვერპლს განუმარტავს შემდგომ პროცედურებს და ჰპირდება, რომ დაუკავშირდება, როგორც კი განიხილება მისთვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხი და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება.

14. სახელმძღვანელო პრინციპები ანუ როგორ ვმოქმედებთ პრაქტიკაში

<u>მე-4 ეტაპი</u>

მუდმივმოქმედი ჯგუფი მიწოდებიდან 48 საათის განმავლობაში განიხილავს სპეციალური მობილური ჯგუფის საიდენტიფიკაციო კითხვარს. მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ტრეფიკინგის დანაშაულის 3 აუცილებელი ნიშნის თანაარსებობა, რომლებზეც სახელმძღვანელოში დეტალურად ვისაუბრეთ **(ქმედება, საშუალება და ექსპლუატაციის მიზანი).** თუნდაც ერთ-ერთის არარსებობის შემთხვევაში, ტრეფიკინგის დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება (აქ არ იგულისხმება არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი, სადაც არ არის სავალდებულო სამივე ნიშნის ერთდროულად არსებობა).

ქმედების ქვეშ უნდა შეფასდეს, გამოიყენა თუ არა სავარაუდო დამნაშავემ სსკ-ის 1431 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება (მაგ: <u>გადაბირება, გადაყვანა</u>).

საშუალების ქვეშ უნდა დადგინდეს, გამოყენებულია თუ არა სავარაუდო მსხვერპლის გადასაბირებლად ის საშუალება/საშუალებები, რომლებიც კანონშია ჩამოთვლილი და დეტალურად არის აღწერილი სახელმძღვანელოში. აქ უნდა გვახსოვდეს, რომ დამნაშავე(ებ)ს სხვადასხვა საშუალების (მაგ: <u>შანტაჟი, მუქარა, ტყუილი, თაღლითობა, ფიზიკური ძალადობა</u>) გამოყენება შეუძლიათ როგორც გადაბირების (საწყის), ასევე ექსპლუატაციაში ჩართვის ეტაპზე: მაგალითად, თუ ტყუილით გადაბირებული პირი უარს იტყვის სამუშაოზე, მას ემუქრება შეიარაღებული დამსაქმებელი, რის გამოც იძულებულია, დათანხმდეს სამუშაოს.

ექსპლუატაციის მიზნის გამოკვეთა უმნიშვნელოვანესია ქმედების ტრეფიკინგად კვალიფიკაციისთვის. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ არ არის სავალდებულო, დადგეს ექსპლუატაციის მომენტი - მიზნის არსებობა უკვე საფუძველია ტრეფიკინგის დანაშაულის შემადგენლობის მისაღებად. ექსპლუატაციის ფორმებზე ასევე დეტალურად ვსაუბრობთ წინამდებარე სახელმძღვანელოში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ თითოეულ მათგანს და მოვარგოთ განსახილველ შემთხვევას.

გადაწყვეტილების მიღება

ზემოაღნიშნული შემთხვევის (მაგალითის) განხილვის შემდგომ, ნათლად გამოიკვეთა, რომ მოქალაქე ზ. თ. ნამდვილად იყო <u>გადაბირებული</u> (გადაბირების ხერხი - მეზობლის ტყუილი რესტორანში დასაქმებაზე, 450-დოლარიანი ანაზღაურების პერსპექტივით). სავარაუდო მსხვერპლი ნამდვილად გადავიდა საზღვარზე (ამას დაადასტურებს შესაბამისი შტამპი საიდენტიფიკაციო დოკუმენტზე, ვინაიდან საზღვარზე ლეგალურად გადავიდა და ეს დოკუმენტები თან ჰქონდა). ტრანსპორტირების თანხა გადაიხადეს დამნაშავეებმა: სავარაუდო მსხვერპლი აცხადებს, რომ მეზობელმა (რომელსაც

ვეღარ პოულობს) დაფარა მგზავრობის ხარჯი, რომელიც დამსაქმებელს უნდა დაექვითა მისი ანაზღაურებიდან. მაგალითში გამოიკვეთა ექსპლუატაციის მიზანიც და დამდგარი შედეგიც - პროსტიტუციის იძულება და მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენება. ეს დასტურდება შემდეგი გარემოებებით: მოქალაქე ზ. თ.-ს სამუშაო ადგილი შემოსაზღვრულია მაღალი კედლებით, რაც პირდაპირი მიანიშნებს, რომ გაქცევის შესაძლებლობა მინიმალურია; სამუშაო ადგილზე მობილიზებულნი არიან შეიარაღებული პირები, რაც დამაშინებელ გარემოს ქმნის და მსხვერპლს შიშის განცდას აღუძრავს. მისი გადაადგილება კონტროლდება და იღებს არაადეკვატურ ანაზღაურებას (50-70 დოლარს თვეში). ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სავარაუდო მსხვერპლს აქვს შიში სავარაუდო დამნაშავეთა მიმართ და დამოკიდებული ხდება მათზე. გამომდინარე აქედან, იკვეთება მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მტკიცებულებები.

ჯამში, ტრეფიკინგის მაკვალიფიცირებელი სამივე ელემენტის თანაარსებობა გამოკვეთილია და მომმართველ პირს უნდა მიენიჭოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსი.

მე-5 ეტაპი

გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, მუდმივმოქმედი ჯგუფი დაუყოვნებლივ უკავშირდება მსხვერპლს (ტელეფონით, კრიზისული ცენტრის მეშვეობით ან, საჭიროების შემთხვევაში, ყველა შესაძლო საკომუნიკაციო არხით) და აცნობს მიღებულ გადაწყვეტილებას; ასევე, განუმარტავს ტრეფიკინგის მსხვერპლის უფლებებს, მათ შორის, თავშესაფრითა და კრიზისული ცენტრის სერვისებით სარგებლობის უფლებას, და სთავაზობს (სურვილის შემთხვევაში) სააგენტოსთან დაკავშირებას. მუდმივმოქმედი ჯგუფი ამზადებს გადაწყვეტილების 3 ეგზემპლარს: ერთი რჩება მასთან, ერთი ეგზავნება სააგენტოს, ერთი კი გადაეცემა მსხვერპლს.

14. სახელმძღვანელო პრინციპები ანუ როგორ ვმოქმედებთ პრაქტიკაში

პრაქტიკული მაგალითი #2

(კვალიფიკაცია)

საქართველოს მოქალაქეები დ.რ. და კ.რ (ცოლ-ქმარი) სოფლად ცხოვრობდნენ და პერიოდულად აგრარულ ბაზარზე ყიდდნენ მოსავალს. ერთ სამუშაო დღეს მათთან ერთად მყოფი პირებისგან გაიგეს, რომ ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე თურქი ეროვნების მამაკაცი ეძებდა ხალხს და სამუშაოდ უშვებდა ერაყში. დაინტერესდნენ ამ ამბით და მიმართეს მას. 1 კვირის შემდეგ მამაკაცი დაუკავშირდა მათ და შესთავაზა ერაყის ერთ-ერთ რეგიონის (ქურთისტანი) კლინიკაში სანიტრის პოზიციაზე მუშაობა, 650-დოლარიანი ანაზღაურებით თვეში. დასაქმებისთვის თითოეულს 100-100 დოლარი უნდა გადაეხადა მისთვის. დათანხმების შემთხვევაში, ერაყის საზღვარზე გადასვლაში დაეხმარებოდნენ და ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრებისთვის საჭირო დოკუმენტაციასაც დაუმზადებდნენ. დ.რ-მ და კ.რ.-მ ბანკიდან გამოიტანეს სესხი, გადაუხადეს „დამსაქმებელს“ და დათქმულ დღესა და დროს ბაზრის ტერიტორიიდან სამარშრუტო ტაქსით გაემგზავრნენ. თურქეთის საზღვარზე შეუფერხებლად გადავიდნენ. ერაყის საზღვარზე მათთან ერთად მყოფი ასევე თურქი ეროვნების მამაკაცი ერთ-ერთ მესაზღვრეს გაესაუბრა, რაც მათ დაინახეს სამარშრუტო ტაქსის ფანჯრიდან (სავარაუდოდ, მან მესაზღვრეს გადაუხადა გარკვეული თანხა). მამაკაცმა დ.რ.-ს და კ.რ-ს მიუტანა მათთვის დამზადებული დოკუმენტები, რომლებითაც შეძლებდნენ 6 თვის განმავლობაში ეცხოვრათ ერაყში. ერაყის საზღვარზე გადასვლის შემდეგ, სამარშრუტო ტაქსმა ცოლ-ქმარი მიიყვანა შეთანხმებულ ადგილზე - კლინიკის მიმდებარე ქუჩაზე არსებულ სასტუმროში. 2 დღის სასტუმროს თანხა გადახდილი ჰქონდა „დამსაქმებელს“. ამ პერიოდში კლინიკაში უნდა მისულიყვნენ, სადაც გაუფორმებდნენ ხელშეკრულებებს და დასაქმდებოდნენ, თუმცა კლინიკაში განუმარტეს, რომ მათთან სანიტრის პოზიციაზე არ იყო ვაკანსიები და დასახელებულ პირსაც (ვინც მათ დასაქმება შესთავაზა და საზღვარზე გადმოიყვანა) არ იცნობდნენ. დ.რ.-მ და კ.რ-მ კლინიკის მენეჯერს სთხოვეს რაიმე სამუშაოს შოვნა მათთვის. რამდენიმე დღის შემდეგ კაცი დამხმარედ (მუშად), ხოლო მისი მეუღლე დამლაგებლად დასაქმდა კლინიკაში. ხელფასს უხდიდნენ 400 დოლარის ოდენობით (თითოეულს). კლინიკის დირექტორმა განუმარტა, რომ ამ ეტაპზე ფინანსური კრიზისი ჰქონდათ და მალე გადაუხდიდნენ 500-500 დოლარს. მათ იქირავეს ერთოთახიანი ბინა კლინიკისგან მოშორებით და ვიწროდ ცხოვრობდნენ. ერთი თვის შემდეგ გადაწყვიტეს სამსახურიდან წამოსვლა და სხვა სამუშაოს მოძებნა, ვინაიდან საკვებსა და ქირაში ხელფასის 60-70% ეხარჯებოდათ, თუმცა დამსაქმებელთან მოუვიდათ კონფლიქტი: აღმოჩნდა, რომ მათი წესების მიხედვით, არავის ჰქონდა უფლება, საკუთარი სურვილისამებრ დაეტოვებინა სამსახური. დ.რ. და კ.რ გამოიქცნენ და მონახეს იქ დასაქმებული სხვა ქართველები, რომელთა დახმარებითაც რამდენიმე თვე იმუშავეს სხვადასხვა პოზიციაზე (მუშად, დამხმარედ, დამლაგებლად), ერაყში ომის დაწყების შემდეგ კი სასწრაფოდ დაბრუნდნენ საქართველოში.

14. სახელმძღვანელო პრინციპები ანუ როგორ ვმოქმედებთ პრაქტიკაში

მსჯელობა

როგორც აღვნიშნეთ, ქმედების ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგი) კვალიფიკაციისთვის, მნიშვნელოვანია, კუმულაციურად არსებობდეს სამი ნიშანი: ქმედება (გადაბირება, გადაყვანა), საშუალება და მიზანი (ექსპლუატაცია).

მაგალითიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ბაზრის ტერიტორიაზე მყოფი მამაკაცი ეძებს მუშახელს უცხოეთში დასასაქმებლად და სთავაზობს დასაქმების ადგილამდე ტრანსპორტირებას ყოველგვარი შეფერხების გარეშე. შემოთავაზებული პირობები (ხელფასი, ტრანსპორტირების საკითხის მოგვარება, საემიგრაციო დოკუმენტების დამზადება, დასაქმების გადასახადის ოდენობა) მისაღებია მაგალითში მოყვანილი პირებისთვის (ცოლ-ქმარი) და თანხმდებიან შემოთავაზებას. შესაბამისად, გადაბირების ნიშანი სახეზეა. როგორც ვნახეთ, შეთანხმებისამებრ, ისინი სატრანსპორტო საშუალებით გადაიყვანეს ორი ქვეყნის საზღვარზე, მიიყვანეს დანიშნულების ადგილზე და სასტუმროს ხარჯიც გადაიხადეს. ამგვარად, იკვეთება გადაყვანაც და ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ქმედება**, როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშანი, რომელიც მოიცავს გადაბირებასა და გადაყვანას, სახეზეა.

გამოყენებულია თუ არა სისხლის სამართლის კანონმდებლობით (1431 მუხლი) განსაზღვრული საშუალება პირის გადასაბირებლად? როგორც მაგალითშია აღწერილი, „დამსაქმებელმა“ შეასრულა დაპირებების ნაწილი (ტრანსპორტირება, დოკუმენტაციის მოგვარება), თუმცა, მთავარი დაპირება, რომელიც დასაქმებას ეხება, არ შეუსრულებია: კლინიკაში არ ჰქონდათ ინფორმაცია მათი გადამბირებლის შესახებ და არც ვაკანსიები ჰქონდათ გამოცხადებული მითითებულ პოზიციაზე. „დამსაქმებელმა“ აიღო თანხები მაგალითში მითითებული პირებისგან, მაგრამ ისინი მოატყუა და მთავარი პირობა არ შეასრულა. ამ შემთხვევაში სახეზეა მოტყუება რომელიც ტრეფიკინგის დანაშაულში გადაბირების ერთ-ერთ **საშუალებად მიიჩნევა.**

განვიხილოთ შემდეგი ნიშანი (ექსპლუატაციის მიზანი), რომლის არსებობის შემთხვევაშიც მივიღებთ ტრეფიკინგის კვალიფიკაციას. მაგალითიდან ჩანს, რომ საქართველოში ჩამოსული თურქი ეროვნების მამაკაცის („დამსაქმებლის“) მიზანი ნამდვილად არ იყო გადაბირებულ პირთა ექსპლუატაცია (პირის ნების საწინააღმდეგოდ, მისი ჩართვა იძულებით შრომას ან/და სექსუალურ მომსახურებაში, ან ჩაყენება მონობის თანამედროვე პირობებში). მართალია, მისი ქმედების გამო ადამიანები აღმოჩნდნენ უცხო ქვეყანაში და მოუწიათ ცხოვრება არასახარბიელო პირობებში, თუმცა ექსპლუატაციის მიზანი „დამსაქმებლის“ ქმედებებში არ იკვეთება. „დამსაქმებელის“ დანაშაული არის თაღლითობა („მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით“, რაც რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით). ამას ადასტურებს იმ დაპირების (დასაქმების) შეუსრულებლობა (მოტყუება), რომლისთვისაც აიღო და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა გადაბირებულ პირთა მიერ გადახდილი 100-100 დოლარი.

14. სახელმძღვანელო პრინციპები ანუ როგორ ვმოქმედებთ პრაქტიკაში

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ვინაიდან სავალდებულო მესამე ნიშანი - ექსპლუატაციის მიზანი - მაგალითში არ იკვეთება, სახეზეა არა ტრეფიკინგი, არამედ სხვა დანაშაული (თაღლითობა - სსკ-ის 180-ე მუხლი)

<u>მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომლებიც გასათვალისწინებელია ქმედების ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგი) კვალიფიკაციისთვის</u>

- ✓ ქმედების ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგი) კვალიფიცირებისთვის, <u>კუმულაციურად უნდა გვქონდეს</u> სახეზე ამ დანაშაულის სამი ელემენტი: ქმედება, საშუალება და მიზანი. თუნდაც ერთის არარსებობა გამორიცხავს ტრეფიკინგად კვალიფიკაციას;

- ✓ ზემოაღნიშნული ელემენტებიდან, <u>სულ მცირე, ერთი</u> ნიშნის (მაგ: ქმედება - გადაბირება, საშუალება - ტყუილი, ექსპლუატაციის მიზანი - სექსუალური მომსახურების იძულება) არსებობა კმარა, რომ სახეზე გვქონდეს იმ ელემენტთა (ქმედება, საშუალება, მიზანი) თანაარსებობა, რომლებიც ქმნის ტრეფიკინგის შემადგენლობას;

- ✓ მნიშვნელობა არ აქვს, სავარაუდო მსხვერპლმა ლეგალურად გადალახა თუ არა სახელმწიფოს საზღვარი;

- ✓ მნიშვნელობა არ აქვს, უხდიდნენ თუ არა სავარაუდო მსხვერპლს ანაზღაურებას, თუკი გამოიკვეთება მისი <u>ჩაყენება მონობის თანამედროვე პირობებში</u> (მაგ: ის დამოკიდებულია დამნაშავეზე, ვინაიდან იმყოფება დამაშინებელ პირობებში და იძულებით ასრულებს შესაბამის სამუშაოს);

- ✓ მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ მსხვერპლის <u>ექსპლუატაციაში ჩაბმა არ არის სავალდებულო ელემენტი</u> ქმედების ტრეფიკინგად კვალიფიკაციისთვის: მთავარია, გამოვკვეთოთ, რომ ეს მიზანი ნამდვილად ჰქონდა სავარაუდო დამნაშავეს მისი გადაბირებისა და გადაყვანისას;

- ✓ სახელმწიფო <u>საზღვრის კვეთა არ არის სავალდებულო</u> ტრეფიკინგის დანაშაულის არსებობისთვის: ის შეიძლება განხორციელდეს მსხვერპლის მშობლიურ ქვეყანაში, ქალაქში და ოჯახშიც კი;

- ✓ არავითარი მნიშვნელობა <u>არ ენიჭება მსხვერპლის მიერ ექსპლუატაციის ადგილის დატოვების გარემოებებს,</u> თუკი არსებობს ტრეფიკინგის სამი ელემენტი (ქმედება, საშუალება, მიზანი);

- ✓ მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენებისას, მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ სავარაუდო მსხვერპლი ნამდვილად არის <u>დამოკიდებული დამნაშავეზე</u> და იძულებულია, შეასრულოს სამუშაო. დამოკიდებულების ნიშნები დეტალურად არის განხილული სახელმძღვანელოში;

14. სახელმძღვანელო პრინციპები ანუ როგორ ვმოქმედებთ პრაქტიკაში

- სავარაუდო ტრეფიკინგის შემთხვევის განხილვისას, ყურადღება უნდა მივაქციოთ ტრეფიკინგის მომიჯნავე მუხლებს: როგორც აღვნიშნეთ, ყოველთვის არსებობს ალბათობა, რომ ტრეფიკინგის დანაშაული გადაიკვეთოს სხვა დანაშაულ(ებ)თან;

- თუ პირს სხვადასხვა საშუალების (ტყუილი, ძალადობა, მუქარა) გამოყენებით აღუკვეთეს თავისუფლება (მაგ: გამოკეტეს ბინაში) ექსპლუატაციაში ჩასაბმელად, ეს ქმედება კვალიფიცირდება, როგორც ტრეფიკინგი (ამ შემთხვევაში მოიცავს დანაშაულს, როგორიცაა თავისუფლების უკანონო აღკვეთა (სსკ-ის 143-ე მუხლი));

- მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურა იმართება მაშინ, თუ ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევა დაიწყო, გაგრძელდა ან დასრულდა საქართველოში. ასეთ დროს მნიშვნელობა არ აქვს სავარაუდო მსხვერპლის ეროვნებას/მოქალაქეობას; მაგალითად: თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე სავარაუდო მსხვერპლი შესაბამისი ტრანსპორტით საქართველოს გავლით გადაჰყავთ მეზობელ სახელმწიფოში და საქართველოში გამოვლინდება სავარაუდო ტრეფიკინგის ფაქტი, მის მიმართ იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს პირისთვის შესაბამისი სტატუსის (მსხვერპლი/დაზარალებული) მინიჭების პროცედურებს. იგივე წესები მოქმედებს უცხოელი მსხვერპლის სახელმწიფო სერვისებში ჩართვის დროსაც;

- მნიშვნელოვანია, სავარაუდო არასრულწლოვან მსხვერპლთან გასაუბრება (როგორც მობილური ჯგუფის, ასევე მუდმივმოქმედი ჯგუფის) წარიმართოს მისი კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით;

- არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაული, რომელიც მოიცავს ძალადობის ელემენტს, ყველა შემთხვევაში უნდა ეცნობოს სამართალდამცველ ორგანოებს.

15. ბიბლიოგრაფია

1 ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი (საქართველოს მაგალითზე) (2011), მიხეილ ბაძაღუა;
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები და მასთან ბრძოლის მეთოდები (2016), მარინა მესხი;
3. ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
4. გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია;
5. გაეროს ბავშვთა ფონდი, ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები საქართველოში (2020);
6. ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანზაროტეს კონვენცია);
7. იძულებითი შრომა და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებების კრებული (2010), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, პირველი გამოცემა;
8. კონსულტირება სოციალურ მუშაობაში - ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება (2020), შორენა საძაგლიშვილი, ია შეყრილაძე.
9. მომიყევი, რა მოხდა - დაზარალებული და მოწმე ბავშვების დაკითხვა/გამოკითხვა (2014), ეკატერინე თავართქილაძე, ქეთევან მარგალიტაძე, ქეთევან დავითიშვილი; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
10. საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
11. საქართველოს მთავრობის დადგენილება №281 „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო
12. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“;
13. საქართველოს მთავრობის დადგენილება №284 „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის დამტკიცების შესახებ“;
14. საქართველოს მთავრობის დადგენილება №58 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“;
15. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
16. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
17. საჭიროებათა შეფასება: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში (2016), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM);
18. სახელმძღვანელო მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე (2020), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM);
19. სახელმძღვანელო მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე (2021), მარი წერეთელი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM);
20. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მე-9 გამოცემა), მერაბ ტურავა;
21. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (2005), წიგნი I;
22. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (2011), წიგნი I;
23. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (2017), წიგნი II;
24. გაეროს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ;
25. გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და სასჯელთა დადგენის შესახებ“ (პალერმოს პროტოკოლი).

15. ბიბლიოგრაფია

უცხოენოვანი წყაროები:

26. Bjelajac, Željko & Spalevic, Zaklina & Banovic, Bozidar. (2020). Psychophysical status of human trafficking victims. Healthmed. VII. 1341-1347;
27. Clawson, H. J., & Dutch, N. (2008). Identifying victims of human trafficking: Inherent challenges and promising strategies from the field. Washington, DC: US Department of Health and Human Services (HHS);
28. Fisher, Ronald. (1995). Interviewing Victims and Witnesses of Crime. Psychology, Public Policy, and Law. 1. 732-764. 10.1037/1076-8971.1.4.732;
29. GlobalReportonTrafficking in Persons 2020 - UNITED NATIONS OFFICE ON DRUGS AND CRIME (https://www.unodc.org/unodc/data-and-analysis/glotip.html);
30. Hopper, E., & Hidalgo, J. (2006). Invisible chains: Psychological coercion of human trafficking victims. Intercultural Hum. Rts. L. Rev., 1, 185;
31. TRAFFICKING IN PERSONS REPORT JUNE 2020 USA DEPARTMENT OF STATE (https://www.state.gov/wp-content/uploads/2020/06/2020-TIP-Report-Complete-062420 -FINAL.pdf)
32. Trafficking in Persons: Victim Identification and Assistance. (2020). International Organization-for Migration (IOM).

ინტერნეტრესურსები:

33. https://www.ohchr.org/Documents/Publications/Chapter11-MHRM.pdf
34. https://www.ojp.gov/ncjrs/virtual-library/abstracts/comparative-study-women-trafficked-migration-process
35. https://www.ovcttac.gov/taskforceguide/eguide/5-building-strong-cases/resources-53-victim-interview-and-preparation/
36. https://www.unodc.org/documents/human-trafficking/TIP_module8_Ebook.pdf
37. https://www.who.int/mip/2003/other_documents/en/Ethical_Safety-GWH.pdf

ხუთი ფილმი ტრეფიკინგზე, რომლებსაც შეგიძლიათ, უყუროთ ონლაინ:

a. https://www.youtube.com/watch?v=rP3zc6bEQsg
b. https://www.pbs.org/wgbh/frontline/film/sex-trafficking-in-america/
c. https://www.youtube.com/watch?v=BeJy3dA4Ahk
d. https://www.youtube.com/watch?v=kIJvVDKLnv0
e. https://www.youtube.com/watch?v=MFaDHgXPbUg